ქართულ-ოსური კონფლიქტის პოლიტიკური შეფასებები A3

რა სოციალური შეღავათებითა და დახმარებებით სარგებლობთ A8

„ხალხის პირისპირ" - ანკეტა B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 9 ივლისი, 2004 წელი. №161 (710)

ფასი 50 თეთრი

# ჩვენი ჯარისკაცების დაჩოქებას არავის ვაპატიებთ



„ხალხს იარაღი არ დაურიგდება, ეგ დრო დამთავრდა! თუ ომი იქნება, თავის საქმეს ჯარი გააკეთებს," - ასე მიმართა აღელვებულ ერედველებს შინაგან საქმეთა მინისტრმა.

იური ლობოდინის ფოტო

*„ჩვენ ვაღიარებთ, რომ რეგიონში ვითარება საკმაოდ დაძაბულია. თუმცა, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ კოკოითის კრიმინალურ დაჯგუფებასთან დაპირისპირება ქართველ და ოს ხალხს შორის კონფლიქტში არ გადაიზარდოს. ჩვენ არავის ვაპატიებთ ცხინვალის მოედანზე, ტელეკამერების წინაშე ჩვენი ჯარისკაცების შეურაცხყოფას. ჩვენი ამოცანაა, ვითარება არათუ განიმუხტოს, არამედ კოკოითი საერთოდ მოცილდეს ხელისუფლებას. არასდროს რუსებს არ ჰქონიათ ისეთი შანსი, როგორც დღეს – მათ კონფლიქტის ზონაში საკუთარი პირდაპირი მოვალეობა უნდა შეასრულონ. და თუ ისინი ამის გაკეთებას ვერ შეძლებენ, მაშინ მათი მანდატი სერიოზული ეჭვის ქვეშ დადგება," – ეს განცხადება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა სოფელ ტყვიავის საკრებულოს შენობაში, საღამოს შვიდი საათისთვის გააკეთა. სწორედ ამ დროს ჟურნალისტებისთვის პატარა ლიახვის ხეობაში გადაადგილება, ფაქტობრივად, აიკრძალა. თავად ხეობის სიღრმეში კი, ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, პოზიციური ბრძოლა კვლავაც გრძელდებოდა. „ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ. შევა თუ არა ხეობაში დამატებითი ჯარი, ეს მოგვიანებით გაირკვევა," - დასძინა მინისტრმა.*

თამარ მჭედლიშვილი

სროლის ხმები პატარა ლიახვის ხეობაში პირველად დილის საათებში გაისმა. დაახლობით თერთმეტი საათისთვის სოფელ ერედვის თავზე დაბანაკებული ოსები თავს დაესხნენ ქართველ სამშვიდობოებს. დაჭრილი ოთხი ჯარისკაცი სასწრაფოდ გადაიყვანეს სოფელ ქურთას საავადმყოფოში.

თუმცა პირველი უსისხლო შეტაკება გაცილებით ადრე, გამთენიისას, სოფელ ვანეთში მოხდა. ოსები თავს დაესხნენ იქ დაბანაკებულ დაცვის პოლიციის 51 სამხედრო პირს და ისინი ძალის გამოყენებით ცხინვალში გადაიყვანეს. მოგვიანებით ეს ბიჭები, უშუალოდ კოკოითის ბრძანებით, ცხინვალის მოედანზე დააჩოქეს.

ჩვენ ვანეთში, დაახლოებით, დღის სამი საათისთვის ავედით. რუსი სამშვიდობოების ბლოკ-პოსტი უპრობლემოდ გავიარეთ, თუმცა თვალშისაცემი იყო, რომ ისინი ამ ტერიტორიაზე სულ რამდენიმე საათის მოსულები იყვნენ.

**„პირველმა ოსები მე დავინახე. მათი ენა შესანიშნავად ვიცი. როდესაც მომიახლოვდნენ, ვკითხე, რა გინდათ-მეთქი... ქართველებთან მოსალაპარაკებლად მოვედითო, მიპასუხეს. ბიჭების მეთაურს დავუძახე. როგორც კი**

გაგრძელება A3 გვერდზე

## პოლიტიკა

### ეუთო-ს ბიუროს რიგგარეშე სხდომა ცხინვალის მოვლენებს მიეძღვნება



გუშინ, გვიან ღამით, „24 საათი" საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს დაუკავშირდა, რომელიც ამჟამად ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეას ესწრება.

A2

## ეკონომიკა

### აჭარაში ექვსი თვის შედეგებს ითვლიან

წინასწარი მონაცემებით, აჭარის კონსოლიდირებული ბიუჯეტის პირველი ორი კვარტლის შემოსავლებმა 56 მილიონ ლარს გადააჭარბა და, როგორც ადგილობრივ ხელისუფლებაში ირწმუნებიან, წლის ბოლომდე ეს მაჩვენებელი, სულ მცირე, გასამმაგდება.

A4

## უცხოეთი

### "ვარდების რევოლუციის" აქცენტები უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში



ვიქტორ იუშჩენკო თავის მომხრეებს ხალხის ხელისუფლებას, თანასწორობასა და კორუმპირებული მოხელეების ალაგმვას ჰპირდება.

A5

## საზოგადოება

### რუსთაველის ფრესკასთან...



გთავაზობთ დაზიანებული ფრესკის პირველი თვითმხილველის, ისრაელში საქართველოს ელჩის მეუღლის, მზია მარსაგიშვილის ჩანაწერებს ამ მოვლენასთან დაკავშირებით.

A6

## ამინდი

| | 9/7 | 10/7 |
|---|---|---|
| თბილისი | 32 | 27 |
| ქუთაისი | 32 | 25 |
| ბათუმი | 32 | 26 |
| სოხუმი | 27 | 26 |
| ფოთი | 27 | 26 |
| თელავი | 30 | 27 |
| ზუგდიდი | 28 | 27 |
| გორი | 27 | 25 |
| ახმეტა | 29 | 27 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9201 |
| ევრო | 2.3730 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5524 |
| რუბლი | 0.0660 |

## კოკოითი მძიმე მდგომარეობაშია

### ასეთია მიხეილ სააკაშვილის შეფასება

ცნობა მიხეილ სააკაშვილის თბილისში ვადამდე დაბრუნების თაობაზე გუშინ მთელი დღის განმავლობაში ვრცელდებოდა. საბოლოოდ, ეს ინფორმაცია სახელმწიფო მინისტრმა ჯამბულ ბაკურაძემ უარყო. სააკაშვილი ირანიდან სამშობლოში დღეს ბრუნდება.

ყველაზე დასამახსოვრებელი საქართველოს პრეზიდენტისთვის ფერეიდნელ ქართველებთან შეხვედრა იყო. ფერეიდნელები ვარდებით და ქართული გამარჯობა-მოკითხვით შეხვდნენ მიხეილ სააკაშვილს.

მიხეილ სააკაშვილმა ფერეიდანშივე შეაფასა მიმდინარე მოვლენები. პრეზიდენტის აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ ცხინვალის რეგიონში მაქსიმალური თავშეკავება, თანამიმდევრულობა და პრინციპულობა უნდა გამოიჩინოს. **„არ შეიძლება სახელმწიფო ვიღაც კონტრაბანდისტს და კრიმინალს აჰყვეს. ის, რაც ცხინვალის რეგიონში ხდება, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაგეგმილი პროვოკაციაა, თუმცა ქართული მხარე რეგიონში შეჭრას და შეიარაღებულ დაპირისპირებაში ჩართვას არ აპირებს,"** – ასეთია საქართველოს მეთაურის პოზიცია.

საქართველოს ხელისუფლებას საქმე აქვს რუსეთთან და არა კოკოითთან, - ამბობს სააკაშვილი და, ამავე დროს, რუსეთის სამშვიდობოებს მათ პასუხისმგებლობას შეახსენებს. პრეზიდენტის თქმით, **"თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი მძიმე მდგომარეობაში იმყოფება."**

*24 საათი*

## მთავარი ამოცანა – არ იქნეს დაშვებული შეიარაღებული დაპირისპირება

### საქართველოს მთავრობის დაძაბული დღე

სოფო ბუკია

*ცხინვალში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობა გუშინ მთელი დღის განმავლობაში საგანგებო რეჟიმში მუშაობდა. სამაჩაბლოში შექმნილ ვითარებას აქტიურად ეხმაურებიან საერთაშორისო თანამეგობრობისა და მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლები.*

**„რუსი სამშვიდობოებისთვის დღეს გადამწყვეტი მომენტი დგება. ამ ორ საათში გაირკვევა, თუ რამდენად ქმედითუნარიანია რუსეთის სამშვიდობო ფორმირებები კონფლიქტის ზონაში. მათ უპირობოდ**

გაგრძელება A3 გვერდზე

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

„24 საათის" დანართები - „სამართალი", „ბიზნესი", „დედაქალაქი", „მონადირე", „ავტომობილი", „ტერიტორია", „სპეცსამსახურები", „მეცნიერება და ტექნიკა", „გულახდილად".

ერთობლივი პროექტები „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და „სოროსის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

„24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმომწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: „თბილისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 28467440.

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ანკეტა | B7 კვირის TV-პროგრამა | B8 სხვადასხვა

# კონფლიქტის ზონაში არჩასვლით, დეპუტატებს მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლოთ


პარლამენტის ბიურომ უარი თქვა კონფლიქტის ზონაში გასვლაზე.

*პარლამენტარები ცდილობენ, გულხელდაკრეფილნი არ ისხდნენ და აღმასრულებელი ხელისუფლების ცხინვალის რეგიონში განვითარებულ მოვლენებს ღირსეულად დახვდნენ. მაგრამ კითხვა ჩნდება, რამდენად შეუძლიათ მათ ამ ვითარებაში სარგებლობის მოტანა. ამიტომ, შემარჯვენე ოპოზიციის ლიდერის, დავით გამყრელიძის ინიციატივას კონფლიქტის ზონაში პარლამენტის ბიუროს გასვლითი სხდომის ჩატარების შესახებ, დეპუტატები დიდი სიფრთხილით შეხვდნენ.*

**"ასე დაუფიქრებლად წასვლა არ ივარგებს. ამით შეიძლება ჩვენს ძალოვან სტრუქტურებს დამატებითი პრობლემები შევუქმნათ,"** - აცხადებს ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" თავმჯდომარის მოადგილე დავით კირკიტაძე. მის მოსაზრებას მთლიანად იზიარებს ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გიგი წერეთელი, რომლის თქმითაც, კონფლიქტის ზონაში პარლამენტის სხდომის ჩატარება ამ ეტაპზე მიზანშეწონილი არ არის.

კიდევ უფრო კატეგორიულია ფრაქცია "მაჟორიტარების" თავმჯდომარე ბესო ჯუღელი. **"კონფლიქტის ზონაში ზედმეტი ხალხის ყოფნა საჭირო არ არის. იქ ჩასვლა პატრიოტებისაც კი უნდა აკრძალოთ. პარლამენტარები ცხინვალის რეგიონში რომ ჩავიდეთ, უკან მოგვყვებიან ნოდარ ნათაძე, ირაკლი წერეთელი, თემურ ჟორჟოლიანი და სხვები. ასეთ ქვრანს კი ადგილზე არანაირი სიკეთის მოტანა არ შეუძლია,"** - აღნიშნა ბიუროს გუშინდელ სხდომაზე მაჟორიტარმა დეპუტატმა.

სამხრეთ ოსეთში გამგზავრების ნაცვლად, ედუარდ სურმანიძე დეპუტატებს სთავაზობს, პარლამენტში შეიქმნას მიერო-შტაბი, სადაც თავს მოიყრის სრული და ობიექტური ინფორმაცია კონფლიქტის ზონაში არსებული ვითარების შესახებ და, ამდენად, დეპუტატები მიმდინარე მოვლენების თაობაზე სრულ კურსში იქნებიან.

დავით გამყრელიძის წინადადებას არც საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძე ეთანხმება.

**"ჩვენი ჩასვლით ოსურ მხარეს ახალი პროვოკაციის მოწყობის შანსი არ უნდა მივცეთ,"** - აცხადებს ნადირაძე. მას უფრო მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ პარლამენტმა მიმდინარე მოვლენებს სამართლებრივი შეფასება მიეცემა და საერთაშორისო საზოგადოებას საკანონმდებლო ხელისუფლების ხედვას გააცნობს.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის თქმით, **"ედუარდ კოკოითი ბანდფორმირების მეთაურად ჩამოყალიბდა და ამიტომ, საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთს ამ პიროვნების განეიტრალების წინადადებით უნდა მიმართოს".** მაია ნადირაძე არც იმას გამორიცხავს, რომ მოვლენების დრამატულად განვითარების შემთხვევაში, რუსი სამშვიდობოები ნეიტრალიტეტს არ დაიცავენ.

**"ამ შემთხვევაში, მათი უფლებამოსილების შეწყვეტის ან შეკვეცის მექანიზმებზეც უნდა ვიფიქროთ,"** - აცხადებს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი.

ბიუროს გუშინდელი სხდომა მოსაზრებებისა და ვერსიების გამოთქმას არ გასცილებია. დეპუტატები პრეზიდენტ სააკაშვილის სამშობლოში დაბრუნებას ელოდებიან და იმედოვნებენ, რომ მასთან კონსულტაციების შემდეგ საკანონმდებლო ორგანოს შემდგომი მოქმედების გეგმა უფრო ნათლად გამოიკვეთება.

*გიორგი ასანიშვილი*

# საგარეო საქმეთა სამინისტროს კიდევ ერთი პროტესტი

საგარეო საქმეთა სამინისტრო სამხრეთ ოსეთში განვითარებული მოვლენების გამო პროტესტს პროტესტზე გამოთქვამს.

**"ა.წ. 8 ივლისს, დილის 6 საათზე, სამხრეთ ოსეთის ჯავშანტექნიკით შეიარაღებულ ბოევიკთა 200-300 კაციანი ჯგუფი თვითნებურად შევიდა პატარა ლიახვის ხეობის ქართულ სოფელ ვანათში, განაიარაღა და მძევლად აიყვანა იქ დისლოცირებული ქართული შინაგანი ჯარის ორმოცდაათკაციანი დანაყოფი. საგარეო საქმეთა სამინისტრო გმობს ამ უკანონო და უპრეცედენტო ფაქტს და დაჟინებით მოითხოვს რუსეთის მხარისა და საერთაშორისო თანამეგობრობის თანადგომას სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ ხელისუფლებაზე ზეწოლის გასაძლიერებლად, მძევლების უპირობო გათავისუფლებისა და ქართული სოფლიდან შეიარაღებული დაჯგუფების გაყვანის მიზნით,"** - ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს გუშინდელ განცხადებაში.

მინისტრის მოადგილის, გიორგი გომიაშვილის თქმით, გუშინდელი ინციდენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლების ხელმძღვანელის მცდელობას, პროვოცირება გაუკეთოს რეგიონში ფართომასშტაბიან შეიარაღებულ კონფრონტაციას. კოკოითის ამგვარი ქმედება ადასტურებს, რომ იგი სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის არსებით ინტერესებს არ ითვალისწინებს და მიზნად პირადი კრიმინალური მიზნების განხორციელებას ისახავს.

**"ბოლო პერიოდში ქართული მხარის მიერ კონტრაბანდის წინააღმდეგ მიმართულმა ზომებმა რეალურად შეუწყვიტა დაფინანსების წყარო, მოთმინება დააკარგვინა სეპარატისტულ ხელისუფლებას და კონფლიქტის ზონაში დესტაბილიზაციის პროვოცირებისკენ უბიძგა,"** – ასეთია საქართველოს ოფიციალური შეფასება.

ქართული მხარე კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტებს შორის მიღწეული შეთანხმების და ამ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების ერთგული რჩება. მდგომარეობის განმუხტვის მიზნით კი, სამხრეთ ოსეთის მოსახლეობასთან, სამშვიდობო კონტინგენტის ხელმძღვანელობასთან და რუსეთის ოფიციალურ პირებთან დიალოგს აგრძელებს. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაკეთებული განცხადებები კი გაკვირვებას იწვევს. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო სათანადო შეფასების გარეშე ტოვებს ვანათში მომხდარ ფაქტს და აქცენტს მხოლოდ 7 ივლისს კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების მიერ შეიარაღების, საბრძოლო მასალების შეტანის ფაქტზე აკეთებს. **"მათი სულისკვეთება ხშირ შემთხვევაში სცილდება დიპლომატიური უწყების ხელწერას და უცნაურად გამოიყურება საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებს შორის არსებული კონსტრუქციული თანამშრომლობის ფონზე,"** – ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს რუსეთის ფედრაციის საგარეო უწყებას: **"სათანადოდ მოეკიდოს საქართველოს მისამართით გაკეთებული განცხადების კორექტულობას და არ დაუშვას სუვერენულ ქვეყნებთან ურთიერთობისას დიპლომატიური ჩარჩოებიდან გამოსვლა".**

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გიორგი გომიაშვილის განმარტებით, იმის თაობაზე, თუ რამდენად მისაღებია საქართველოსათვის "ქართულ-ოსური" კონფლიქტის საკითხზე ოთხმხრივი კომისიის ფორმატით მუშაობის გაგრძელება, სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა განაცხადებს.

*ლელა მჭედლიძე*

# ეუთო-ს ბიუროს რიგგარეშე სხდომა ცხინვალის მოვლენებს მიეძღვნება

*გუშინ, გვიან ღამით "24 საათი" საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს დაუკავშირდა, რომელიც ამჟამად ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეას ესწრება.*

**"ცხინვალში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ჩემი შეფასება ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია. სამხრეთ ოსეთში მომხდარი მოვლენები სცილდება პოლიტიკურ ჩარჩოებს. ეს კი იმის ნიშანია, რომ დე ფაქტო ხელისუფლება აგონიის მდგომარეობაშია. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ საქართველოს ხელსუფლებამ გადაკეტა კონტრაბანდის, ნარკოტიკებისა და იარაღით უკანონო ვაჭრობის, ტრეფიკინგის წყარო. სეპარატისტებს მოესპოთ შავი შემოსავლის მიღების არხები. კოკოითის ხელისუფლება ხედავს, რომ დღეს საქართველო აღარ არის ის უსუსური ქვეყანა, რომელიც რამდენიმე თვის წინ იყო. ჩვენ დღეს რეალურად შეგვიძლია კონფლიქტის მოგვარება და ეს მათ აშინებთ.**

**ეუთო-ს პლენარულ სხდომაზე მოხსენებით გამოვედი და აღვნიშნე, რომ დღეს საქართველო ომის საფრთხის წინაშე დგას და ეუთო-ს შეუძლია თავიდან აცილოს საქართველოს ომი ეთნიკურ ნიადაგზე, რომელიც არ სურს საქართველოს და რომლის თავს მოხვევასაც ჩვენთვის ცდილობენ.**

**დღეს საქართველო-რუსეთის ურთიერთობების გამოცდის დროა. ბოლო პერიოდში თითოეულ ჩვენგანს გვიხაროდა ის პოზიტიური ცვლილებები, რომელიც შეიმჩნეოდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში. დღეს რუსეთის მშვიდობისმყოფელები ან განახორციელებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, ან თითოეული ჩვენგანი და საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის - ეუთო-ც, უნდა იყოს მზად იმისთვის, რომ განიხილოს რუსეთის სამშვიდობოების საერთაშორისო ძალებით ჩანაცვლების საკითხი.**

**ეუთო-ში თითქმის ერთსულოვანი განწყობაა. ყველა ერთმნიშვნელოვნად ჩვენ გვიჭერს მხარს. დღეს პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე მე გავაკეთე განცხადება და სწორედ ცხინვალის საკითხი დავაყენე. შემდეგ მივაღწიეთ იმასაც, რომ ეუთო-მ ეს საკითხი, როგორც გადაუდებელი, დამატებით დღის წესრიგში შეიტანა.**

**რამდენიმე წუთში დაიწყება ბიუროს საგანგებო სხდომა, რომელიც ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეამ მიუძღვნა სწორედ ამ ერთადერთ საკითხს – საქართველოში, ცხინვალში განვითარებულ მოვლენებს. ხვალ დილით დებატები განახლდება. ჩვენ გვაქვს იმის საფუძვლიანი იმედი, რომ ეუთო-ს დელეგაციები ერთხმად დაუჭერენ მხარს საქართველოს.**

**რუსეთის დელეგაციაში, გარკვეულწილად, გაორება იგრძნობა. არიან ადამიანები, რომლებიც კეთილგანწყობილნი არიან საქართველოს მიმართ და მიაჩნიათ, რომ ის ურთიერთობები, რომლებიც პრეზიდენტ პუტინსა და პრეზიდენტ სააკაშვილს შორის ჩამოყალიბდა, ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც საკმაოდ აგრესიულად არიან განწყობილნი,"** – აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ "24 საათთან" საუბარში.

როგორც ნინო ბურჯანაძე აცხადებს, იგი ყოველ წუთს უკავშირდება საქართველოს და ცხინვალში განვითარებული მოვლენების შესახებ ახალ ინფორმაციას იგებს.

მისი თქმით, პრეზიდენტთან პირადი საუბარი მან ჯერ ვერ მოახერხა. **"პრეზიდენტ სააკაშვილს მესამე პირის მეშვეობით ვესაუბრე იმიტომ, რომ როცა დავურეკე, დაკავებული იყო. შემდეგ ჩემს ტელეფონზე იყო ზარი პრეზიდენტის მხრიდან, მე ამ დროს სიტყვით გამოვდიოდი, ამიტომ ვერ მოვახერხე გასაუბრება,"** – აღნიშნა მან.

ნინო ბურჯანაძის თქმით, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა ბრიუს ჯორჯმა შეშფოთება გამოთქვა საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით და ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი დაუყოვნებლივ დაუკავშირდება ვენაში განლაგებულ კონფლიქტების დარეგულირების ცენტრს და საქართველოში ეუთო-ს ოფისს. იმ შემთხვევაში, თუ ხვალ დილამდე არ გადაწყდება ე.წ. სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენები, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა ხვალ პლენარულ სხდომაზე, რომელშიც მონაწილეობას 55 ქვეყნის 317 დელეგატი და, პრაქტიკულად, ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია იღებს, განიხილავს ე.წ. სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენებს და შესაბამის რეზოლუციას მიიღებს. საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა მხარდაჭერა აღუთქვა საქართველოს დელეგაციას და აღნიშნულ საკითხზე, როგორც პირველი რიგის ღონისძიებაზე, ბიუროს რიგგარეშე სხდომა დანიშნა.

*სოფო ბუკია*

# მიუხედავად პარტიული კუთვნილებისა, სიღნაღის გამგებელი დაპატიმრებულია


დაპატიმრებული მალხაზ მჭედლიშვილი პროკურატურიდან გამოჰყავთ.

*სოფლის თავკაცების სერიული დაპატიმრებების შემდეგ კახელი ძალოვანების სამიზნე "ვარდების რევოლუციის" შედეგად ხელისუფლებაში მოსული ჩინოვნიკები ხდებიან. წუხელ საოლქო პროკურატურამ, კახეთის გუბერნატორის პეტრე ცისკარიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით, სახელისუფლებო პარტიის წევრი, სიღნაღის გამგებელი მალხაზ მჭედლიშვილი დააკავა.*

მალხაზ მჭედლიშვილი პირველია, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ კახეთის რეგიონში გამგებლად დანიშნა. სიღნაღში მისმა ამ თანამდებობაზე წარდგენამ ქიზიყელ "ნაციონალებში" თავის დროზე განხეთქილება გამოიწვია, რადგან მათი ერთი ნაწილი მჭედლიშვილს კორუფციაში ამხელდა. სწორედ თანამდებობის ბოროტად გამოყენების გამო, გუშინ კახეთის საოლქო პროკურატურამ მალხაზ მჭედლიშვილი დააკავა.

**"მან 2001 წელს, სოფელ წნორის საკრებულოს თავმჯდომარედ მუშაობის დროს, უკანონოდ, ყოველგვარი აუქციონის გარეშე და ქონების მართვის სამინისტროსთან შეუთანხმებლად, ამოიღო და ჯართის სახით რეალიზაცია გაუკეთა მდინარე ალაზანთან განლაგებულ ცენტრალურ წყალსადენ მაგისტრალს, რომელიც სოფლის ბალანსზე არ ირიცხებოდა,"** – განაცხადა კახეთის გუბერნატორთან ერთად საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე ოლქის პროკურორმა თამაზ ცაბუტაშვილმა. მისივე თქმით, ამოღებული მილების რაოდენობა 90 ტონას შეადგენდა, ხოლო ღირებულება - 50 ათასი ლარი იყო. თუმცა, როგორც პროკურორი ირწმუნება, შესაძლოა, მილების რაოდენობა 1257 ტონამდე გაიზარდოს, ჯართად გაყიდული მილების თანხა კი მჭედლიშვილმა მიითვისა. თამაზ ცაბუტაშვილი არ გამორიცხავს, რომ ამ საქმეში პარტიის სხვა წევრებიც იყვნენ გარეულნი. მჭედლიშვილს დაპირისპირებული "ნაციონალები" კი სიღნაღის გამგებლის ლობისტად პარლამენტარ მალხაზ ბეგიაშვილს ასახელებენ. თუმცა, აღნიშნული პიროვნების როლის შეფასებისგან ოლქის პროკურორი თავს იკავებს. იგი აცხადებს, რომ ამჯერად საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს და სიმართლე სულ მალე გაირკვევა.

ამ ფაქტით კახეთის გუბერნატორმა პეტრე ცისკარიშვილმა კორუმპირებულ ჩინოვნიკებს ღია ბრძოლა გამოუცხადა. **"წინა ხელისუფლების დროს პროკურატურა ხშირ შემთხვევაში ხელისუფლებას ურიგდებოდა. ამჯერად კი ასეთ უმსგავს საქციელს ბოლო უნდა მოეღოს. ყველა ჩინოვნიკს უნდა ესმოდეს, რომ ისინი ნებისმიერ დანაშაულზე აგებენ პასუხს, პარტიული კუთვნილებისა თუ თანამდებობის მიუხედავად,"** - აცხადებს ცისკარიშვილი.

*ზვიად რუაძე,*
*კახეთიდან*

# ევროსაბჭო საქართველოს მხარდამჭერთა "ბანაკშია"



ევროსაბჭოს წარმომადგენლები აღშფოთებულები არიან ცხინვალის ხელისუფლების ქმედებებით.

*საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წევრები მათიას იორში და ევგენი კირილოვი მკაცრად გმობენ იმ ძალების ქმედებებს, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ძალისმიერ მეთოდებს მიმართავენ და პროვოკაციებს აწყობენ. სტუმრები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამგვარი ქმედებების მიმართ საქართველოს ხელისუფლებას ყოველთვის გაწონასწორებული რეაქცია ჰქონდა. მათიას იორში რუსეთს მოუწოდებს, გამოიყენოს მთელი თავისი პოლიტიკური და დიპლომატიური ძალისხმევა, რათა სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობა საქართველოს ხელისუფლებასთან დიალოგის წარმოების აუცილებლობაში დაარწმუნოს.*

**"ევროპის საბჭო და მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევას, აღადგინოს თავისი სუვერენიტეტი საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. სუვერენიტეტის აღდგენა საქართველოში მცხოვრები თითოეული მოქალაქის ინტერესებში შედის,"** - აცხადებენ ევროსაბჭოს წარმომადგენლები.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მათიას იორშმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ რუსეთს ჩეჩნეთის საკითხში ძალიან სჭირდება ევროსაბჭოს დახმარება და როდესაც დუმის დელეგაცია სტრასბურგში ჩავა, იგი შეეცდება რუსი პარლამენტარების დარწმუნებას ორმაგი სტანდარტების მიუღებლობაში.

**"მოსკოვმა უნდა გააცნობიეროს, რომ სეპარატიზმის პრობლემა არსებობს როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ კავკასიაში,"** - შენიშნავს იორში, რომელიც იქვე იმასაც იხსენებს, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ერთადერთი სტრუქტურაა, რომელმაც, თავის დროზე, რუსეთის მიმართ სანქციები განახორციელა.

იორშისა და კირილოვის საქართველოში ვიზიტის პროგრამაში სამხრეთ ოსეთის თემატიკა სპონტანურად, კონფლიქტის ზონაში ვითარების გამწვავების კვალობაზე შევიდა. მათი სტუმრობის ძირითად მიზანს კი იმ ვალდებულებების შესრულების კონტროლი წარმოადგენდა, რომელიც საქართველომ ევროსაბჭოში გაწევრიანების დროს აიღო. იორშმა და კირილოვმა, საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, აჭარაც მოინახულეს და გუშინდელ პრესკონფერენციაზე თავიანთ ბათუმურ შთაბეჭდილებებზეც ისაუბრეს.

**"ასლან აბაშიძის 12-წლიანი მმართველობის დამხობით ფანტასტიკური რამ მოხდა. აჭარაში ყოფნისას დავინახე ხალხის უზარმაზარი ენთუზიაზმი და სურვილი იმისა, რომ ცვლილებები სწრაფად, ერთბაშად განხორციელდეს,"** - აღნიშნავს მათიას იორში. შორსმიმავალი დასკვნების გაკეთებისგან იგი თავს იკავებს, რადგან "ახალი ადმინისტრაცია ჯერ ჩამოყალიბების პროცესშია". თუმცა, ამავე დროს, ღიად გამოთქვამს თავის უკმაყოფილებას იმ სტატუსით, რომელიც აჭარისთვის განისაზღვრა.

**"პარლამენტის მიერ დამტკიცებული საკონსტიტუციო კანონით აჭარამ ნამდვილი ავტონომიის სტატუსი ვერ მიიღო. აჭარის ლიდერები, ფაქტობრივად, თბილისიდან ინიშნებიან და თავად აჭარის მოსახლეობის აზრი ნაკლებად არის გათვალისწინებული. ეს მით უფრო გულდასაწყვეტია, რადგან ავტონომიის მოსახლეობა მთლიანად ენდობა ცენტრალურ ხელისუფლებას, ეს უკანასკნელი კი რეგიონის ხელმძღვანელობას უფლებებს უკვეცავს,"** - დასძენს მათიას იორში.

რაც შეეხება ევროსაბჭოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს (სულ - 18), ევგენი კირილოვის თქმით, ზოგიერთი მათგანი უფრო მნიშვნელოვანი და სასწრაფოდ შესასრულებელია.

**"სასურველი იქნებოდა, დღემდე მომხდარიყო ისეთი დოკუმენტების რატიფიცირება, როგორიც არის, მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია და ჩარჩო-ხელშეკრულება ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ,"** - შენიშნავს კირილოვი.

მისივე თქმით, დღეს საქართველოში გაუმართლებელი აჟიოტაჟია ატეხილი "თურქ მესხებთან" დაკავშირებით.

**"ვადასტურებ, რომ მათი რეპატრიაციის საკითხი კვლავაც რჩება საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებათა ჩამონათვალში. თუმცა, ევროსაბჭოში კარგად ესმით, რომ ეს ურთულესი პრობლემაა, რადგან საქართველოს თავად ჰყავს იძულებით ადგილნაცვალი პირები. ამიტომ საკითხის მოგვარებას გარკვეული დრო დასჭირდება,"** - ევროსაბჭოს სახელით, ევგენი მარკოვი "თურქი მესხების" საკითხში საქართველოს ხელისუფლებას "შეღავათებს" ჰპირდება.

*გიორგი ასანიშვილი*

# კოკოითის მხარდამჭერი დემაგოგია მოსკოვიდან

სიახლეს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ რუსეთში სულ უფრო ძლიერდებიან საკუთარი პრეზიდენტითა და ქვეყნის სტრატეგიული კურსით უკმაყოფილო სამხედრო-პოლიტიკური ძალები. ეს ძალები საქართველოს მისამართით სერიოზულ უკმაყოფილებას გამოხატავენ. ამის დასტურად როგოზინისა და ჟირინოვსკის უკანასკნელი განცხადებებიც კმარა. ჟირინოვსკის ბოლო განცხადება, როგორც ყველა წინამორბედი, პუტინზე იყო გათვლილი - რუსეთის პრეზიდენტის ზედმეტ ლიბერალობასა და დემოკრატობას უსვამდა ხაზს. **"თუნდაც ერთ რუს ჯარისკაცს რომ შეხებოდნენ, მე, პუტინის ადგილას რომ ვყოფილიყავი, დილის ექვსი საათისათვის თბილისი უკვე დაბომბილი მექნებოდა,"** – ამბობს ვოლფოვიჩი. რა თქმა უნდა, ჟირინოვსკის არ აინტერესებს, როგორი რეაქცია უნდა მოაყოლოს საქართველოს ხელისუფლებამ საკუთარ მიწაზე ქართველი ჯარისკაცის დამცირებას.

კრემლის სტრუქტურებისთვის მომუშავე რუსი პოლიტოლოგები საკუთარი საგარეო საქმეთა მინისტრის მკაცრ განცხადებებს სრულ სოლიდარობას უცხადებენ. **"რუსეთის ოფიციალური ხელისუფლება აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ ძნელად შეეგუება მეზობელ ტერიტორიაზე სამხედრო კონფლიქტის ესკალაციას,"** - ასეთ აზრს გამოთქვამს რუსეთის ჰუმანიტარულ-პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის დირექტორი ვიაჩესლავ იგრუნოვი. საინტერესოა, რომ ეს პოლიტიკოსი ადრე მოსკოვის პოლიტიკურ ელიტაში საქართველოსადმი ლოიალობით გამოირჩეოდა. დღეს მანაც თვალსაზრისი შეიცვალა. ჩვენს შეკითხვაზე, თუ რამ გამოიწვია მისი ასეთი მეტამოფროზა, პოლიტიკოსი პასუხობს: **"სააკაშვილის ქმედებებმა და ჟვანიას განცხადებებმა".**

**"პირადად მე ქართველ ძალოვნებს ვადანაშაულებ ცხინვალის მისადგომებთან მომხდარ ინციდენტში. ეს იყო საქართველოს მიერ დაგეგმილი სპეცოპერაცია რუსული ტექნიკის ხელში ჩასაგდებად, რაც ოფიციალურმა თბილისმა პროპაგანდისტულ სვლად გამოიყენა,"** – ამბობს იგრუნოვი.

*რუსუდან ნიკურაძე*
*საკ.კორ.მოსკოვში*

# სახალხო დიპლომატიის იდეა

"ახლა შერიგების დროა" სტუდენტური გაერთიანება ე. წ. სტუდენტური დაუმორჩილებლობა ქართულ-ოსურ კონფლიქტის მოსაგვარებლად მნიშვნელოვნად მიიჩნევს სახალხო დიპლომატიის ამოქმედებას. ქართველ სტუდენტთა ჯგუფი სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან უკვე თვენახევარია, რაც ოსი ეროვნების სტუდენტებთან კონტაქტებზე გავიდა.

ქართველი სტუდენტები სამშვიდობო ინიციატივაში აქტიურ ჩართვას მთელ საზოგადოებას მოუწოდებენ. სტუდენტები უახლოეს მომავალში მრავალი სამშვიდობო აქციის ჩატარებას გეგმავენ. პირველი ღონისძიება 10 ივლისს გაიმართება ლიტერატურულ კაფეში. ამ დღეს ქართველი მსახიობები და მომღერლები, ცნობილი სახეები მთელ საზოგადოებას სამშვიდობო პროცესში ჩართვისკენ მოუწოდებენ. **"ოსი მოსახლეობისადმი კეთილი ნების საჯაროდ დემონსტრირება მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს კონფლიქტის დარეგულირებას",** - აცხადებენ სტუდენტები.

*24 საათი*

# სიტუაციის ესკალაცია საქართველოს ინტერესებში არ შედის

უშიშროების საბჭოს მდივნის გელა ბეჟუაშვილის თქმით, კოკოითის უკანონო ხელისუფლება, რომელიც თამაშგარე მდგომარეობაში დარჩა, სიტუაციის ცალხმრივ პროვოცირებაზე მიდის, თუმცა "საქართველოს მთავრობა ქართველ მოსახლეობას საფრთხის წინაშე არ დააყენებს".

ბეჟუაშვილი უკვე ესაუბრა თავის კოლეგას - რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანს იგორ ივანოვს. "რუსეთის მხარეს კატეგორიულად მოვთხოვეთ ქმედითი ღონისძიებების გატარება სამშვიდობო ძალების მეშვეობით, რათა აღკვეთილი იქნეს ისეთი უკანონო ქმედებები, რაც ამ ბოლო დროს ცხინვალში ხდება. ის, ვინც უკანონო ქმედებებში მონაწილეობდა, უნდა დააკავონ და მართლმსაჯულებას გადასცენ," - აღნიშნა ბეჟუაშვილმა. მისივე თქმით, ივანოვმა ყურადღებით მოუსმინა მას და შეჰპირდა, რომ დღის განმავლობაში იქნება მასთან კავშირზე და რუსეთის მხარე სიტუაციის ესკალაციის თავიდან ასაცილებლად შესაბამის ზომებს მიიღებს.

*ინტერ-პრესი*

# დსთ-ს მასშტაბით მოქალაქეთა აღრიცხვის ერთიანი სისტემა შეიქმნება

ბათუმში დსთ-ს ქვეყნების სასაზღვრო უწყებების სარდალთა საბჭოს 51-ე შეხვედრა გაიმართა. როგორც სასაზღვრო უწყებების სარდლებმა ბრიფინგზე განაცხადეს, მათ მიიღეს გადაწყვეტილება, დსთ-ს სივრცეში ერთიანი აღრიცხვის სისტემის შექმნის თაობაზე. ეს იქნება იმ ადამიანების აღრიცხვის სისტემა, რომლებიც დსთ-ს ქვეყნების საზღვრებს გადაკვეთენ. მესაზღვრეები აცხადებენ, რომ აღრიცხვის ერთიანი სისტემის არსებობის პირობებში, მიგრაციის და სხვა პროცესების გაკონტროლებას შეძლებენ.

*მედია-ნიუსი*

## იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტს, ყველა მეგობარ უნივერსიტეტს, სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრს

იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ახლახან მომხდარმა ვანდალურმა ქმედებამ მთელი საქართველო შეძრა და საერთაშორისო ყურადღებაც მიიპყრო. უფრო ადრე ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობის საუკეთესო ნიმუშთა მთლიანად მოხსნასა და სხვადასხვა კერძო კოლექციაში მათ გაუჩინარებას მოჰყვა ქართველთა სიამაყის, "ვეფხისტყაოსნის" ავტორის, რუსთაველის ერთადერთი ფრესკის განადგურება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტობა მიმართავს ყველა მეგობარ უნივერსიტეტს, პარტნიორ სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო ცენტრს, ყველას, ვისთვისაც ნათელია მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების მნიშვნელობა ერთა თვითგამორკვევისა და თანამედროვე საერთაშორისო თანამეგობრობაში ღირსეული დამკვიდრებისთვის, თანადგომა გამოუცხადოს ახალ ქართულ სახელმწიფოს, დაგმოს ჯვრის მონასტერში მოხდარი ვანდალური ფაქტი და მხარი დაუჭიროს ჯვრის მონასტრის საქართველოს იურისდიქციაში გადმოცემას. ამ გზით, ავიცილებთ თავიდან ჯვრის მონასტრის ქართულ ფასეულობათა საბოლოო განადგურებას; რაც მთავარია, აღდგება ისტორიული სამართლიანობა – ქართველთა სულიერების ერთი უმნიშვნელოვანესი საყრდენი, საუკუნე-ნახევრის წინათ დაკარგული ჯვრის მონასტერი დაუბრუნდება მის ისტორიულ წიაღს და, ამასთან ერთად, შეიქმნება ბერძენ, ებრაელ და ქართველ ხალხთა ერთობლივი კეთილი ნების შესანიშნავი მაგალითი.

*თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სახელით -*
*რექტორი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი*

# გადამხდელთა კავშირი იერიშზე გადასვლას აპირებს

"გადამხდელთა კავშირი" იერიშზე გადავა, თუ ფინანსთა სამინისტრო კოდექსის საბოლოო ვარიანტის შემუშავებისას ბიზნესჯგუფების შენიშვნებს არ გაითვალისწინებს.

გადამხდელთა კავშირის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ისაკაძე პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში აცხადებს, რომ კავშირის მესვეურთ კოდექსის პროექტში ჩადებული ადმინისტრაციული ნორმების მიმართ მთელი რიგი შენიშვნები გააჩნიათ, თუმცა ისაკაძე, კიდევ ერთი კვირის განმავლობაში, მისი გამოთქმისგან თავს შეიკავებს.

აღნიშნულ ვადაში "გადამხდელთა კავშირი", ბიზნესკონფედერაციის ექსპერტებთან ერთად, ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტზე მუშაობის პირველ ეტაპს დაასრულებს, რის შემდეგაც პროცესში ფინანსთა სამინისტრო უნდა ჩაერთოს. ისაკაძე აცხადებს, რომ ბიზნესჯგუფების რეკომენდაციების მაქსიმალურად გათვალისწინება მთავრობის ინტერესებში უნდა შედიოდეს, რადგან ამით აღმასრულებელ ხელისუფლებას წინასაარჩევნო დაპირებების შესრულების უნიკალური შანსი ეძლევა, რაც საგადასახადო წნეხიდან მეწარმეების გათავისუფლებაში გამოიხატება.

ამასთან დაკავშირებით, "სამგორი-ჯგუფის" ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ ბერუაშვილი პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში აცხადებს, რომ ფინანსთა სამინისტრო ორი კვირის წინ საკუთარ ვებ-გვერდზე განთავსებული საგადასახადო კოდექსის მუხლებს არ შეცვლის, რაც გადამხდელთა კავშირისთვის ფინანსთა სამინისტროზე იერიშის მიტანის საფუძველი გახდება.

*პრაიმ-ნიუსი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** პარლამენტარი ზვიად ძიძიგური არ ეთანხმება "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერის დავით გამყრელიძის მოსაზრებას, ცხინვალში პარლამენტის ბიუროს გასვლითი სხდომის ჩატარების თაობაზე. მისი თქმით, ეს მდგომარეობის ესკალაციასა და გამწვავებას გამოიწვევს.

■ ■ ■

**თბილისი.** 9 ივლისიდან არასამთავრობო ორგანიზაციათა კონფედერაცია „ცხინვალის სახლი", ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შექმნილი ვითარების გამო, საპროტესტო აქციებს იწყებს. მასში ცხინვალის რეგიონიდან დევნილი ქართველების გარდა, თბილისში მცხოვრები ოსებიც მიიღებენ მონაწილეობას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოხუმი აპირებს გადასცეს ცხინვალს იმ პირთა სია, რომლებმაც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს სამხედრო დანაშაული ჩაიდინეს და საქმიანობას "თეთრი ლეგიონისა" და "ტყის ძმების" ფორმირებებში აგრძელებენ. როგორც თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში ჟურნალისტებს განუცხადეს, სოხუმი აპირებს თხოვნით მიმართოს ცხინვალს, ასეთი პირების დაკავების შემთხვევაში, ისინი აფხაზურ მართლმსაჯულებას გადასცეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შექმნილი ვითარება შეიარაღებული შეტაკებებისა და ძალადობის საშიშროებას ქმნის, - აცხადებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი ალექსანდრ იაკოვენკო. რუსეთი კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარეს ცხინვალში უახლოეს დღეებში შეხვედრის გამართვას სთავაზობს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ შერეული კომისიის თანათავმჯდომარეები და შერეული სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მურად ჯიოევი გუშინ დილით სოფელ ვანათში დაკავებულთა გათავისუფლების გაჭიანურებაში შიდა ქართლში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულს მიხეილ ქარელს ადანაშაულებს. ჯიოევის განცხადებით, საქართველოს შინაგანი ჯარის ჯარისკაცები კარგა ხნის გათავისუფლებულნი იქნებოდნენ, რომ არა მიხეილ ქარელის მოქმედება, რომლის ინიციატივით ცხინვალისკენ დაკავებულთა მშობლები არ გაატარეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსგან სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში მიღებას და, "სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ საქართველოს ხელისუფლების აგრესიული ქმედებების გათვალისწინებით", ცხინვალის რეგიონში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების დაცვას მოითხოვს. ცხინვალიდან მიღებული ინფორმაციით, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსადმი მიმართვა თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებმა საერთო კრებაზე მიიღეს. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ჩვენი ჯარისკაცების დაჩოქებას არავის ვაპატიებთ

პირველი გვერდიდან

**გამოვიდა, იარაღი შუბლზე დაადეს. დანარჩენები კი კონდახებით სცემეს და ისე ჩაყარეს მანქანებში. 12 "უაზი-ით" და ექვსი "ბეემპეთ" იყვნენ. ამ პოსტიდან ორ ბიჭს სულ სისხლი ადინეს, ისე სცემეს. ჩვენმა ბიჭებმა დიდი გმირობა გამოიჩინეს, სროლა რომ არ ატეხეს, თორემ ოსები მთელ სოფელს ჩაცხრილავდნენ. აგერ, ამ ფაქტიდან რამდენი საათია გასული, მაგრამ არც ერთი ქართველი ჯარისკაცი აქ არ გამოჩენილა. რუსებმა კი, როგორც იქნა, ინებეს და აქვე დაბანაკდნენ. მანამდე აქ ყველაფერს ოსები აკონტროლებდნენ. უნდოდათ, გაგვიშვებდნენ ერედვისაკენ, ხან კი უკან გვაბრუნებდნენ. კაციშვილი ჩვენი მომხედი არ იყო. მაინც აქ ვართ და არსად წასვლას არ ვაპირებთ. მაგრამ დროა, ხელისუფლებამ მოგვხედოს. არც ფული გვაქვს, არც ყურადღება. მაინც აქ ვრჩებით!"** - ეს სიტყვები იმ ადამიანს ეკუთვნის, რომელიც გუშინ დილას სოფელ ვანეთში დატრიალებული მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდა.

ვანეთი, რომელიც მთლიანად ოსების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიით არის გარშემორტყმული, ერედვიდან სულ რაღაც ხუთიოდე კილომეტრში მდებარეობს. თუმცა, როგორც ადგილობრივები აცხადებენ, რუსი სამშვიდობოები დღემდე ამ ტერიტორიას არანაირ ყურადღებას არ აქცევდნენ.

გუშინ კი მათ სოფლის შესასვლელთან ბანაკი გაშალეს. **"აზრზე არ ვარ, რა ხდება. არ ვიცი, ვინ ვის ებრძვის. მე თვითონ კრასნოდარიდან ვარ. გვითხრეს, აქ ჩადექითო და ჩავდექით,"** - ასე გულახდილი აღმოჩნდა ჩვენთან საუბრისას ერთ-ერთი რუსი ჯარისკაცი. არც მეორე ჯარისკაცი ფლობდა ინფორმაციას ქართულ-ოსური კონფლიქტის შესახებ. **"ახლა ყველაზე მეტად რუსეთში დაბრუნება მინდა. მოსკოვთან ახლოს ვცხოვრობ. აქ ცოტა ხნის წინ ჩამოვედი,"** – არც მეორემ დაგვიმალა ოცნება.

გაცილებით საქმიანად გამოიყურებოდნენ მათი უფროსები. ჩვენთვის ფოტოების გადაღების უფლების მოსაცემად, თავად ბატონი ნაბდზოროვიც კი შეაწუხეს. მანაც გადაღების ნებართვა დიდსულოვნად გასცა – ეს ის იშვიათი შემთხვევა იყო, როდესაც რუსმა გენერალმა ჟურნალისტებს, მუშაობის დროს, არანაირი პრობლემა არ შეუქმნა. როგორც ჩანს, ვანეთთან რუსი სამშვიდობოების გამოჩენის აფიშირება მის ინტერესებში შედიოდა.



*სოფელ ვანეთში რუსულმა ჯავშანტექნიკამ დაიკავა პოზიციები.*

იური ლობოდინის ფოტო

სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენ რუს სამშვიდობოებს ვესაუბრებოდით, სოფელ ერედვიდან სროლის ხმები გაისმა – როგორც აღმოჩნდა, ხეითი-ერედვის დამაკავშირებელ შემოვლით გზაზე ოსებმა ქართველ სამშვიდობოებს მეორედ გაუხსნეს ცეცხლი. არსებული ინფორმაციით, ამ შეტაკების დროს კიდევ ორი ქართველი სამხედრო დაიჭრა.

საღამოს ექვსი საათისთვის ერედვში ვითარება უკიდურესად დაიძაბა. თუმცა, სოფლის დატოვებას არც ერთი ადგილობრივი მოსახლე არ აპირებდა. **"ოსების მიერ მთლიანად ალყაში ვართ, წადით აქედან. არც ერთი ჟურნალისტი სოფელს არ გაეკაროს,"** - ცხარობდა ადგილობრივი უშიშროების სამსახურის უფროსი და სოფლის დატოვებას კატეგორიულად გვთხოვდა. სოფელში არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა დიდი ლიახვის ხეობაში, მაგრამ ქართველი სამხედროების შეურაცხყოფის თაობაზე ხმა სწრაფად გავრცელდა. შესაბამისად, ოსების მიმართ აგრესიაც საკმაოდ იგრძნობოდა. ამის მიუხედავად, ერედველები მაინც თავშეკავებულები ჩანდნენ.

სწორედ ამ დროს ერედვში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი გამოჩნდა. სწორედ მაშინ გაისმა მინისტრის მხრიდან დაპირება – **"კოკოითის ხელისუფლებას დიდი ხნის არსებობა არ უწერია... "** სოფლის ცენტრში მოსახლეობასთან ხანმოკლე შეხვედრის შემდეგ იგი ტყვიავისკენ გაემართა. მასთან ერთად პატარა ლიახვის ხეობა ჟურანალისტებმაც დავტოვეთ.

უკვე მოგვიანებით, საღამოს ცხრა საათისთვის, ტყვიავთან ცხინვალიდან დაბრუნებული სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა გამოჩნდა. ირაკლი ოქრუაშვილის მსგავსად, მან შექმნილი ვითარების განმუხტვაში განსაკუთრებული როლი რუს სამშვიდობოებს დააკისრა და იქვე დასძინა, რომ კოკოითის ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, ოსეთის რიგითი მოქალაქეები საკმაოდ შეშფოთებულები იყვნენ ბოლო ორ დღეში განვითარებული მოვლენებით. რაც შეეხება ცხინვალში გადაყვანილ ქართველ სამხედროებს. სახელმწიფო მინისტრის თქმით, რუსმა სამშვიდობოებმა ქართულ მხარეს მათი დაბრუნების პირობა მისცეს. ამისთვის სპეციალურად ჩამოვიდა მოსკოვიდან გენერალი ევნეევი.

დაბოლოს: გუშინ ქართული მხარე მაქსიმალურად ცდილობდა პროვოკაციის თავიდან აცილებას, მაგრამ სრულიად ცხადი იყო, რომ საქართველოს ხელისუფლება მოვლენების განვითარების ნებისმიერი სცენარისთვის მზად იყო.

# ქართულ-ოსური კონფლიქტის პოლიტიკური შეფასებები

ნინო გომართელი

**"მთლიანად ვეთანხმები საქართველოს ხელისუფლების ქმედებებს და ჩვენ ყველანი ახლა მათ მხარში უნდა ამოვუდგეთ, დღეს ოპოზიციონერობის დრო არ არის,"** – აცხადებს ჩვენთან საუბარში საპარლამენტო უმრავლესობას მოწყვეტილი ზვიად ძიძიგური.

მასვე უმთავრეს საკითხად მიაჩნია ანულირება 1992 წელს დაგომისში, საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებს შორის მიღწეული შეთანხმებისა, რომლის საფუძველზეც ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობოები შევიდნენ.

ზვიად ძიძიგური ამ საკითხის პარლამენტის წინაშე დაყენებას აპირებს.

**"სამხრეთ ოსეთში დისლოცირებული რუსეთის სამშვიდობო ძალები ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მხარეს არიან და მათი ყველა ქმედება ვითარების პროვოცირებისკენ არის მიმართული,"** – აცხადებს სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატი.

ასევე გაოპოზიციონერებული კობა დავითაშვილი ცხინვალის რეგიონში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, ხელისუფლებას უფრო ქმედითი ღონისძიებებისკენ მოუწოდებს.

**„ის, რაც ახლა ხდება, არის თავდასხმა ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების, კერძოდ კი, კოკოითის მხრიდან, რასაც საქართველოს ხელისუფლების მიერ საკადრისი პასუხის გაცემა აუცილებლად სჭირდება. თუ არსებობს სახელმწიფო, მან უნდა უზრუნველყოს ის, რომ ყველა კრიმინალი ციხეში ჩასვას,"** – ამბობს იგი.

რაც შეეხება რუსეთის სამშვიდობოებს, დავითაშვილი, ისევე როგორც სხვები, ამტკიცებს, რომ ეს არის კოკოითის მომხრე საოკუპაციო ჯარი, რომელმაც ქვეყნის ტერიტორია სასწრაფოდ უნდა დატოვოს.

ზვიად ძიძიგურისაგან განსხვავებით, კობა დავითაშვილი მთავრობის ქმედებებით უკმაყოფილოა და ვერ ხედავს იმის აუცილებლობას, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ჩავიდეს.

**"მე არ ვაპირებ იქ ჩასვლას, რადგან არც გენერალი ვარ და არც სამხედრო პირი,"** – ამბობს დავითაშვილი.

არასამხედრო პირი, თუმცა საპარლამენტო ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიცია – მრეწველები, ახლების" ლიდერი დავით გამყრელიძე გუშინ კონფლიქტის ზონაში ჩავიდა, შეხვდა მოსახლეობას და დარწმუნდა, რომ მთავარი ამოცანა და პრობლემა, ამჟამად, იმ ტერიტორიაზე მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაა.

**"სიტუაციამ უკვე ისეთ პიკს მიაღწია, რომ მოსალოდნელია ხალხზეც იქნეს იერიში მიტანილი და დევნილების ახალი ტალღა გაჩნდეს. მოსახლეობა პანიკაშია, რადგან მათ არ აქვთ იარაღი თავდასაცავად. მე ხელისუფლებას სამხედრო ქმედებებისკენ ან შეიარაღებული დაპირისპირებისკენ არ მოვუწოდებ, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ელემენტარული უსაფრთხოება უნდა უზრუნველვყოთ,"** - აცხადებს დავით გამყრელიძე. იგი საქართველოს პრეზიდენტს ირანში ვიზიტის სასწრაფო შეწყვეტას და ქმედითი ზომების მიღებას ურჩევს, ამასთანავე, ქართული მხარის რუსი სამშვიდობოების იმედზე ყოფნა ვითარების არაადეკვატურად მიაჩნია.

**"უმოკლეს ვადაში უნდა დადგეს საკითხი მათი საქართველოდან გაყვანის თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ აქვთ მანდატი და უფლება შემოიტანონ საბრძოლო მასალა, რომელიც, ყველამ კარგად ვიცით, გამოყენებული იქნება ოსი სეპარატისტების მიერ საქართველოს წინააღმდეგ,"** – ამბობს იგი და საქართველოს პარლამენტის ბიუროს გასვლითი სხდომის ჩატარებას მოითხოვს კონფლიქტის ზონაში, **"რომ იქ მცხოვრებმა ქართულმა მოსახლეობამ პოლიტიკური სპექტრის მხარდაჭერა იგრძნოს".**

"რესპუბლიკური პარტიის" ლიდერი დავით ბერძენიშვილი ასევე გულშემატკივრობს ხელისუფლებას კონფლიქტის დარეგულირების საქმეში და იმედოვნებს, რომ კონტროლის აღდგენა მოხდება, თუმცა მიიჩნევს - საჭიროა ბალანსირებული პოლიტიკის წარმართვა.

**"საქართველოს ხელისუფლებას ვითარების მშვიდობიანი გზით მოგვარება მოეთხოვება, უნდა გაფართოვდეს კონტაქტები ოსურ მხარესთან. ის, რომ კოკოითი იდიოტია, იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენც მასავით მოვიქცეთ,"** – აღნიშნავს რუსეთის სამშვიდობო ძალებზე გაცხარებული დავით ბერძენიშვილი.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძე არ გამორიცხავს, რომ ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის საგანგებო სხდომა იქნეს მოწვეული.

**"თვითაღირებული ოსეთის ხელისუფლება საქართველოს ხელისუფლების მიმართ ღია პროვოცირებას ეწევა, თუმცა ქართული მხარე ყველაფრისთვის მზად არის და ოსური მხარის ნებისმიერ შესაძლო პროვოკაციაზე ადეკვატური რეაგირება ექნება,"** - აღნიშნა ნადირაძემ.

ამასთანავე, იგი აცხადებს, რომ, თუ კონფლიქტის ზონაში მოქმედი სამშვიდობო ძალები მშვიდობის შესანარჩუნებლად ვერაფერს გააკეთებენ, მათი გაყვანის საკითხი აუცილებლად დადგება.

# მთავარი ამოცანა - არ იქნეს დაშვებული შეიარაღებული დაპირისპირება

პირველი გვერდიდან

**უნდა გაათავისუფლონ კოკოითის ხელისუფლების მიერ აყვანილი 50-მდე ქართველი სამხედრო პირი,"** - განაცხადა ზურაბ ჟვანიამ გუშინ დილით საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე და კონფლიქტის ზონაში განლაგებულ რუს სამშვიდობოებს ქართველი მძევლების გასათავისუფლებლად ორსაათიანი ვადა მისცა.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ გუშინ, გამთენიისას, ოსმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა უპრეცედენტო ქმედებები განახორციელეს, ვერაგულად შევიდნენ სოფელ ვანათში, საიდანაც შსს-ს შინაგანი ჯარის 50-მდე ქართველი სამხედრო აიყვანეს. აღნიშნული ქმედება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის პროვოკაციად შეაფასა, რომელიც მიზნად ისახავდა შეიარაღებული დაპირისპირების გაჩაღებას ქართველებსა და ოსებს შორის.

**"მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკა, ისევე როგორც მთავრობის პოლიტიკა, ერთმნიშვნელოვანია - ჩვენ გვინდა მშვიდობიანი დიალოგი ოსურ მხარესთან. ჩვენ გვინდა, რომ სამხრეთ ოსეთის პრობლემა დიალოგის გზით გადავწყვიტოთ,"** - აღნიშნა ჟვანიამ. გარდა ამისა, პრემიერის განცხადებით, უშიშროების საბჭოს მდივანს გელა ბეჟუაშვილს სატელეფონო საუბარი ჰქონდა რუს კოლეგასთან იგორ ივანოვთან, რომელმაც ერთმნიშვნელოვნად დაუჭირა მხარი საქართველოს ხელისუფლების ქმედებებს.

■ ■ ■

აღნიშნული ბრიფინგიდან რამდენიმე საათში, კანცელარიის მეათე სართულზე საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური ელიტა შეიკრიბა. პრემიერ-მინისტრმა ელჩები, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოს საგარეო უწყების წარმომადგენლები სამხრეთ ოსეთში განვითარებულ მოვლენებზე სასაუბროდ თავად მიიწვია. ჟურნალისტები შეხვედრის მხოლოდ პირველ ნაწილს დაასწრეს, სადაც ჟვანიამ საგანგებო განცხადება გააკეთა: **"ძალიან შემაშფოთებლად ვითარდება მოვლენები. ამ წუთებში მივიღე ინფორმაცია, რომ თამარაშენსა და ქურთას შორის მდებარე ერთ-ერთ ჩვენს ბლოკ-პოსტზე თავდასხმა მოხდა. ჩვენი ინფორმაციით, მსგავსი თავდასხმები კიდევ გაგრძელდება. გარდა ამისა, ჩვენი მონაცემებით, როკის გვირაბის მეორე მხარეს მობილიზებულია რუსეთის სამხედრო შენაერთები. ჯერჯერობით, ისინი საქართველოში არ შემოსულან. ძალიან დეტალურად ვაკვირდებით სიტუაციის განვითარებას და ყოველ ზომას ვხმარობთ, რომ არ დავუშვათ შეიარაღებული დაპირისპირება. გვინდა, რომ ჩვენი აღნიშნული პოზიცია მთელმა მსოფლიომ იცოდეს,"** – აღნიშნა ჟვანიამ.

ელჩებთან შეხვედრა, დაახლოებით, ორმოც წუთს გაგრძელდა. ჟურნალისტებმა ვრცელი კომენტარი მოისმინეს რუსეთის ელჩის ვლადიმერ ჩხიკვიშვილისგან. იგი ოსურ და ქართულ მხარეებს მოლაპარაკებებისკენ მოუწოდებს. **"სიტუაცია ძალიან მწვავე და მძიმეა. რუსეთის პოზიცია მარტივია: უნდა დავსხდეთ და მოლაპარაკებების მაგიდასთან გადავწყვიტოთ ყველა ის პრობლემა, რაც რეალურად არსებობს,"** – აღნიშნავს ჩხიკვიშვილი და ქართული მხრიდან ორმხრივი შეთანხმებების დარღვევაზე საუბრობს: **"ქართული მხარის მთელი რიგი ქმედებები არსებული შეთანხმებების დარღვევით განხორციელდა. ამ ყველაფერმა სიტუაციის დაძაბვას შეუწყო ხელი. სტაბილურობას არც ის ინციდენტი უწყობდა ხელს, რომელიც რუსი სამხედროების ავტოკოლონას შეემთხვა,"** – განაცხადა მან. ჩხიკვიშვილმა ერთმნიშვნელოვნად უარყო გავრცელებული ინფორმაცია როკის გვირაბის მეორე მხარეს რუსული ჯარების მობილიზების შესახებ. ამასთან, მან აღნიშნა, რომ **"როდესაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია სამშვიდობოებზე საუბრობს, უნდა გვახსოვდეს, რომ სამშვიდობო კონტინგენტში რუსულთან ერთად, ქართული და ოსური ბატალიონებიც შედიან".**

დიპლომატიური კორპუსისა და პრემიერის გუშინდელ შეხვედრას არ დასწრებია აშშ-ს ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოში არ იმყოფება.

■ ■ ■

ცხინვალში განვითარებულ მოვლენებს გუშინ აქტიურად გამოეხმაურა საერთაშორისო თანამეგობრობა.

დღის ოთხი საათისთვის, პრემიერ-მინისტრი ჟვანია ტელეფონით ესაუბრა აშშ-ს სახელმწიფო მდივანს კოლინ პაუელს, რომელიც ცხინვალში განვითარებული მოვლენებით დაინტერესდა.

საუბრის დეტალები ჟვანიამ ჟურნალისტებს თავად გააცნო.

როგორც პაუელმა აღნიშნა, აშშ-ს მთავრობა აქტიურად ჩაერთვება მიმდინარე პროცესებში და მოლაპარაკებებს რუსულ მხარესთანაც გამართავს, რათა რეგიონში შექმნილი დაძაბული სიტუაცია ყოველგვარი გართულებების გარეშე განიმუხტოს.

გუშინვე ჟვანია ორჯერ ესაუბრა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანს იგორ ივანოვს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრს სატელეფონო საუბარი ჰქონდა ასევე ეუთო-ს მისიის მოქმედ თავმჯდომარესთან, ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან სოლომონ პასთან. პასი შეშფოთებას გამოხატავს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ფორმირებებს მოუწოდებს, გაათავისუფლოს დაკავებული ქართველი ჯარისკაცები.

**"მიმაჩნია, რომ ეს არის ძალიან საშიში ნაბიჯი და მოვუწოდებ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციას, დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ დაკავებულები,"** - აღნიშნა ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა. მან, ზურაბ ჟვანიასთან ერთად, სამხრეთ ოსეთში არსებული სიტუაცია და ამ სიტუაციის დასარეგულირებად ეუთო-ს როლი განიხილა.

მოგვიანებით, ეუთო-ს ოფიციალურ საიტზე ვრცელდება განცხადება, სადაც პასი მოუწოდებს სამხრეთ ოსეთის მთავრობას, თავი შეიკავონ ნებისმიერი სახის ქმედებისგან, რაც ხელს შეუწყობს დესტაბილიზაციას კონფლიქტის ზონაში.

**"კრიზისის მშვიდობიანი გზით გადასაჭრელად ყველა ზომა იქნება მიღებული. ეუთო მზად არის დახმარება გაუწიოს საქართველოს აღნიშნული საკითხის მოგვარებაში,"** - განაცხადა პასმა.

გუშინ, საღამოს რვა საათისთვის, სატელეფონო საუბარი შედგა ჟვანიასა და ევროკავშირის უმაღლეს კომისარს საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების საკითხებში ხავიერ სოლანას შორის.

როგორც ჟურნალისტებს სახელმწიფო მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა განუცხადა, სატელეფონო საუბრისას სოლანამ აღნიშნა, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის მომხრეა. მანვე მოუწოდა მხარეებს, ყველაფერი იღონონ, რათა რეგიონში სიტუაცია არ დაიძაბოს.

**"განცხადების გაკეთებას გეგმავს ევროკომისიის თავმჯდომარე ქვეყანაც, რომელიც მხარეებს არა მარტო მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომისკენ მოუწოდებს, არამედ აფიქსირებს იმ საშიშროებას, რაც რეგიონში კონფლიქტის ესკალაციის შემთხვევაში შეიქმნება. საერთაშორისო თანამეგობრობა სამშვიდობოებსაც მიმართავს, რათა მათ, სიტუაციის დაძაბვის თავიდან ასაცილებლად, ქმედითი ღონისძიებები განახორციელონ,"** - განაცხადა ბერუჩაშვილმა.

■ ■ ■

დღის მეორე ნახევარში კანცელარიაში, პრემიერ-მინისტრის კაბინეტში ძალოვანი უწყებების პირველი პირები – თავდაცვისა და უშიშროების მინისტრები და გენერალური შტაბის უფროსი იკრიბებიან. საათნახევრიანი თათბირი დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობს, ჟურნალისტებისთვის კომენტარები შეხვედრის დასასრულს კეთდება.

გენშტაბის ხელმძღვანელის გივი იუკურიძის შეფასებით, ცხინვალის რეგიონში სიტუაცია დაძაბულია, მაგრამ სერიოზული გამწვავებისკენ არ მიდის.

**"შექმნილი მდგომარეობის მოგვარების რამდენიმე ვარიანტი გაგვაჩნია. სასურველი იქნებოდა, პროვოკაციის ორგანიზატორების პასუხისმგებლობის საკითხი დამდგარიყო, მაგრამ ოსი და ქართველი ხალხის ხელახალი დაპირისპირება არ შეიძლება,"** - განაცხადა იუკურიძემ.

**"ნაძირალა კოკოითი ყველაფერზე პასუხს აგებს. დღეს იქნება თუ ხვალ, ჩვენ მას ამ მოვლენებს არ შევარჩენთ,"** - განაცხადა თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ სახელმწიფო კანცელარიაში ჟურნალისტებთან საუბრისას. მისი თქმით, კოკოითი და მისი სეპარატისტული ხელისუფლება ყველანაირ პროვოკაციაზე მიდის, თუმცა ქართული მხარე ყველაფერს აკეთებს, რათა სისხლისღვრა არ მოხდეს.

**"ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დაძაბული ვითარებაა და სწორედ ეს უნდათ სეპარატისტულ ხელისუფლებას და საქართველოს მტრებს, მაგრამ ჩვენ ომი არ გვაწყობს, განა იმიტომ, რომ სუსტები ვართ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ გვინდა, საქართველო ნორმალური და მშვიდობიანი ქვეყანა იყოს. ჩვენ მოვლენების ყველანაირი განვითარებისთვის მზად ვართ. მადლობა ღმერთს, დღეს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ცხინვალში განვითარებული მოვლენების მიღმაა, მაგრამ, ვაი, მათი ბრალი, თუ ჩვენ პროცესებში ჩართვა მოგვიწია,"** - განაცხადა ბარამიძემ.

მისი თქმით, დიდი ლიახვის ხეობაში თავდასხმებია მოსალოდნელი, ხოლო ჩრდილო კავკასიაში გარკვეული ძალების კონცენტრაცია შეინიშნება, თუმცა ფართომასშტაბიანი გადმოსვლები ჯერ არ განხორციელებულა.

■ ■ ■

სამაჩაბლოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, საქართველოს უშიშროების მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლება, კონკრეტულად, ედუარდ კოკოითი ფართომასშტაბიან კონფლიქტში საქართველოს ჩათრევის მცდელობაში დაადანაშაულა. ვანო მერაბიშვილის ინფორმაციით, ედუარდ კოკოითი კარგა ხანია პროვოკაციებს გეგმავს, რომელიც 7-9 ივლისს უნდა განხორციელებულიყო, თუმცა, როგორც საქართველოს უშიშროების მინისტრი აცხადებს, სეპარატისტთა პროვოკაციული გეგმის დეტალები საქართველოს ხელისუფლებისთვის წინასწარ იყო ცნობილი.

**„კოკოითი ომისთვის მზად არის, რადგან მას სხვა გამოსავალი აღარ დარჩა. მისი პროვოკაციები ძალიან ჰგავს აჭარაში ხიდების აფეთქების ფაქტს, მაგრამ საქართველომ შეძლო თავიდან აეცილებინა პროვოკაციები და ომში არ ჩაბმულიყო,''** – აცხადებს უშიშროების მინისტრი. მისივე ინფორმაციით, პროვოკაციები არც მომავალშია გამორიცხული, რადგან როკის გვირაბიდან 10 კილომეტრის დაშორებით თავმოყრილია დიდი რაოდენობით შეიარაღება და ამის შესახებ უკვე ინფორმირებულია საერთაშორისო საზოგადოება, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება მოუწოდებს, რომ როკის გვირაბთან განლაგებული რუსული სამხედრო ტექნიკის მონიტორინგი განახორციელოს.

**„საქართველოს ხელისუფლებას აქვს ყველა ძალა და რესურსი, რათა აღკვეთოს პროვოკაციები და დაიცვას საკუთარი მოსახლეობა. ხელისუფლება არ დაუშვებს ვითარების გამწვავებას, მით უმეტეს მაშინ, როცა ქართველი და ოსი ხალხის დაახლოების პროცესი უკვე დაწყებულია და მოსახლეობა კოკოითის პოლიტიკით უკმაყოფილოა,"** – ამბობს ვანო მერაბიშვილი.

**''დღეს სხვადასხვა ქართულ პოსტებზე წინასწარ დაგეგმილი შეტევები განხორციელდა, თუმცა ამ ეტაპზე ქართულმა მხარემ პროვოკაცია თავიდან აიცილა. მოვლენებში ჩართულია ყველა დიპლომატიური წყარო. ჩვენ ვაკონტროლებთ სიტუაციას, ყველა დასახლებულ პუნქტს, საკმარისი ძალები გაგვაჩნია დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად,''** - განაცხადა უშიშროების მინისტრმა.

რაც შეეხება შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების უახლოეს გეგმებს, მერაბიშვილის განცხადებით, ხელისუფლება სიტუაციას აკონტროლებს და შესაბამისი გეგმაც გააჩნია, თუმცა უმთავრეს ამოცანას სამხედრო დაპირისპირების თავიდან აცილება წარმოადგენს. გარდა ამისა, ვანო მერაბიშვილის განცხადებით, საქართველოსთვის ცნობილია კონფლიქტის ზონაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით რუსეთის ოფიციალური პოზიცია, რაც კოკოითის გეგმებს არ ემთხვევა.

■ ■ ■

**"ჩვენთვის ცნობილია, რომ ქართულ სოფლებზე შეტევა იგეგმება, თუმცა ჩვენ შეგვწევს ძალა, ყველა შესაძლო პროვოკაციას ადეკვატურად ვუპასუხოთ და ნებისმიერ ძალადობას დავუპირისპირდეთ. საქართველოს ხელისუფლება კონფლიქტის ზონაში მოქმედი რუსი სამშვიდობოებისგან კონკრეტულ შედეგებს ელის, რაც, პირველ რიგში, ოსური მხარის მიერ დაკავებული 50 ქართველი ჯარისკაცის გათავისუფლებაში უნდა გამოიხატოს. საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ კონფლიქტში არ ჩაერთოს, თუმცა ქართველი სამხედროები თავდასხმის შემთხვევაში შესაბამის რეაგირებას მოახდენენ,"** - განაცხადა პრემიერმა ჟვანიამ გუშინ დღის ბოლოს გამართულ ბრიფინგზე. მან აღნიშნა, რომ ცხინვალის რეგიონში შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებლობა **"არა ავანტიურისტ კოკოითს, არამედ იმ ქვეყანას ეკისრება, რომელმაც სამშვიდობო პროცესების წარმართვის ვალდებულება აიღო".**

ჟვანიას თქმით, თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ედუარდ კოკოითსა და მის გარემოცვას **"ზურგს უმაგრებს რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური ელიტის ზოგიერთი წარმომადგენელი".**

საქართველოს პრემიერმა აღნიშნა, რომ რუსეთთან მუდმივი კონსულტაციები მიმდინარეობს. მისი ინფორმაციით, დღეისთვის პრეზიდენტ სააკაშვილისა და პრეზიდენტ პუტინის სატელეფონო საუბარია დაგეგმილი.

**"რუსეთის წარმომადგენლები ქმედითი ღონისძიებების გატარებას გვპირდებიან, თუმცა, ჯერჯერობით, დაპირებები დაპირებებად რჩება,"** - აღნიშნა ჟვანიამ.

მან ქართველი ჯარისკაცების მძევლად აყვანის ფაქტს "ამაზრზენი პროვოკაცია" უწოდა. **"საქართველოში ყველა შეძრულია იმ ამაზრზენი და შეურაცხმყოფელი კადრებით, რომელიც ტელევიზიის მეშვეობით ვრცელდება,"** - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

International Finance Corporationa Member of the World Bank Group

**სააქციო საზოგადოებების ხელმძღვანელობის საყურადღებოდ!**

**საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი** აცხადებს კონკურსს სააქციო საზოგადოებებისათვის, კორპორაციული მართვის დანერგვის პილოტურ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

კორპორაციული მართვა ესაა სისტემა, რომლის მეშვეობითაც კომპანიის მართვა და კონტროლი ხორციელდება. საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის კორპორაციული მართვის გაუმჯობესების კომპონენტი მიმართულია ქართული საწარმოების გაჯანსაღებასა და მათ მიერ დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობის შექმნაზე. პირველ ეტაპზე შეირჩევა 5 სააქციო საზოგადოება. შერჩეული სააქციო საზოგადოებები პილოტურ პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ შეძლებენ:

კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას;
გაზრდილი ქონების ღირებულების, გუდვილის, საზოგადოების აქციების ღირებულების ხარჯზე სარგებლის მიღებას;
დივიდენდების გაზრდას / გაცემას;
გარეშე ფინანსირებაზე გასვლას (კაპიტალის ბაზრები);
შრომითი რესურსების მოზიდვას (მმართველები და თანამშრომლები);
სამუშაო ადგილების ზრდასა და ზოგადად ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას.

მსურველი სააქციო საზოგადოება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
1. კომპანია უნდა იყოს რეგისტრირებული სააქციო საზოგადოებად;
2. კომპანიაში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს.

დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ დაუკავშირდეთ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტს შემდეგ მისამართზე:
თბილისი, ი. ჭავჭავაძის I ჩიხი, 5ა.
ტელ.: 91 26 89, 91 29 58, 91 30 96
ფაქსი: 91 34 80
პილოტური პროგრამის პირველი ეტაპის დახურვის თარიღია ა.წ. 16 ივლისი.

თავი დავაღწიოთ ყელის ტკივილს! იოქსი
(პოლივიდონ-იოდი+ალანტოინი)
იოქსი-ანტისეპტიკური საშუალებაა, რომელსაც გააჩნია ფართო ანტიბაქტერიული, ბაქტერიოციდული და ანთებისსაწინააღმდეგო მოქმედება. იგი წლების მანძილზე გამოცდილი პრეპარატია, რომელიც დაგეხმარებათ გაუმკლავდეთ ანგინას, ტონზილიტს, ხახის ანთებას, ფარინგომიკოზებს. განსაკუთრებით ნაჩვენებია ხახისა და ყელის ქრონიკული დაავადებებისას, რომელსაც თან ახლავს სიმშრალე და ლორწოვანი გარსის ატროფია.
იოქსი ასევე რეკომენდებულია, როგორც პროფილაქტიკური საშუალება მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციების დროს. იოქსის ორი ფორმა აეროზოლი და ხსნარი არის მოსახერხებელი, როგორც საექიმო მანიპულაციებისას, ასევე სახლის პირობებში მკურნალობისას.



IVAX Pharmaceuticals
აივექს ფარმასეტიკალს
ყელის ტკივილის საშველად

# სადამდე ავა ნავთობის ფასი?

თორნიკე შარაშენიძე

ნავთობის ფასები მსოფლიო ბაზარზე კვლავ კრიტიკულ მაჩვენებლებს აღწევს და, როგორც ჩანს, ახლო მომავალში ვითარების გამოსწორებას არ უნდა ველოდოთ. საამისოდ რამდენიმე სერიოზული მიზეზი არსებობს: ერაყული ნავთობის ექსპორტის წინააღმდეგ მიმართული განუწყვეტელი საბოტაჟები, "იუკოსის" გარშემო შექმნილი კრიტიკული ვითარება და შემაშფოთებელი ცნობები ნიგერიიდან.

შაბათ-კვირას ერაყში მილსადენზე მორიგი ტერაქტი განხორციელდა, რის შედეგადაც ექსპორტის მოცულობა განახევრდა. აშკარაა, რომ ერაყული ნავთობმრეწველობის სრული დატვირთვით ამუშავება კიდევ ძალიან დიდხანს არ მოხერხდება და ესეც რომ მოხდეს, ექსპორტირება მაინც დიდ პრობლემებს წააწყდება. როცა მსოფლიოს სიდიდით მეორე სანავთობო ქვეყანა (საუდის არაბეთის შემდეგ) მსოფლიო ბაზარზე, პრაქტიკულად, ვერ გადის, ამან შეუძლებელია არ იმოქმედოს ფასებზე იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ნავთობი ბაზარზე საკმარისი ოდენობითაა.

ასევე უარყოფით გავლენას ახდენს ბაზარზე "იუკოსის" სკანდალი, რომელიც თავისი მასშტაბით დიდი ხანია გასცდა რუსეთის მასშტაბებს. გავლენის სიდიდე გასაგები გახდება, თუკი გავითვალისწინებთ, რომ "იუკოსზე" რუსეთში წარმოებული ნავთობის მთელი ერთი მეხუთედი მოდის.

"იუკოსმა" უკვე 1 მილიარდი დოლარის ვალებზე გამოაცხადა დეფოლტი. კომპანიას სულ 7 მილიარდი მართებს და, ცხადია, გაკოტრების ზღვარზე იმყოფება. თუკი "იუკოსმა" მუშაობა თუნდაც დროებით შეწყვიტა, მსოფლიო ბაზრებზე სერიოზულ პანიკას და ნავთობის კიდევ უფრო გაძვირებას უნდა ველოდოთ.

საქმეს ვერ შველის "იუკოსის" განცხადებები იმის თაობაზე, რომ მიმდინარე თვეში იგი ექსპორტს არ შეამცირებს. ამგვარ განცხადებებს ბირჟებზე დიდი დაიმედებით არ ხვდებიან.

ამასობაში, გაფიცვის საშიშროებაა ნიგერიაში. კერძოდ, ასეთი მუქარით გამოდის ადგილობრივ მოსამსახურეთა პროფკავშირული გაერთიანება "პენგასანი." უკმაყოფილების მიზეზი ნიგერიაში მოღვაწე ამერიკული ნავთობგიგანტი "ექსონმობილია," რომელიც პროფკავშირული ორგანიზაციის განცხადებით, დაპირებული კომპენსაციების გაცემაზე უარს აცხადებს.

ნიუ იორკის ბირჟაზე ბარელი ნავთობის ფასი უკვე 39 დოლარს ასცდა. ასეთ ვითარებაში მსოფლიო ბაზარი ისევ ოპეკის იმედად რჩება. ამ უკანასკნელმა ნავთობმოპოვება უკვე გაზარდა და უახლოეს მომავალში ისევ იგივეს აპირებს. მაგრამ ეს საკმარისი აშკარად არ არის. მოთხოვნილება "შავ ოქროზე" ლამის დღითიდღე მატულობს, პირველ რიგში, სწრაფად განვითარებადი ქვეყნების (ჩინეთი) ხარჯზე.

სპეციალისტები უკვე დიდი ხანია საუბრობენ 70-იანი წლების კატასტროფის შესაძლო განმეორებაზე. მაშინ ოპეკმა ახლო აღმოსავლეთში აშშ-ს შექმნილი ვითარებისადმი პროტესტის ნიშნად ნავთობის ფასი აწია და ამას გლობალური ინფლაცია მოჰყვა. ჯერჯერობით, საქმე აქამდე არ მიდის, მაგრამ არც ბევრი აკლია.

# ბრიტანეთის მრეწველობა საფრთხის ქვეშ დგას

თორნიკე შარაშენიძე

მას შემდეგ, რაც ბრიტანეთის ხელისუფლებაში ლეიბორისტები მოვიდნენ, ქვეყნის სამრეწველო სექტორში 750 ათასი სამუშაო ადგილი გაქრა. ასეთი შემაშფოთებელი მონაცემები გამოაქვეყნა ადგილობრივი პროფკავშირების კონგრესმა. ამ ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით, ბრიტანეთის მთავრობა ევროპაში ყველაზე ნაკლებ ხელშეწყობას უჩენს საკუთარ მრეწველობას.

ოფიციალური ლონდონი თავის პოზიციას იმით ამართლებს, რომ მაღალი სუბსიდიები საბოლოო ჯამში დათვურ სამსახურს გაუწევს ქვეყნის ეკონომიკას, მაგრამ პროფკავშირების კონგრესს ეს არგუმენტი საკმარისად არ მიაჩნია. ორგანიზაციას მაგალითად მოჰყავს საფრანგეთის, გერმანიის, იტალიისა და ესპანეთის მთავრობათა მოღვაწეობა, სადაც ადგილობრივი მრეწველობები ორჯერ მეტ დახმარებას იღებენ, ვიდრე ეს ბრიტანეთში ხდება.

ევროპულ მრეწველობაში შექმნილი სირთულეების მიზეზი ჩინეთთან და ინდოეთთან გამძაფრებული კონკურენციაა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ ქვეყნებში მუშახელი გაცილებით უფრო იაფია და, შესაბამისად, აქაური საქონლის ფასიც უფრო დაბალი და კონკურენტუნარიანია.

აქედან გამომდინარე, ევროპელი და, მათ შორის, ბრიტანელი მრეწველები, იძულებულნი არიან, უარი თქვან თავიანთი თანამშრომლებისათვის დამატებითი ფინანსური შეღავათების გაწევაზე (რათა პროდუქციის ფასი კიდევ უფრო არ გაიზარდოს). მაგრამ ბრიტანეთს გარეთ მრეწველობები სამთავრობო სუბსიდიებს იღებენ და ამიტომ, მრეწველობის იქაურ მუშაკებზე შექმნილი ვითარება ისე უარყოფითად არ აისახება. ბრიტანეთში კი მრეწველობაში დასაქმებულთა უფლებები უკვე საგრძნობლად ირღვევა. ჩინეთისგან და ინდოეთისგან შევიწროებულ მრეწველებს სხვა გზა არ რჩებათ.

"რამდენიმე წელიწადში სფერომ 750 ათასი კაცი დაკარგა. სფეროს არ ჰყოფნის სუბსიდიები, არ ჰყოფნის ინვესტიციები. ასე თუ გაგრძელდა, მარკა "დამზადებულია გაერთიანებულ სამეფოში" მალე აღარ იარსებებს, – აცხადებს პროფკავშირების კონგრესის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, - ჩვენ ყველაზე სუსტი რგოლი ვართ ევროპულ მრეწველობაში."

საერთო ჯამში, ბრიტანეთის ეკონომიკა ურიგოდ სულაც არ გამოიყურება, მაგრამ პროფკავშირების კონგრესის მონაცემებით, 1997 წლიდან მოყოლებული, აქაურ მრეწველობას სულ უფრო მეტი წარმატებით უწევენ კონკურენციას საფრანგეთი და გერმანია. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ისტორიულად ინგლისურ მრეწველობას წამყვანი ადგილი ეჭირა ევროპაში, პროფკავშირების კონგრესის შეშფოთება გასაგებია.

ბრიტანეთის მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი პატრიშა ჰიუიტი მიიჩნევს, რომ პროფკავშირების კონგრესის არგუმენტები არც ისე სერიოზულია. "ბრიტანეთისგან განსხვავებით, გერმანიასა და საფრანგეთში მაღალი უმუშევრობაა, ხოლო ეკონომიკური ზრდის ტემპი დაბალია, - აღნიშნა მინისტრმა, - სუბსიდიები კი საერთოდ არც ისე სასურველი გზაა. რაც შეეხება დაკარგულ სამუშაო ადგილებს მრეწველობაში, თითო ასეთი ადგილის სანაცვლოდ სხვა დარგებში ორი ადგილი შეიქმნა."

მინისტრის სიტყვები იმას ნიშნავს, რომ ბრიტანეთი უკვე პოსტინდუსტრიულ ეპოქაში გადადის და, ამ მხრივ, იგი თავის ევროპელ კონკურენტებს უსწრებს. თუმცა, პროფკავშირების კონგრესის პოზიციას მრავალი მომხრე ჰყავს და მათ უპირველესად სტატისტიკური მონაცემები აშინებთ:

სამუშაო ადგილები მრეწველობაში 1997-2002 წლებში ესპანეთში 500 ათასით გაიზარდა, იტალიაში - 400 ათასით, საფრანგეთში - 146 ათასით, გერმანიაში - 116 ათასით, ბრიტანეთში კი 580 ათასით დაეცა.

## ორი სიტყვით

**თეირანი.** საქართველომ ხუთშაბათს თეირანს საქართველოს ტერიტორიის გავლით ევროპაში ირანული გაზის ტრანსპორტირება შესთავაზა. ამის შესახებ თეირანში ვიზიტით მყოფმა საქართველოს სათობ-ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, ირანის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრთან საფდარ ჰოსეინთან შეხვედრისას. თავის მხრივ, საფდარ ჰოსეინმა აღნიშნა, რომ ქართული მხარის წინადადება ირანის და საქართველოს ეკონომიკურ ინტერესებს შეესაბამება და იგი ორი ქვეყნის სპეციალისტებმა უნდა შეისწავლონ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისში ენერგეტიკის სფეროში მოქმედი კერძო ლიცენზიანტი კომპანიები გაუქმდა."ე.წ. კომერციული დენი შავი ფულის ბუდეს და კრიმინალებისა და წინა ხელისუფლების წარმომადგენლების ალიანსის მოქმედების სფეროს წარმოადგენდა," - აცხადებს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული იმერეთში დავით მუმლაძე. **ინტერ-პრესი**

# აჭარაში ექვსი თვის შედეგებს ითვლიან

სპორტი და დასვენება აბაშიძისთვის პრიორიტეტული იყო

ეთერ მამულაშვილი

*წინასწარი მონაცემებით, აჭარის კონსოლიდირებული ბიუჯეტის პირველი ორი კვარტლის შემოსავლებმა 56 მილიონ ლარს გადააჭარბა და, როგორც ადგილობრივ ხელისუფლებაში ირწმუნებიან, წლის ბოლომდე ეს მაჩვენებელი, სულ მცირე, გასამმაგდება. ამგვარი "საბიუჯეტო ოპტიმიზმის" საფუძველს აჭარის ფინანსთა სამინისტროს საბაჟოდან ბოლო ორ თვეში ამოღებული გადასახადები აძლევს, რაც, მათი თქმით, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, თითქმის გაორმაგებულია. სამაგიეროდ, აჭარის ბიუჯეტი საგადასახადო შემოსავლების ნაწილში გასულ ექვს თვეში ხუთ მილიონამდე გაირღვა.*

2004 წლის აჭარის ბიუჯეტი, ჯერჯერობით, დამტკიცებული არ არის. ამჟამად მასზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, ადგილობრივი ხელისუფლება მუშაობს და ივლისის ბოლოს რეგიონს სრულიად ახალ პარამეტრებზე აგებული ბიუჯეტი ექნება.

გავრცელებული ინფორმაციით, წლის ბოლომდე აჭარაში 130-135 მილიონი ლარის შემოსავლების მობილიზებას ვარაუდობენ, საიდანაც ცენტრალური ბიუჯეტი კუთვნილ ორმოცდაათ მილიონამდე ლარს მიიღებს. საკუთარი შემოსავლები, ანუ ის, რაც აჭარაში დარჩება და მთლიანად რეგიონის განვითარებას მოხმარდება, წელს 80-85 მილიონი ლარი იქნება. რაც შეეხება აჭარის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს, ეს უშუალოდ ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და პარლამენტის პრეროგატივაა, რაზეც დღეს აჭარაში აქტიურად მუშაობენ.

ახალ ბიუჯეტზე მუშაობის პარალელურად, აჭარის ფინანსთა სამინისტრო გასული ექვსი თვის შედეგებს აჯამებს. არსებული ციფრები სამინისტროს მაღალჩინოსნებს კმაყოფილების საფუძველს ნამდვილად არ აძლევს, რასაც მინისტრის მოადგილე კახა შავაძეც ადასტურებს. **"ბუნებრივია, ამ მონაცემებით აღფრთოვანებული ვერ ვიქნებით, თუმცა რეგიონში მიმდინარე პროცესები გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველს ნამდვილად გვაძლევს. სწორედ ამიტომაც, ჩვენ ამ ზაფხულს სერიოზული მუშაობა მოგვიწევს,"** - ამბობს შავაძე.

**2004 წლის ექვსი თვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსოლიდირებული ბიუჯეტის შესრულება სახელმწიფო ფონდების ჩათვლით**

| დასახელება | გეგმა | ფაქტი | გადახრა | % |
|---|---|---|---|---|
| ქ. ბათუმი | 27.145.800 | 20.039.900 | - 7.105.900 | 73.8 |
| ქობულეთი | 1.109.200 | 676.400 | - 432.800 | 61.0 |
| ხელვაჩაური | 1.541.000 | 1.365.800 | - 175.200 | 88.6 |
| ქედა | 265.900 | 268.100 | 2.200 | 100.8 |
| შუახევი | 271.900 | 276.400 | 4.500 | 101.7 |
| ხულო | 282.200 | 247.100 | - 35.100 | 87.6 |
| სულ საგადასახადო დეპარტამენტის ხაზით მიღებული შემოსავლები | 30.616.000 | 22.87.800 | - 7.742.200 | 74.7 |
| სულ საბაჟო დეპარტამენტის ხაზით მიღებული შემოსავლები | 29.900.000 | 32.338.600 | 2.438.600 | 108.2 |
| სულ საგადასახადო შემოსავლები | 60.516.000 | 55.212.400 | - 5.303.600 | 91.2 |
| არასაგადასახადო შემოსავლები | 2.660.000 | 1.329.700 | - 1.330.300 | 50 |
| კაპიტალური შემოსავლები | 250.000 | 59.600 | - 190.400 | 23.8 |
| სულ კონსოლიდირებული ბიუჯეტი | 63.426.000 | 56.601.700 | - 6.824.300 | 89.2 |
| სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდი | 11.781.000 | 12.235.400 | 454.400 | 103.9 |
| სახელმწიფო საგზაო ფონდი | 3.167.500 | 4.685.400 | 1.517.900 | 147.9 |
| საგადასახადო დეპარტამენტის ხაზით | 567.500 | 469.900 | - 97.600 | 82.8 |
| საბაჟო დეპარტამენტის ხაზით | 2.600.000 | 4.215.400 | 1.615.400 | 162.2 |
| სულ სახელმწიფო ფონდები | 14.948.500 | 16.920.800 | 1.972.300 | 113.2 |
| სულ კონსოლიდირებული ბიუჯეტი სახელმწიფო ფონდების ჩათვლით | 78.374.500 | 73.522.500 | - 4.832.600 | 93.8 |

1 ივლისის მონაცემებით, აჭარაში მობილიზებული შემოსავლების ოდენობამ 73 მილიონ 500 ათასს გადააჭარბა, საიდანაც, თითქმის 34 მილიონი ლარი, კანონის თანახმად, ცენტრალურ ბიუჯეტსა და სახელმწიფო ფონდებში გადანაწილდა. აჭარაში პირველ ორ კვარტალში, საგადასახადო შემოსავლების სახით, 55 მილიონი ლარი დაფიქსირდა, რაც წლის დასაწყისში დაგეგმილთან შედარებით, ხუთ მილიონით ნაკლებია. თითქმის 50 პროცენტით გაირღვა აჭარის ბიუჯეტი არასაგადასახადო შემოსავლების ნაწილში, ამ კუთხით დანაკლისმა 1 მილიონ 400 ათასი შეადგინა. დაახლოებით 7 მილიონით გაირღვა ბათუმის ბიუჯეტი, ქობულეთის - ნახევარი მილიონით.

გასულ ექვს თვეში აჭარის საგადასახადო დეპარტამენტის ხაზით მიღებული შემოსავლები გეგმით გათვალისწინებულზე 8 მილიონით ნაკლები იყო, კაპიტალური შემოსავლების ნაწილში პირველი ორი კვარტლის გეგმა მხოლოდ 24 პროცენტით შესრულდა. ფინანსთა სამინისტროში თავს იმით იმართლებენ, რომ აბაშიძის რეჟიმის წასვლიდან ჯერ მხოლოდ ორი თვეა გასული. **"თანაც, სერიოზული პრობლემები გვაქვს გადასახადების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით. ამჟამად ჩვენ სწორედ ამ კუთხით ვმუშაობთ და ვფიქრობ, რომ ადმინისტრირების სისტემის საბოლოოდ გასაჯანსაღებლად კიდევ ორი თვე დაგვჭირდება,"** – აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს კახა შავაძემ, რომელიც დარწმუნებულია, რომ ამ პრობლემის მოგვარების შემდეგ აჭარა საბიუჯეტო გეგმას გადაჭარბებით შეასრულებს. ამის მცირე საფუძველი რეგიონში, შეიძლება ითქვას, დღეს გარკვეულწილად უკვე არსებობს. მაგალითად, აჭარამ საგზაო ფონდში თითქმის მილიონნახევარი ლარით მეტი გადარიცხა, ვიდრე ეს წლის დასაწყისში აბაშიძის ხელისუფლებამ (3 მილიონ 200 ათასი) დაგეგმა. საბაჟო დეპარტამენტმა ექვსი თვის გეგმა 109 პროცენტით შეასრულა. ამ დროისთვის აჭარიდან 12 მილიონია გადარიცხული სოციალური უზრუნველყოფის ფონდში, რაც წლის დასაწყისში დაგეგმილზე ნახევარი მილიონით მეტია.

რაც შეეხება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს. აჭარის ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, რომ, ამ მხრივ, აბაშიძისგან მათ ყველაზე მძიმე მემკვიდრეობა ერგოთ. გასულ ექვს თვეში აჭარაში გაწეულმა ხარჯებმა თითქმის 35 მილიონი ლარი შეადგინა. კახა შავაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ აპრილის თვის ჩათვლით, ყოფილმა ხელისუფლებამ საბიუჯეტო თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი არამიზნობრივად გახარჯა. **"ისეთი ხარჯებია გაწეული, რომ შეიძლება კაცს თმები ყალყზე დაუდგეს. თითქმის ნახევარი მილიონი "დაიხარჯა" მივლინებებზე, უფრო მეტი კი - ისეთ სარემონტო და სამშენებლო საქმიანობებზე, რომელიც რეალურად არ შესრულებულა. ამის გამო დაუფარავი დარჩა ზოგიერთი სოციალური ვალდებულება, რაც ვალად ჩვენ დაგვაწვა,"** - ამბობს კახა შავაძე.

თუ როგორ განკარგავდა საბიუჯეტო თანხებს და რას თვლიდა აბაშიძე და მისი გარემოცვა პრიორიტეტულად, ამას შემდეგი რამდენიმე ციფრიც მოწმობს. დასვენების ორგანიზებასა და სპორტულ ღონისძიებებზე აჭარაში ყოფილმა ხელისუფლებამ წელს თითქმის 5 მილიონის დახარჯვა მოასწრო, მაშინ, როცა აჭარლების ჯანმრთელობის დასაცავად ადგილობრივმა ბიუჯეტმა მხოლოდ 1 მილიონ 200 ათასი, ხოლო მათი სოციალური უზრუნველყოფისთვის - მხოლოდ 400 ათასი ლარი გაიმეტა.

# გამოაცხადებს თუ არა რუსეთი საბანკო არდადეგებს?

რუსეთს აშკარა საბანკო კრიზისი ემუქრება

დიანა ჩაჩუა

*არის თუ არა რუსეთში საბანკო კრიზისი? მსოფლიო ანალიტიკოსები და თვით რუსეთი უკვე რამდენიმე კვირაა ცდილობენ, ამ შეკითხვას პასუხი გასცენ. დაძაბულობა კი რუსულ საბანკო სექტორში თანდათან უფრო იზრდება, რაც გუშინ რუსეთის ერთ-ერთ უმსხვილეს ბანკ "გუტა ბანკში" საბანკო პროცედურების შეჩერებით გამოიხატა. გაჩნდა ეჭვი, რომ ანალოგიურ სიტუაციაში შეიძლება რუსეთის სხვა მსხვილი საფინანსო დაწესებულებებიც აღმოჩნდეს.*



*სერგეი იგნატიევი აცხადებს, რომ მიმდინარე პრობლემები, ისევე როგორც ადრე, წმინდა ფსიქოლოგიურია.*

რეიტინგულმა სააგენტოებმა გუშინვე გაავრცელეს გაფრთხილება, რომ რუსულ "გუტა-ბანკში" ლიკვიდობის კრიზისმა შეიძლება ჯაჭვური რეაქცია გამოიწვიოს, რაც სხვა კომერციული ბანკების გაკოტრებას გამოიწვევს.

თუმცა, ეს მოსაზრება ეწინააღმდეგება რუსული "ცენტრობანკის" ხელმძღვანელის სერგეი იგნატიევის განცხადებას, რომლის თანახმადაც, საბანკო სისტემა სტაბილურია, **"კრიზისი არ არის, დარწმუნებული ვარ მიმდინარე პრობლემები, ისევე როგორც ადრე, წმინდა ფსიქოლოგიურია,"** - განაცხადა იგნატიევმა.

თუმცა, ეს განცხადება ნამდვილად არ შეეფერება დღეს რუსეთში არსებულ სიტუაციას, როცა უკვე ათასობით რუსი თავისი ანგარიშებიდან თანხებს ხსნის, ხოლო რუსეთში სიდიდით მეორე ბანკი "ვნეშტორგბანკი" კი მოლაპარაკებებს მართავს კრიზისში მყოფი "გუტა-ბანკის" შესყიდვის შეახებ.

საზოგადოებში იზრდება შეშფოთება, რომ რუსეთში შესაძლოა იმ 1998 წლის ფინანსური კრიზისი განმეორდეს, როცა ბევრმა ბანკმა დეფოლტი გამოაცხადა. სწორედ ამიტომ, შეშინებულმა ინვესტორებმა თავისი საბანკო ანგარიშებიდან მსხვილი თანხების მოხსნა დაიწყეს, ხოლო კორპორაციულმა კლიენტებმა და კორესპონდენტ-ბანკებმა ორგანიზაციებისთვის კრედიტების გაცემის მოცულობა შეკვეცეს.

ამჟამად რუსეთის საფინანსო სექტორის მაკრორეკონომიკური მაჩვენებლები გაცილებით სტაბილურია, ვიდრე ექვსი წლის წინათ, მაგრამ ბოლო კვირებში მიმდინარე მზარდმა საბანკო "შფოთმა" შეიძლება ვარაუდი რეალობად აქციოს. როგორც მოსკოვის საბროკერო კომპანიის "ოეფგე"-ს საბანკო ანალიტიკოსმა დიმიტრი დმიტრიევმა განაცხადა, **"1998 წელი არ განმეორდება, მაგრამ შეიძლება გაკოტრებების ბევრი შემთხვევა მოხდეს."**

რუსეთის უმსხვილესი ბანკი "ალფა-ბანკი" იმდენად არის შეშფოთებული მიმდინარე პრობლემებით, რომ მისმა სამმა ხელმძღვანელმა პირმა ბოლო ორი დღის განმავლობაში უკვე მეორე განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მათი ბანკი ასრულებს და გააგრძელებს კლიენტების ყველა მოთხოვნის შესრულებას, და რომ ამისთვის მას საკმარისი ლიკვიდობა და აქციებით უზრუნველყოფა გააჩნია. უნდა აღინიშნოს, ბანკს განსაკუთრებული ზომების გატარება მოუწია, რათა საკუთარი ვალდებულებები შეესრულებინა.

რეალურად კი, პრობლემები მაისში დაიწყო, როცა "ცენტრობანკმა" "სოდბიზნესბანკს" ლიცენზია გაუუქმა, ფულის გათეთრების კანონის საწინააღმდეგო ქმედებების გამო. ამ მოვლენის მსხვერპლი კი დაზოგვის კომერციული ბანკი, ბანკი "დიალოგ-ოპტიმი" და პაველცკის ბანკი გახდა.

გუშინ რუსეთის ბანკი შეეცადა, კრიზისის შემდგომი განვითარება შეეჩერებინა, დაჰპირდა რა კრედიტორ ორგანიზაციებს პირდაპირი მხარდაჭერის გაწევას. იგი ასევე აპირებს მხარი დაუჭიროს სახელმწიფო "ვნეშტორგბანკის" გეგმას "გუტა-ბანკის" შეძენის თაობაზე.

რეალურად, "გუტა-ბანკით" უკმაყოფილება გამომდინარეობს იმავე სფეროებიდან, საიდანაც "იუკოსით" უკმაყოფილება. ანუ, ხელისუფლება უკმაყოფილო იყო იმით, რომ კორპორაცია, დაფუძნებული სახელმწიფო ფულზე, გარდაიქმნა კერძოდ.

თუ მოვლენები სერიოზულ პრობლემებში გადაიზარდა, მაშინ რუსეთი ნამდვილად დაიმსახურებს ადგილს გინესის რეკორდების წიგნში. საქმე ის არის, რომ თითქოს კრიზისის არანაირი საფუძველი არ არსებობს - ქვეყნის ეკონომიკური ზრდა გრძელდება, კონიუნქტურა კეთილსაიმედოა, მოსახლეობის შემოსავლები იზრდება, არანაირი შიდა "შოკები" არ არსებობდა, ერთი სიტყვით, კეთილდღეობას არაფერი ემუქრებოდა.

მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ, რომ საბანკო სისტემის შემთხვევაში კრიზისი შეიძლება ასეთ სიტუაციაშიც წარმოიშვას. საკმარისია, ნდობა კლიენტების მხრიდან ბანკებისადმი ან ბანკებს შორის ოდნავ მაინც დაირღვეს, რომ ქვეყნის ყველაზე საიმედო ბანკიც კი ვერ შეძლებს, კრიზისი თავიდან აიცილოს. საბანკო სისტემის მიმართ ნდობის საბოლოო დანგრევა თუ მოხდება, ამან, ადრე თუ გვიან, შეიძლება "ზენქრანი" ანუ ინვესტორების გაქრობა გამოიწვიოს.

როგორც რუსი ანალიტიკოსები ფიქრობენ, არ ღირს ვიფიქროთ, რომ დღევანდელი მოვლენები მარტო სუბიექტური მიზეზების გამო მოხდა. ისინი აცხადებენ: **"თუ ფულად სტატისტიკას დავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ ბოლო თვეებში ფულადი მიმოქცევის სფეროში საკმაოდ უცნაური პროცესები მიმდინარეობდა - ფულადი ბაზა ეცემოდა, ხოლო ფულის მოცულობა, პირიქით, იზრდებოდა. ამასთან, ძალიან სწრაფად იზრდებოდა სახელმწიფო მმართველობის ორგანოების დეპოზიტები. სხვა სიტყვებით, ცენტრალური ბანკის მიერ ფულადი პოლიტიკის გამკაცრების ფონზე საბანკო სისტემა კრედიტების ექსპანსიას აგრძელებდა."** ასეთ სიტუაციაში კი ანალიტიკოსები აღიარებენ, რომ საბანკო კრიზისის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო.

პრაქტიკულად, ეჭვი არ არის, რომ ცენტრალურ ბანკს საკმარისი შეაძლებლობები გააჩნია, რათა სიტუაციის უარყოფითი განვითარება არ დაუშვას. მას გააჩნია ისეთი ბერკეტები, როგორიცაა - სარეზერვო ნორმის შემცირება, სტაბილიზაციური კრედიტების გამოცემა, პიარ-აქციების სერიის ჩატარება და, ყველაზე გამოუვალ შემთხვევაში, საბანკო არდადეგების გამოცხადება.

# "ვარდების რევოლუციის" აქცენტები უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად „24 საათისთვის"

*გასულ კვირას უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიამ აიღო სტარტი, სადაც პარტიები, პირველ რიგში, თავიანთ კანდიდატებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარადგენენ. მიმომხილველთა შეფასებით, უკვე აშკარაა, რომ ძირითადი ბრძოლა ოპოზიციის რეფორმატორ ლიდერს, ვიქტორ იუშჩენკოსა და პრეზიდენტ კუჩმას მემკვიდრეს, პრემიერ-მინისტრ ვიქტორ იანუკოვიჩს შორის გაიმართება. ძალზე ნიშანდობლივია, რომ უკრაინის მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების მძაფრი დაპირისპირების კონტექსტში აქცენტი ხშირად ქართული "ვარდების რევოლუციის" სცენარზე კეთდება.*



*ვიქტორ იუშჩენკო თავის მომხრეებს ხალხის ხელისუფლებას, თანასწორობასა და კორუმპირებული მოხელეების ალაგმვას ჰპირდება.*



*იანუკოვიჩი: "გამოწვევის წინაშე თავად, ბედისწერამ დამაყენა".*

გასულ კვირას, უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოცხადებული საპრეზიდენტო მარათონის დაწყების მეორე დღეს, უკრაინის დემოკრატიული ოპოზიციის ლიდერმა, 54 წლის ვიქტორ იუშჩენკომ, თავის მომხრეებს კიევის ცენტრში დაგეგმილ მიტინგზე მოუყარა თავი. "166 დღის შემდეგ უკრაინის პრეზიდენტი იუშჩენკო იქნება," - სკანდირებდა პრეზიდენტობის ერთ-ერთი რეალური კანდიდატის ათასობით მხარდამჭერი. თავის მხრივ, ბლოკ "ჩვენი უკრაინის" ლიდერი ვიქტორ იუშჩენკო მომხრეებს "ხალხის ხელისუფლებას, თანასწორობასა და კორუმპირებული მოხელეების ალაგმვას" ჰპირდებოდა.

ვიქტორ იუშჩენკო, რომელიც 2000-2001 წლებში უკრაინის პრემიერ-მინისტრი იყო, უფრო ადრე კი ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტი ეკავა, უკრაინის მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. გერმანულ გაზეთ "ველტის" თანახმად, უკრაინაში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში იუშჩენკოს მხარს ელექტორატის 23 პროცენტი დაუჭერს, პრეზიდენტ კუჩმას მემკვიდრეს, პრემიერ-მინისტრ ვიქტორ იანუკოვიჩს კი გამოკითხულთა მხოლოდ 16 პროცენტი ემხრობა. ძირითადი მეტოქის მსგავსად, კვირის დასაწყისში, პირველი წინასაარჩევნო მოწოდება ვიქტორ იანუკოვიჩმაც გააკეთა, კერძოდ, სააგენტო "როიტერთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ იგი **"გამოწვევის წინაშე თავად ბედისწერამ დააყენა".**

სინამდვილეში **"ბედისწერის გამოწვევა"** აქ არაფერ შუაშია. როგორც ცნობილი უკრაინელი პოლიტოლოგი ვლადიმირ პოლოხალო ფიქრობს, იანუკოვიჩი საპრეზიდენტო მარათონში ადმინისტრაციული რესურსისა და ე.წ. "დონეცკელი ოლიგარქების კლანის" კარნახით ჩაება და სწორედ ამ ორ ინსტიტუტზე იქნება დამოკიდებული პრეზიდენტ კუჩმას ფავორიტის მომავალი წარმატება. ჩვენთან სატელეფონო ინტერვიუში ვლადიმირ პოლოხალომ დაასახელა კიდევ რამდენიმე ფაქტორი - არჩევნების გაყალბების ტექნოლოგია და მთავრობის მიერ კონტროლირებადი უკრაინული მასმედია - რაც სახელისუფლებო კანდიდატის სასარგებლოდ იმუშავებს.

"საქმე ისაა, რომ უკრაინაში მასმედია ან უშუალოდ ხელისუფლების, ან ფინანსურ-პოლიტიკური კლანების მიერ კონტროლდება, ისინი კი თავის საგაზეთო ფართობს არა ვიქტორ იუშჩენკოს, არამედ სახელისუფლებო კანდიდატის ვიქტორ იანუკოვიჩის აგიტაციისთვის გამოიყენებენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი კამპანია მედიის მხრიდან უკვე დაწყებულია. იმაში, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე უკრაინაში ბინძურ მანიპულაციებს ექნება ადგილი, არათუ ექსპერტებს, არამედ უფრო ფართო საზოგადოების წარმომადგენლებსაც არ ეპარებათ ეჭვი," - ამბობს პოლიტოლოგი.

როგორც ირკვევა, საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებისთვის, ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი უკრაინული მასმედია ვიქტორ იუშჩენკოს მიხეილ სააკაშვილს ადარებს და მათ ნაციონალისტებსა და რადიკალურად მოაზროვნე პოლიტიკოსებს უწოდებს.

**"მანიპულაციური ტექნოლოგიის არსი იმაში მდგომარეობს, რომ კონტროლირებადი უკრაინული მასმედია საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ მიხეილ სააკაშვილის იმგვარ ავტორიტარულ ნაციონალისტად წარმოჩენას ცდილობს, რომელსაც არ ძალუძს კომპრომისებზე წასვლა და შორს დგას დემოკრატიული ფასეულობებისაგან. ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ვიქტორ იუშჩენკოსთან დაკავშირებითაც."**

თუმცა, ადმინისტრაციული რესურსისა და კონტროლირებადი მასმედიის სრული მობილიზების მიუხედავად, ბლოკ "ჩვენი უკრაინის" ლიდერ ვიქტორ იუშჩენკოს უპირატესობა ეჭვს მაინც არ იწვევს. პროდასავლური იმიჯის მქონე რეფორმატორმა ჯერ კიდევ 48 მილიონიანი ევროპული ქვეყნის პრემიერ-მინისტრად მუშაობის დროს მოიხვეჭა პოპულარობა. პოლიტოლოგ ვლადიმირ პოლოხალოს დაკვირვებით, იუშჩენკო ებრძოდა უკრაინაში მყოფ ოლიგარქიულ კლანებს და შეძლო კიდეც, რომ მილიონობით უკრაინელს ხელფასი დროულად მიეღო. იუშჩენკოს ლიდერობით მოქმედმა ბლოკმა "ჩვენმა უკრაინამ" კი 2002 წლის საპარლამენტო არჩევნებში ხმათა 24 პროცენტით გამარჯვებას მიაღწია. ნიშანდობლივია, რომ საპრეზიდენტო არჩევნების გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე იუშჩენკოს მიემხრო ქარიზმატული ლიდერი, ყოფილი ვიცე-პრემიერი იულია ტიმოშენკო, რაც, პოლიტოლოგ ვლადიმირ პოლოხალოს თქმით, ბლოკ "ჩვენი უკრაინის" ლიდერის რეიტინგს **"რამდენიმე პროცენტით მაღლა სწევს და მას უკვე დღეს შეიძლება ჰქონდეს ხმათა ერთი მესამედის იმედი."**

და ბოლოს, უკრაინაში მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებით დაინტერესებულია როგორც დასავლეთი, ისე რუსეთი. ამ ორივე ვექტორს უკრაინულ პოლიტიკაში სრულად გამოხატავს პრეზიდენტობის ორივე რეალური კანდიდატი. მაშინ, როცა ვიქტორ იუშჩენკო დასავლეთის ფავორიტად განიხილება, ლეონიდ კუჩმას მემკვიდრედ მიჩნეულ ვიქტორ იანუკოვიჩს, პოლიტოლოგ ვლადიმირ პოლოხალოს თქმით, უკრაინაში რუსეთის ინტერესების გამტარებელს უწოდებენ. თუმცა, როგორც დამოუკიდებელი მიმომხილველები მიიჩნევენ, უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით დასავლეთი, ჯერჯერობით, სამართლიანი და პატიოსანი არჩევნების შესახებ დეკლარაციებით შემოიფარგლება, მაშინ როდესაც რუსული პოლიტტექნოლოგები უკვე აქტიურად ამოქმედდნენ კუჩმას მემკვიდრის, ვიქტორ იანუკოვიჩის იმიჯის შესაქმნელად.

# რუსთაველის ფრესკის დაზიანებას ისრაელის საელჩო საქართველოში ოფიციალურად ეხმაურება

3 ივლისს გახმაურებულმა ფაქტმა, იერუსალიმში მე-11 საუკუნეში აგებულ ქართულ ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის ფრესკის განზრახ დაზიანებამ ქართული საზოგადოების დიდი შეშფოთება გამოიწვია. როგორც ცნობილია, უძველეს ქართული კულტურის ძეგლს, ამჟამად, ბერძენი მართლმადიდებელი საეკლესიო პირები განაგებენ. სწორედ ამიტომ, აღნიშნული ფაქტის გამოაშკარავებას თბილისში საბერძნეთის საელჩოს წინ საპროტესტო აქციები მოჰყვა.

ფრესკის დაზიანება ცნობილი გახდა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ისრაელში ვიზიტამდე რამდენიმე კვირით ადრე.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ისრაელის მთავრობისა და იუნესკოსადმი გაგზავნილი ნოტების შემდეგ, ისრაელის საელჩო საქართველოში ოფიციალურად აქვეყნებს პრეს-რელიზს, სადაც ნათქვამია:

**"ისრაელის მთავრობა შოკირებული და დამწუხრებულია იმის გამო, რომ ჯვრის მონასტერში დაზიანდა ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის ფრესკა. ჩვენ ვგმობთ ამ სამარცხვინო აქტს და უკიდურესად ვწუხვართ მიყენებული ზიანის გამო. ამჟამად ამ ინციდენტს იძიებს ისრაელის პოლიცია და ისრაელის სიძველეთა დაცვის სტრუქტურა. საქართველოს ხელისუფლებასთან სრული თანამშრომლობა გვექნება. ვიმედოვნებთ, რომ ამ კულტურული ფასეულობის აღდგენის საკითხი უმოკლეს ხანში გადაწყდება."**

# ალ-ქაიდა იტალიას ტერაქტებით ემუქრება

"ყველას, ვინც იტალიურად საუბრობს," – ამგვარად იწყებს თავის მუქარით სავსე მიმართვას ალ-ქაიდას ლიდერი უსამა ბინ ლადენი, რომელიც იტალიის ტერიტორიაზე ტერორისტული აქტების მოწყობით იმუქრება. მიმართვა ერთ-ერთ არაბულ საიტზეა განთავსებული.

"მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სილვიო ბერლუსკონის ამჟამინდელი პოლიტიკა მართლმორწმუნეთა შორის ზიზღს იწვევს. ამიტომ, იტალიის გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, შესაძლოა, რომ თქვენი ქვეყანა შემდეგი სამიზნე გახდეს," – ნათქვამია მუქარის ტექსტში, რომელიც იტალიის ტელევიზიით პროგრამა "ტი-ჯი-ჩინკუე"-ს საღამოს ახალ ამბებში გადაიცა.

ეს ალ-ქაიდას პირველი მუქარაა იტალიელთა მისამართით, რომელმაც მათსავე მშობლიურ ენაზე გაიჟღერა. ინტერნეტის საიტზე განთავსებული გაფრთხილება დამტვრეული იტალიურით არის დაწერილი, რომელსაც თან მრავალი ორთოგრაფიული შეცდომა ახლავს. იქვეა დართული მუქარის ტექსტის არაბული თარგმანიც.

# ამერიკელებმა ერაყიდან რადიოაქტიური ნედლეული გაიტანეს

7 ივლისს ცნობილი გახდა, რომ აშშ-მ ერაყიდან საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტოს სანქციის გარეშე უკვე ერთი თვეა, რაც 2 ტონა რადიოაქტიური ნედლეული გაიტანა, მათ შორის გაუმდიდრებელი ურანი და ძლიერი რადიოაქტიური ნივთიერებები. აღნიშნული ნედლეული საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტოს კონტროლის ქვეშ ინახებოდა ერაყის ბირთვულ კომპლექსში, რომელიც ბაღდადიდან სამხრეთითაა განთავსებული. საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტოს გენერალური დირექტორის, მოჰამად ელ ბარადეის განცხადებით, ამერიკელების განზრახვა ცნობილი იყო სააგენტოსთვის, თუმცა მას სანქცია არ მიუცია აშშ-სთვის.

გაერო-ს შტაბ-ბინაში ამჟამად განიხილება, ჰქონდა თუ არა შტატებს ამგვარი ქმედების განხორციელების უფლება.

# ესტონეთში ნატურალიზაციის ტემპები იზრდება

ესტონეთის მთავრობამ ხუთშაბათის სხდომაზე თანხმობა განაცხადა, მოქალაქეობის უფლება მიეცათ ესტონეთში მუდმივი მცხოვრები 835 პირისათვის. მთავრობის პრესსამსახურის განცხადებით, უკანასკნელი პერიოდის მანძილზე ეს იმ ადამიანთა ყველაზე დიდი სიაა, რომლებსაც მთავრობა მოქალაქეობას მიანიჭებს.

ესტონეთის მთავრობის მიერ მიმდინარე წლის მაისში მიღებული 2004-2007 წლებში ინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამის მიხედვით, ქვეყანაში ნატურალიზაციის ტემპები წელიწადში ხუთი ათას მოქალაქემდე უნდა გაიზარდოს. მოქალაქეობისა და მიგრაციის დეპარტამენტის მონაცემებით, წლის პირველ ნახევარში მოქალაქეობა ქვეყანაში მუდმივად მაცხოვრებელ 2 ათას 128 ადმიანს მიენიჭა.

1991 წელს ესტონეთის დამოუკიდებლეობის მიღებიდან დღემდე ქვეყნის მოქალაქე 126 ათასი ადამიანი გახდა. დღეისათვის ესტონეთში ცხოვრობს 160 ათასი ადამიანი, რომელთაც არავითარი მოქალაქეობა არ გააჩნიათ. ესტონეთის დაახლოებით 100 ათასმა მცხოვრებმა რუსეთის მოქალაქეობა მიიღო. ესტონეთის მთლიანი მოსახლეობა 1 მილიონ 351 ათას ადამიანს შეადგენს.

რუსეთმა არაერთგზის გამოხატა თავისი უკმაყოფილება ესტონეთში "არამოქალაქეობის" პრობლემის თაობაზე, რაც ხელს უშლიდა ქვეყნის რუსულენოვანი მოსახლეობის ინტეგრაციას. აღნიშულ პრობლემასთან მიმართებაში საკუთარ პოზიციებს მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციებიც აფიქსირებდნენ.

ესტონეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება, ნატურალიზაციის ტემპების დაჩქარებასთან დაკავშირებით, ქვეყანაში არამოქალაქეთა რაოდენობის შემცირებას შეუწყობს ხელს. თუმცა, პრობლემის საბოლოოდ მოგვარებას (ახალი მოქალაქეების რიცხვის ზრდის მიმდინარე მაჩვენებლების გათვალისწინებით) დაახლოებით 30 წელი დასჭირდება.

# მოლდოვის პრეზიდენტი მედიის ლიბერალიზაციის მომხრეა

მოლდოვის პრეზიდენტმა, ვლადიმირ ვორონინმა მოლდოვის პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრისას, ძირითადად, 2005 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ მოვლენების გაშუქებისას დემოკრატიული პრინციპების დაცვასა და ბინძური ტექნოლოგიებისაგან თავის არიდებაზე ისაუბრა. ოპოზიციის ბრალდებას, რომ არჩევნები გაყალბდება, ხოლო პრესა რეპრესიისა და დევნის მსხვერპლად იქცევა, პრეზიდენტმა "აშკარა პროვოკაცია" უწოდა. ვლადიმირ ვორონინი მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ლიბერალიზაციისთვის სამოქალაქო კოდექსში სანქციების შეზღუდვისა და დაუდასტურებელი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრების ინიციატივით გამოვიდა.

# რუსეთი აზიაში თამაშგარე მდგომარეობაში მოხვდა

წყნარი ოკეანის აუზის გავლენიანი სახელმწიფოების საგარეო უწყებებში აქტიურად ემზადებიან ე. წ. აღმოსავლეთაზიური თანამეგობრობის შექმნისათვის, რომელშიც შევლენ ჩინეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კიდევ ათი სახელმწიფო, მაგრამ არა რუსეთი. ოფიციალური ტოკიოს წყაროებზე დაყრდნობით, ამ მხრივ, კონკრეტული გეგმები მომავალ წელს მალაიზიაში დაგეგმილ ცამეტი ქვეყნის პრეზიდენტებისა და პრემიერ-მინისტრების შეხვედრისათვის შემუშავდება. ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბებას სწორედ აღნიშნული შეხვედრა დაუდებს სათავეს.

ერთი სიტყვით, რუსეთისთვის მოვლენათა არასასურველი გზით განვითარების ფონზე, რუსეთი თავის აღმოსავლეთ საზღვრებთან დადგება იმავე პრობლემების წინაშე, რაც მას დასავლეთ საზღვრებთან გააჩნია – კარგად ჩამოყალიბებული რეგიონული დაჯგუფება, სადაც მოსკოვს არავინ ელის.

ჯაკარტაში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის (ასეანი) წევრ-სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების ერთობლივ კომუნიკეში საკმაოდ მკაფიოდ არის აღნიშნული: "აღმოსავლეთაზიური თანამეგობრობა გრძელვადიანი მიზანია, რომელიც ჩინეთის, იაპონიისა და სამხრეთ კორეის თანამშრომლობით იქნება მიღწეული." დოკუმენტში პირველად გამოითქვა და მხარდაჭერილ იქნა "აღმოსავლეთაზიური სამიტის" ჩატარების იდეა. იდეის დაკონკრეტება ასეანის წევრი-ქვეყნების საგარეო უწყებების ხელმძღვანელთა და მათი ჩინელი, იაპონელი და სამხრეთ კორეელი კოლეგების ერთობლივ შეხვედრაზე მოხდა. როგორც გადაწყდა, პირველი აღმოსავლეთაზიური სამიტი მომავალ წელს მალაიზიის დედაქალაქში ჩატარდება, ხოლო შემდგომი – 2007 წელს ჩინეთში.

როგორც ტოკიოს დიპლომატიური წყაროები იუწყებიან, ჯაკარტაში დაფიქსირდა, რომ თანამეგობრობა მხოლოდ ეკონომიკური საკითხებით კი არ უნდა შემოიფარგლოს, არამედ პოლიტიკური და სოციალური განვითარების საკითხების გადაწყვეტითაც უნდა იყოს დაკავებული. თუმცა, მოცემულ ეტაპზე ამ თემაზე კონკრეტული დისკუსიების წარმოება დაგეგმილი არაა. საუბარი, უპირველეს ყოვლისა, ახალი სტრუქტურის შემადგენლობაში შემავალ ქვეყნებს შეეხება. რეგიონის ზოგიერთმა ქვეყანამ გამოთქვა მოსაზრება, რომ მასში შევიდეს სამხრეთ კორეა, ჩინეთი, იაპონია და ასეანის ათი წევრი: ბრუნეი, ვიეტნამი, ინდონეზია, კამბოჯა, ლაოსი, მალაიზია, მიანმა, სინგაპური, ტაილანდი და ფილიპინები. სხვები კი უფრო ღია რეგიონული სტრუქტურის შექმნისაკენ მოუწოდებდნენ. იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა თანამეგობრობისათვის ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და ინდოეთის მიერთების შესაძლებლობასაც კი გაუსვა ხაზი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა "რუსეთი" არც ერთ მათგანს არ უხსენებია. თუმცა, მინისტრები შეთანხმდნენ, რომ მოცემულ იდეაში ბევრი რამ გაურკვეველი რჩება და მოილაპარაკეს, რომ მოკლე ვადებში დაემუშავებინათ ახალი ორგანიზაციის შექმნასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. უფრო დეტალურ კონცეფციას, სავარაუდოდ, ნოემბერში ლაოსის დედაქალაქ ვიენტიანში დაგეგმილ შეხვედრაზე განიხილავენ, სადაც ასეანის ხელმძღვანელობით მოწვეული იქნებიან ჩინეთის, იაპონიისა და სამხრეთ კორეის ლიდერები.

ამ სახის საუბრები აღნიშნულ ქვეყნებს შორის 1997 წლიდან მიმდინარეობს, ხოლო "ცამეტთა სამიტის" იდეამ პირველად ჯერ კიდევ 2000 წელს გაიჟღერა. შემდეგ ის გადამუშავდა ექსპერტების მიერ, რომლებმაც 2002 წელს მოამზადეს კოლექტიური მოხსენება ინტეგრაციის მოკლევადიანი და საშუალოვადიანი მიზნების შესახებ. ამ უკანასკნელში ფიგურირებს ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანა, როგორიც რეგიონში თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნა გახლავთ.

"აღმოსავლეთაზიური თანამეგობრობის" კონცეფცია თავიდანვე იქცა იაპონიასა და ჩინეთს შორის მეტოქეობის საგნად. სამხრეთ კორეა დაჟინებით მოითხოვდა "ცამეტთა სამიტის" პირველი სხდომის პეკინში ჩატარებას. ტოკიო, თავის მხრივ, ახალი რეგიონული სტრუქტურის მთლიანი ნორმატიული ბაზის ჩამოყალიბებისათვის მზადყოფნას გამოთქვამდა. უმაღლეს დონეზე პირველი შეხვედრის ჩატარება კი კუალა-ლუმპურში სწორედ იმიტომ გადაწყდა, რომ ვნებათაღელვა ჩამცხრალიყო და ხაზი გასმოდა იმ ფაქტს, რომ ახალი ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში ლიდერობა არა ძლიერ ჩინეთს, იაპონიასა თუ სამხრეთ კორეას, არამედ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის შედარებით ღარიბ ქვეყნებს ეკუთვნით.

"აღმოსავლეთაზიური თანამეგობრობა" გარკვეულწილად პასუხია იმ გარემოებაზე, რომ მეორე რეგიონული სტრუქტურის – აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ფორუმის (APEC) განვითარება ჩიხურ მდგომარეობაშია. ეს ორგანიზაცია ყოველწლიურად ატარებს სამიტებს რუსეთისა და აშშ-ს პრეზიდენტების, ჩინეთის, იაპონიისა და ასეანის ქვეყნების ლიდერების მონაწილეობით, მაგრამ, ფაქტობრივად, თავისი უპირველესი მიზნის – წყნარი ოკეანის აუზის სამეურნეო ინტეგრაციის – განხორციელებისაგან ძალზე შორს დგას. აზიის ქვეყნებში სულ უფრო ხმამაღლა საუბრობენ იმის თაობაზე, რომ APEC-ი ისეთივე წარმომადგენლობით სტრუქტურად იქცა, როგორიც "დიდი რვიანის" სამიტებია, რომელთაც თან ახლავს დიდი ხმაური და რეკლამა, მცირეოდენი სარგებელი პირველ პირთა შორის ურთიერთობებიდან, მაგრამ ძალიან ცოტა პრაქტიკული შედეგი მოჰყვება. რეგიონში საკმაოდ უკმაყოფილონი არიან იმის გამო, რომ შეერთებული შტატები APEC-ს, პირველ რიგში, საკუთარი გლობალური მიზნების განსახორციელებლად იყენებს.

სხვათა შორის, 1997 წელს რუსეთი APEC-ში ძირითადად იაპონიის პროტექციით მიიღეს, რადგანაც ეს უკანასკნელი სამხრეთ კურილიის კუნძულების საკითხის სწრაფად მოგვარებას იმედოვნებდა. ამჯერად, ტოკიო, სავარაუდოდ, მხარს აღარ დაუჭერს რუსეთის "აღმოსავლეთაზიურ თანამეგობრობაში" შესვლას. საეჭვოა, რომ ჩინეთმაც გაუწიოს რუსეთს მფარველობა, რადგან პეკინი ვერ ხედავს იმის აუცილებლობას, რომ ახალ სტრუქტურას კიდევ ერთი ზესახელმწიფო მიუერთდეს მაშინ, როდესაც მას თავად სურს მასში დომინირება. რუსეთს განსაკუთრებულ ლობირებას, ამ მიმართებით, არც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები უწევენ.

რუსეთის წინააღმდეგ კიდევ ერთი დამღუპველი არგუმენტი არსებობს: მისი მონაწილეობა რეგიონის ეკონომიკაში, ჯერჯერობით, უმნიშვნელოა. მაგალითად, იაპონიის ჩინეთთან ვაჭრობის მოცულობა თითქმის 140 მლრდ. დოლარია წელიწადში, ასეანის ქვეყნებთან – 126 მლრდ. დოლარზე მეტი, ხოლო რუსეთთან – მხოლოდ 6 მლრდ. დოლარი. კორეის სახალხო რესპუბლიკა რეგიონში რუსეთის უმსხვილესი სავაჭროა პარტნიორია, მაგრამ წინა წელს ორმხრივი ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების მოცულობამ მხოლოდ 15 მლრდ. დოლარი შეადგინა.

თუმცა, შანსები მოსკოვს მაინც გააჩნია. არსებობს მოლაპარაკება მომავალ წელს მალაიზიაში რუსეთ-ასეანის სამიტის ჩატარების შესახებ, რომელიც ორმხრივი ურთიერთობების 10 წლისთავს მიეძღვნება. სავსებით მოსალოდნელია, რომ აღნიშნული სამიტი "ცამეტთა სამიტის" პარალელურად მოეწყობა, რაც გარკვეულ დიპლომატიურ პერსპექტივებს მაინც სახავს. მოსკოვს, აგრეთვე, ეკონომიკური კოზირიც გააჩნია: რუსეთი ყველა შემთხვევაში გაზრდის თავის როლს რეგიონის ქვეყნებში ნავთობის და გაზის მიმწოდებლის სახით, როდესაც აღმოსავლეთ ციმბირი და სახალინი იქნება ათვისებული. თუმცა, მოსკოვმა ერთი რამ აუცილებლად უნდა გააკეთოს – მან რეგიონის ქვეყნების მხრიდან თავის, როგორც საქმიანი პარტნიორის მიმართ უნდობლობა უნდა დაძლიოს. მაგალითად, ასეანის შიდა დოკუმენტში, რომელიც რუსეთთან ერთად სამიტის ჩატარებას ეხება, ნათქვამია: მოსკოვმა "შემოგვთავაზა მთელი რიგი თანამშრომლობის პროექტებისა, მაგრამ უსახსრობის გამო მათი განხორციელება არ მოხერხდა".

# რუსთაველის ფრესკასთან...

მზია მარსაგიშვილი

*საქართველოსა და მსოფლიოს მასმედია ბოლო დღეებში ბევრს წერს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მომხდარი ვანდალური ფაქტის - შოთა რუსთაველის უნიკალური ფრესკის შეგნებულად დაზიანების - შესახებ. გთავაზობთ დაზიანებული ფრესკის პირველი თვითმხილველის, ისრაელში საქართველოს ელჩის მეუღლის, მზია მარსაგიშვილის ჩანაწერებს ამ მოვლენასთან დაკავშირებით.*

3 ივლისს, შაბათ დღეს, იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მისულმა შევნიშნე, რომ შოთა რუსთაველის უნიკალური ფრესკა, რომელიც მსოფლიო კულტურის საგანძურს წარმოადგენს, ხოლო ჩვენთვის, ქართველებისათვის კი, ფასდაუდებელია, ძალიან არის დაზიანებული. სახეზე მხოლოდ მარცხენა თვალის და შუბლის ზედა ნაწილის ზოლია შერჩენილი, დანარჩენი კი ღრმად ამოთხრილ-ამოგლეჯილია და ბათქაშის ფენა თეთრად ჩანს. თეთრი წვერი და ქუდი მთლიანად არის წაშლილი რაღაც წვეტიანი იარაღით, ერთი-ორი ნაკაწრი ტანსაცმელზეც შევნიშნე. წარწერიდან დაზიანებულია სწორედ გვარი: "როსთველი"-ს ასოებიდან "სანს" ფეხი აქვს ჩამოცლილი, "ვინი" და "ლასი" კი საერთოდ არ იკითხება და ისე "ოსტატურად" არის ჩამოფხეკილი ქვედა ფენის საღებავის დაუზიანებლად, თითქოს ასოები დროთა ვითარებაში დაზიანდა და თვითონ წაიშალაო. არადა, სულ ერთი კვირის წინ ფრესკა და წარწერა ხელუხლებელი იყო...

ნანახით შეწუხებულმა დავიწყე მთელი ეკლესიის დათვალიერება - იქნებ სხვაგანაც არის დაზიანება და ეს არ არის მიზანმიმართული ბოროტება ჩადენილი მხოლოდ შოთა რუსთაველის სახისა და სახელის ამოსაკვეთად. არსად, არავითარი ახალი ცვლილება, მხოლოდ კარიდან მარცხნივ, შოთა რუსთაველის ფრესკიანი სვეტის პირდაპირ, მთავარანგელოზების მიქაელისა და გაბრიელის გამოსახულებათა ქვეშ მშვენიერი ასომთავრულის მწკრივებში მოხსენიებულ "მოურავ ქეიხოსრო"-ს სახელში პირველი ორი ასო – "ქანი" და "ენი" - გაფერმკრთალებულია, თუმცა შეუიარაღებელი თვალით მაინც იკითხება. 2002 წელს გადავიღე ჯვრის მონასტრის ყველა ფრესკა და წარწერა. მაშინ ეს ორი ასო ბევრად უფრო მკვეთრად ჩანდა. ეს დაზიანება დღევანდელთან შედარებით უფრო ადრინდელსა ჰგავს. თანაც ამ სვეტთან იდგა მაღალი მერხი: შესაძლოა, სწორედ მან დააზიანა. ეს დაზიანებაც უმნიშვნელოდ ჩავთვალე.



*ასე გამოიყურება იერუსალიმის ჯვრის მონასტერში რუსთაველის ფრესკა.*

კვირას მონასტერი მნახველთათვის დაკეტილია. და რა დიდი იყო ჩემი გაოცება, როდესაც ორშაბათს დილით, 5 ივლისს, გავრცელდა ხმა, თითქოს ჯვრის მონასტერში მხოლოდ რუსთაველის ფრესკა კი არა, არამედ ბევრი სხვაც, მათ შორის ბერძნულიც, არის დაზიანებულიო, თითქოს ვიღაც გონებაშერყეული ვანდალი ყველაფერს მიყოლებით ანადგურებდა. ვის სჭირდება ასეთი ტყუილი? ალბათ იმას, ვინც დამნაშავეა, ან ვისაც 'საქმის ჩაფარცხვა" აძლევს ხელს. თუ მართლაც ასეა, და ვანდალურად დაზიანდა ბევრი ადგილი, მონასტრის ხელმძღვანელობამ რატომ სასწრაფოდ არ შეატყობინა პოლიციას?

სასწრაფოდ მივემგზავრებით იერუსალიმში. ჯვრის მონასტერთან მისულებს უკვე გველოდებიან იერუსალიმის პოლიციის წმინდა ადგილების დეპარტამენტის თანამშრომლები - ოფიცრები ბენ ეზრა და სალიბა სალიბა: ერთი ებრაელია, მეორე კი ქრისტიანი არაბი; იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს იურიდიული მრჩეველი, ისრაელელი ებრაელი. აქვე არიან რუსული ტელეარხის "რტრ"-ის კორესპონდენტი სერგეი პაშკოვი და მისი ოპერატორი და ჩვეულებრივი მომლოცველები. ჯვრის მონასტრის ამჟამინდელ იღუმენს, არქიმანდრიტ კლაუდიოსს არავის შეშვება არ სურს. არც ჩვენი. მაგრამ პოლიციასთან ერთად, რა თქმა უნდა, ჩვენც შევდივართ. სურათის გადაღებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

შეშფოთებული კლაუდიოსი გვიჩვენებს შოთა რუსთაველის სვეტის მეორე მხარეს, მოციქულების პეტრესა და პავლეს გამოსახულებათა ქვევით, დრანდელი ეპისკოპოსის ფრესკის მარჯვნივ მოზრდილ მოყვითალო ფოსოს, თითქოს ისიც იმავე ვანდალის ნამოქმედარია. მაგრამ 2002 წლის ჩემს ფოტოზეც ეს დაზიანება იმავე ფორმისა და სიდიდისაა. ჩემი ფოტო რა მოსატანია, როდესაც ირაკლი აბაშიძის მიერ 1960 წელს გადაღებულ ფოტოზეც მკაფიოდ ჩანს იგივე ფოსო (ი. აბაშიძე, ფიქრები პალესტინაზე, 1989, გვ. 32-33). კლაუდიოსი მლოცველებს ადანაშაულებს - სუვენირებად ბათქაშის ნაწილის წაღება და მოზაიკური იატაკიდან კენჭების ამოჩიჩქვნა უყვართო. მაგრამ შოთა რუსთაველის ფრესკის შემთხვევაში ასეთი ბრალდება მლოცველების მიმართ სრული აბსურდია: რომელი მორწმუნე აქცევს მტვრად ფრესკას, რათა სახლში სუვენირად წაიღოს?

დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ იმ ექვსი წლის მანძილზე, რაც აქ ვართ, ჯვრის მონასტრის სიძველეთაგან ბოლო დრომდე არაფერი დაზიანებულა. თუმცა გული მეკუმშება, როდესაც ვუყურებ მოშიშვლებულ კედლებს, სადაც ადრე უნდა ყოფილიყო ასეთივე ფრესკები. რამდენია გაყიდული, სად და ვის ხელშია ახლა?

როგორც გახსოვთ, 2002 წლის მარტში ბერძნული საპატრიარქოს ეზოში არსებული ელისაბედ კახთა დედოფლის მე-17 საუკუნის ქტიტორული წარწერა დაამტვრიეს. იმავე პერიოდში გამწვავდა ურთიერთობა ჯვრის მონასტრის ხელმძღვანელობასთან, იმდენად, რომ აპრილში ქართველ ტურისტებს კარს არ უღებდნენ - ქართველების შემოშვება აკრძალული გვაქვსო. საელჩოს დიდი მცდელობის შედეგად ურთიერთობის ნორმალიზაცია მოხერხდა. იმდენად, რომ მონასტრის ბიბლიოთეკაშიც შევდიოდით და სარდაფებიც შემოვიარეთ. სარდაფის ერთ-ერთ ოთახში წავაწყდით კედელზე მიყუდებულ რკინის ჩარჩოებში ჩასმულ სამ მოზრდილ (დაახლოებით მეტრნახევარი სამ მეტრზე) ძალიან მძიმე მოზაიკებს. გადმოვწიეთ. ერთიანი ცემენტია. მხოლოდ კუთხეებში შერჩენია მოზაიკის ქვები. თუ ეს გასაყიდადაა მომზადებული, ამას ვინ იყიდის? ჩვენთვის კი რამხელა ფასი აქვს, რა ემოციებს აღძრავს!

2003 წლის ოქტომბრიდან ურთიერთობა ისევ დაიძაბა. 2004 წლის თებერვალ-მარტში კი, მას შემდეგ, რაც იღუმენად კლაუდიოსი დანიშნეს და ახალი დიაკვანიც მოიყვანეს, ჯვრის მონასტერმა მალე იერი შეიცვალა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ შემოწირული ვერცხლის მასიური ჯვარი (რომელიც ესვენა იმ სვეტთან, რომლის ზედა ნაწილში აბრაამის მიერ ისაკის მსხვერპლად შეწირვის სცენაა გამოსახული) ხის ჯვარმა შეცვალა. ასევე უბრალო ხის ჯვრით შეცვალეს შუა ტაძარში აღმართული ვერცხლის დიდი ჯვარი, რომლის პირზე ჯვარცმაა გამოსახული, ზურგის პირზე კი ჯვრის მონასტრის ისტორია. ქართველ ოსტატს (ერისკაცობაში კახაბერს; შემდგომში ის ბერად აღიკვეცა) ეს ჯვარი ისრაელშივე საგანგებოდ ჯვრის მონასტრისათვის დაუმზადებია და საქართველოდან ჩამოტანილი ქვებით შეუმკია. ოსტატმა თავისი სახელიც კი არ მოიხსენია. მხოლოდ "შემინდე ამის გამკეთებელს"-ო მიუწერია. მოვიკითხეთ ჯვრები. მუზეუმშიაო. მაგრამ მონასტრის მუზეუმი მნახველებისათვის დაკეტილია. ასევე დაკეტილია მუზეუმის გვერდით მდებარე იოანე დამასკელის სამლოცველოც, სადაც რამდენიმე წლის წინ შეწირული მრავალფიგურიანი ქართული ხატი ესვენა. რა ბედი ეწია, არ ვიცი. სადღაა რუსთაველის ფრესკის ქვეშ დასვენებული ილია მართლის ხატი, რომლის სურათიც ირაკლი აბაშიძის წიგნიდან "ფიქრები პალესტინაზე" ახალგაზრდობიდან მახსოვს. ასევე ვერ ვხედავ ილია II-ის მიერ 2000 წელს შეწირულ დავით აღმაშენებლის ხატს, ნინო ჭეიშვილის მიერ 2002 წლის 31 აგვისტოს შეწირულ წმ. ნინოს ხატს (ამ ორი უკანასკნელის ფოტოები გადაღებული მაქვს). ედუარდ შევარდნაძის მიერ შეწირული მარიამ ღვთისმშობლის ხატი, რომელიც შოთა რუსთაველის ფრესკის მოპირდაპირე სვეტზე ეკიდა, 3 ივლისს დერეფანში კედელზე მიყუდებული დაგვხვდა. დაზიანებული არ არის. 5 ივლისს კლაუდიოსი ბობოქრობდა: აი, თქვენმა ხალხმა რა ქნაო, როგორ ჩამოხსნა ეს ხატი-ო. ამის დადგენა ხომ სულ ადვილია, პოლიციაც აქ არის და თითის ანაბეჭდები ავიღოთ-მეთქი. შეცბა, გაჩუმდა. არადა არ განეკუთვნება ადამიანთა იმ ტიპს, ასე ადვილად რომ შეცბეს.

პოლიციელებიც, იურისტიც გვთხოვენ, დისკუსია არ გავმართოთ. ვჩუმდები. საუბარში გაირკვა, რომ საპატრიარქოს იურიდიულ მრჩეველს "ვეფხისტყაოსნის" გაპონოვისეული ებრაული თარგმანი წაუკითხავს, დიდად მოსწონებია და გაოცებულია, რომ საქმე სწორედ ამ ნაწარმოების ავტორს ეხება.

ვბრუნდებით სახლში. მთელი გზა რუსთაველის აფორიზმები მიტრიალებს თავში: "ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების", "გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი". რა ჯობია? რა გზის არჩევა? ნეტა რას გვირჩევდა ბრძენი შოთა რუსთაველი?

თანამედროვე ტექნიკის პირობებში, ალბათ, ყველაფრის აღდგენა შეიძლება. მაგრამ, ძნელი წარმოსადგენია საუკეთესო რესტავრატორის ხელშიც კი გამეორდეს ფრესკის ის არაამქვეყნიური და, ამავე დროს, ასეთი მიწიერი გამოხედვა, რომელსაც დროთა ვითარებაში დაზიანებული მარჯვენა თვალიც კი რაღაცას ჰმატებდა. შეუძლებელია მისცე კვლავ ის ელფერი, რასაც სულის სიდიადე ჰქვია. შეუძლებელია გაიმეორო ის, რასაც ირაკლი აბაშიძემ "სადღაც ბავშვის გამომეტყველება დაჰკრავს"-ო, უწოდა.

სპეციალისტებმა უკეთ იციან, მაგრამ ხომ არ აჯობებდა დარჩეს ფრესკა დაზიანებულ მდგომარეობაში, როგორც ახლაა - ვანდალიზმის და ბარბაროსობის მაგალითად. მის მოპირდაპირე მხარეს გაშიშვლებულ კედელზე კი გაიკრას ის ფოტოები, რომლებიც ასახავს ფრესკას დაზიანებამდე, როგორიც გვახსოვს 1960 წლის 6 ნოემბრიდან, როდესაც შავი საღებავის ფენიდან ის ქართველ მეცნიერთა ჯგუფმა გაწმინდა, და როგორიც ის იყო 2004 წლის ივნისის ბოლომდე.

*7 ივლისი, 2004*
*თელ-ავივი*




## აშშ-ს მთავრობის ათასწლეულის მხარდაჭერის პროგრამაში წარმატებული მონაწილეობისთვის მიეცით რჩევა საქართველოს მთავრობას

მოკლე მიმოხილვა

MCC (ათასწლეულის მხარდაჭერის პროგრამა) არის აშშ-ს სამთავრობო ორგანიზაცია, რომლის შექმნის მიზანია, დაეხმაროს განვითარებად ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, უზრუნველყონ ეკონომიკური ზრდა და სიღარიბის დაძლევა, გაატარონ ეკონომიკური და საკანონმდებლო რეფორმები. ამ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად სააგენტომ 75 კანდიდატი ქვეყნისაგან შეარჩია საქართველო სხვა 15 ქვეყანასთან ერთად. აღნიშნული შერჩევის შედეგად საქართველოს მიეცა შესაძლებლობა, მიიღოს გრანტის დაფინანსება იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი პროგრამა და მომზადებული ხელშეკრულება დააკმაყოფილებენ MCC-ს პირობებს.

ამ დოკუმენტის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროექტების და იდეების მოძიება და რეგისტრაცია, რომლებიც შევლენ საქართველოს Millenium Challenge (ათასწლეულის გამოწვევა) კომიტეტის მიერ MMC-თვის წარსადგენ საბოლოო საპროექტო წინადადებაში. აღნიშნული კომიტეტის წევრები არიან საქართველოს სახელმწიფო მოხელეები, სამოქალაქო საზოგადოების და ბიზნესის ლიდერები, პარლამანტარები და საზოგადოების სხვა წევრები.

მრავალმხრივი და სრული საპროექტო წინადადების მომზადების მიზნით, საქართველოს Millenium Challenge(ათასწლეულის გამოწვევა) კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, მიმართოს დაინტერესებულ მოქალაქეებს, არასახელმწიფო ორგანიზაციებს, ბიზნესის წარმომადგენლებს, პოლიტიკურ პარტიებს, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა, წარადგინონ ისეთი საპროექტო წანადადებები და რჩევები, რომლებიც შეესაბამებიან პროგრამის მიზნებს. წარდგენილი საპროექტო წინადადების შინაარსი არ შემოიფარგლება კონკრეტული სფეროთი ან დარგით.

საქართველოს Millenium Challenge კომიტეტი განიხილავს წარდგენილ რჩევებს და წინადადებებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- გრძელვადიანი და გაზომვადი ეფექტი საქართველოს ეკონომიკის ზრდაზე;
- პროექტი ხასიათდება მრავალმხრივი პოზიტიური ეკონომიკური ეფექტით (გავლენას ახდენს ეკონომიკის რამდენიმე სფეროს ზრდაზე ან ზრდის ხელმშემწყობ ფაქტორებზე);
- რატომ არის მნიშვნელოვანი ამ პროექტის განხორციელება? (პასუხში მიუთითეთ, თუ როგორ გავლენას მოახდენს წარდგენილი პროექტი ეკონომიკურ განვითარებაზე და სიღარიბის დაძლევაზე);
- მოახდენს თუ არა პროექტის განხორციელება კონკრეტული რეგიონის განვითარებაზე გავლენას? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ განმარტოთ, თუ როგორ გავლენას მოელით.
- პროექტის განხორციელების გარდა, რა დამატებითი ხელშემწყობი ინიციატივებია საჭირო, რომ პროექტის შედეგმა უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდა?
- აღწერეთ პროექტის დამოკიდებულება სხვა პროექტებთან ან ინიციატივებთან მიმართებაში. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელება ან ეფექტი დამოკიდებულია სხვა პროექტების განხორციელებაზე, მიუთითეთ ეს პროექტები და მათი თანმიმდევრობა.

წარმატების შემთხვევაში სახელმწიფო გეგმავს თანხების ინვესტირებას ეკონომიკური განვითარებისთვის შემდეგ სფეროებში:

- სახელმწიფო მართვის ოპტიმიზაცია;
- საინვესტიციო ფონდების შექმნა რეგიონებში;
- ინფრასტრუქტურა (გზები, ხიდები, წყალი, სხვა);
- ენერგეტიკა.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი რჩევა, თუ რამდენად ეფექტურად მიგაჩნიათ ამ სფეროებში ფულის ინვესტირება ან შემოგვთავაზოთ თქვენი კონკრეტული იდეა, რომელიც მიმართული იქნება ქვეყნის ეკონომიკური ზრდისაკენ.

გთხოვთ, მოგვაწოდეთ მოკლე დემოგრაფიული ინფორმაცია თქვენს შესახებ:

საცხოვრებელი რეგიონი ____________

რომელ სექტორს მიეკუთვნებით?
--- კერძო
--- სამთავრობო
--- არც ერთი

საქმიანობის სფერო (გთხოვთ მიუთითოდ ორგანიზაციის სახელწოდება):
____________
____________

სახელი გვარი ____________ ____________

ასაკი ____________

(შესაძლოა ანონიმური პასუხები და რჩევები)

საპროექტო წინადადების წარდგენასთან დაკავშირებით:

**ვებ-გვერდი:** www.mcg.ge

**მისამართი:** ჯი-ემ-თი პლაზა, თავისუფლების მოედანი, 4.
გთხოვთ, მოათავსოთ თქვენი მოსაზრებანი შესაბამის ყუთში, რომელიც განლაგებულია შენობის პირველ სართულზე.

**ტელ:** (995 32) 92 38 69

**ფაქსი:** (995 32) 92 14 80

**ელ.ფოსტა**: info@mcg.ge

პროექტების და რჩევების წარდგენის საბოლოო ვადაა 10/07/04 17:00

# პროკურატურის რეფორმის პირველი ეტაპი დასრულებულია

თამარ კაციტაძე

*საქართველოს პროკურატურაში ქაღალდის და საწერი კალმის დეფიციტის ეპოქა დასრულდა. დღევანდელმა ხელისუფლებამ პროკურატურას თავის დროზე ხელოვნურად ჩამორთმეული ფუნქცია დაუბრუნა და იგი სახელმწიფოს მშენებლობაში ერთ-ერთ საყრდენ სტრუქტურად აღიარა. ახალი დროება კი უმაღლეს სამართალდამცავ სისტემაში მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფით და სტრუქტურული რეფორმით დაიწყო.*



*პროკურატურაში რეფორმის მეორე ეტაპი დაიწყო - ამბობს გენერალური პროკურორის მოადგილე კახა კობერიძე.*

ერთი თვეც არ გასულა მას შემდეგ, რაც პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები "საქართველოს ორგანულ კანონში პროკურატურის შესახებ" და როგორც გენერალური პროკურორის მოადგილემ კახა კობერიძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ამის შემდეგ რეფორმების პირველი ეტაპიც დასრულდა.

სტრუქტურული ცვლილების მნიშვნელოვანი ეტაპი იყო მთავარი სამხედრო, ტრანსპორტის და სასჯელაღსრულების ორგანოებში კანონიერების ზედამხედველობის პროკურატურების გაუქმება. ანუ, საქართველოში სპეციალიზებული პროკურატურები აღარ არსებობს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღნიშნული ტიპის პროკურატურები ქვეყანაში აღარასოდეს იარსებებს.

**"ახალი ორგანული კანონით, გენერალურ პროკურორს სპეციალიზებული პროკურატურების შექმნის უფლება შეუნარჩუნდა. ჩვეულებრივ პირობებში ანალოგიური პროკურატურები არ უნდა არსებობდეს, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება, ისინი ან სხვა ტიპის სპეციალიზებული პროკურატურები კვლავ შეიქმნას. თუმცა, ეს იმას რა ნიშნავს, რომ იგი მუდმივად იარსებებს,"** - განაცხადა კახა კობერიძემ.

გაუქმებულ სპეციალიზებულ პროკურატურებში არსებული საქმეები ტერიტორიალური ქვემდებარეობის პრინციპით გადანაწილდა და მათ გამოძიებას დღეიდან რაიონის ის გამომძიებლები გააგრძელებენ, რომლებსაც განსაკუთრებული სტატუსი აქამდე არ გააჩნდათ. იმისათვის, რომ გამოწვეული ცვლილებებით მოქალაქეები, რომელთა საქმეებიც აღნიშნულ პროკურატურებში იყო, არ დაიბნენ, სათანადო ზომები უკვე მიღებულია. ყველა გამომძიებელი, რომელიც ახალ საქმეს ჩაიბარებს, თავად გაუგზავნის შეტყობინებას იმ პიროვნებას, ვისი საქმის გამოძიებაც დაევალა.

რაც შეეხება იმ ორას თანამშრომელს, რომლებიც დღემდე სპეციალიზებულ პროკურატურებში მუშაობდნენ. კახა კობერიძის თქმით, ისინი სამი თვის განმავლობაში კადრების განკარგულებაში იქნებიან.

**"ის თანამშრომლები, რომლებიც პროფესიონალიზმით და შეულახავი რეპუტაციით გამოირჩევიან, სხვადასხვა რაიონებში გადანაწილდებიან, ხოლო რომლებიც პროკურატურაში მუშაობის ღირსნი არ არიან, ჩვენს სისტემას დაემშვიდობებიან,"** - ამბობს გენერალური პროკურორის მოადგილე.

შესაბამისად, იმ შენობების ბედიც უკვე განსაზღრულია, რომლებშიც აღნიშნული პროკურატურები იყო განთავსებული.

**"ბევრი რაიონის პროკურატურა ფაქტობრივად ავარიულ შენობებშია განთავსებული. გათავისუფლებული შენობები სწორედ ასეთ მდგომარეობაში მყოფ პროკურატურებს დაეთმობა",** - აღნიშნავს კახა კობერიძე.

შემცირება მხოლოდ სპეციალიზებული პროკურატურის თანამშრომლებს არ ეხება. რეფორმის მიხედვით პროკურატურაში დაწყებულია კადრების ოპტიმიზაცია და საბოლოოდ, მოსალოდნელია, უმაღლესი სამართალდამცავთა რიგების მნიშვნელოვნად შემცირება. ამ პროცესის მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ გადატანას ხელს შეუწყობს, ახლადმიღებული კანონი, რომელიც მოსამართლეების და პროკურატურის ოპერატიული მუშაკების პენსიებს შეეხება. პროკურატურის თანამშრომელს, რომელსაც სისტემაში მუშაობის 25-წლიანი სტაჟი გააჩნია, დაენიშნება დღევანდელი ხელფასის (ბოლო პერიოდში იგი მნიშვნელოვნად გაიზარდა) 60 პროცენტი, რასაც დაემატება ჩინის და ნამსახურები წლების პროცენტიც. ხოლო საპენსიო ასაკში ისინი პენსიას სრული სახით მიიღებენ.

მიუხედავად ამისა, მიზანმიმართული შემცირებები ყველა რგოლში არ მოხდება, პირიქით, დატვირთვიდან გამომდინარე, შესაძლებელია ზოგიერთ მათგანს კადრები დაემატოს კიდეც. ამასთან იგეგმება რაიონული პროკურატურების გამსხვილებაც.

**"ბევრ რაიონულ პროკურატურას სამუშაო არ გააჩნია, მაგრამ ისინი მაინც არსებობს. ამიტომ, გადაწყვეტილია, რომ რამდენიმე რაიონის პროკურატურა გაერთიანდეს და პარალელურად მოხდეს მათი მატერიალურ-ტექნილური აღჭურვა, რათა მუშაობის შესაბამისი პირობები ჰქონდეთ",** - ამბობს კახა კობერიძე.

სამსახურეობრივი სპეციფიკიდან და მოსალოდნელი ყოველდღიური ცდუნებიდან გამომდინარე, პროკურატურის თანამშრომლებისთვის შესაბამისი ხელფასით და პირობებით უზრუნველყოფას რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვფიქრობთ, ახსნა არ სჭირდება. მაგრამ წლების განმავლობაში ეს სისტემა ხელისუფლების მხრიდან იმდენად იყო იგნორირებული, რომ ხელფასების გაზრდას ვინ ჩივის, უხუცეს პროკურორებს ისიც აღარ ახსოვთ, ბოლოს როდის მიიღეს საწერი კალამი და ფურცელი, რომ არაფერი ვთქვათ, საწვავზე. დღეს, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი პროგრესი ამ მხრივაც შეიმჩნევა. გენერალური პროკურორის მოადგილის თქმით, ბოლო პერიოდში სისტემამ 30 ავტომობილი შეიძინა, რომელიც ცენტრალურ უწყებაში და რაიონებში გადანაწილდა.

**"ცოტა ხანში შევძლებთ რაიონების საწვავით და სხვა აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფას. ჩვენ პროკურატურებში შევქმნით მუშაობის ნორმალურ პირობებს და შესაბამისად გავამკაცრებთ მოთხოვნებსაც. მნიშვნელობა არ აქვს ახალი დანიშნულია პიროვნება თანამდებობაზე თუ ძველი. ვინც კარგად იმუშავებს დარჩება სისტემაში, ვინცა არა - დაემშვიდობება პროკურატურას",** - განაცხადა კახა კობერიძემ და დასძინა, რომ პროკურატურის სისტემაში დაწყებული რეფორმა მეორე ეტაპზე გადავიდა.

რეფორმის მეორე ეტაპი კი ოპტიმიზაციასთან ერთად პროკურატურაში კადრების გამჭვირვალედ და კონკურსის წესით შერჩევას გულისხმობს. ეს ნამდვილად მოულოდნელი სიახლეა, რაც საბოლოოდ დაუსვამს წერტილს პროკურატურაში თანამდებობის პირების დანიშვნის ყბადაღებულ თემას. გენერალური პროკურორის მოადგილის თქმით, მომავალში დაგეგმილია პარიტეტულ საწყისებზე სპეციალური კომისიის შექმნა, სადაც პროკურატურის თანამშრომლებთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას და სწორედ ისინი შეარჩევენ ამა თუ იმ თანამდებობისთვის შესაფერ კანდიდატებს.

ერთი სიტყვით, ეს ყველაფერი რეფორმის ის მცირე ნაწილია, რომელიც პროკურატურაში დაიწყო და რომელიც კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

# აფიორა სანდრა რულოვსის და ბადრი პატარკაციშვილის სახელის გამოყენებით

ხონელმა სამართალდამცველებმა გუშინ მსხვილი აფიორა გახსნეს. ხონის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს წყალტუბოელი ბეჟან კოღუაშვილი, რომელიც თაღლითობაშია ეჭვმიტანილი.

საქმე ისაა, რომ ბეჟან კოღუაშვილი ხონში, წყალტუბოსა და ვანში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილებს დაუკავშირდა და, საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, ბავშვების იტალიაში დასასვენებლად წაყვანა შესთავაზა. ჯერჯერობით დადგენილია, რომ მხოლოდ ხონში მან 32 ბავშვის მოგროვება შეძლო, თუმცა, როგორც ხონის პროკურორი თამაზ აბაზაძე აცხადებს, ეს რიცხვი, სავარაუდოდ, საგრძნობლად გაიზრდება, რადგანაც იტალიაში დასვენების მსურველი ბავშვებით რამდენიმე ჯგუფი მან წყალტუბოსა და ვანშიც დააკომპლექტა.

თამაზ აბაზაძის განცხადებით, ბეჟან კოღუაშვილმა ახსნა-განმარტება სამართალდამცველებს უკვე ჩააბარა. არსებული წინასწარი მონაცემებით, იგი თავს საქართველოს პრეზიდენტის მეუღლის, სანდრა რულოვსის ფონდის წარმომადგენლად ასაღებდა და აცხადებდა, რომ საქველმოქმედო აქცია სანდრა რულოვსის პატრონაჟითა და ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის დაფინანსებით ტარდებოდა.

**„ბეჟან კოღუაშვილმა ხონში მოგროვებულ ბავშვების მშობლებს 60-60 ლარი გამოართვა, ვითომდა, ვიზების თარგმანისთვის, მეტი დამაჯერებლობისთვის მან ბავშვებს ტესტირებაც კი ჩაუტარა. ჯერჯერობით ცნობილია ის, რომ მხოლოდ ხონში მან ამ თაღლითური გზით 380 ლარი გააკეთა, თანხის რაოდენობა, სავარაუდოდ, გაიზრდება, რადგან იგივე „ოპერაციები" მან წყალტუბოსა და ვანშიც ჩაატარა,"** – ჩვენთან საუბრისას განაცხადა ხონის პროკურორმა თამაზ აბაზაძემ.

ბეჟან კოღუაშვილის წინააღმდეგ საქმე თაღლითობის მუხლით აღიძვრება და ის გამოსაძიებლად ფინანსურ პოლიციას გადაეცემა.

სააგენტო „ინტერპრესის" ინფორმაციით, ბადრი პატარკაციშვილის ფონდის ხელმძღვანელი პაატა ჩახნაშვილი სამართალდამცველების მიერ დაკავებული კოღუაშვილის პატარკაციშვილის ფონდთან რაიმე კავშირს კატეგორიულად უარყოფს და საზოგადოებას "არაკეთილსინდისიერი ადამიანებისგან დაცვის მიზნით" სიფხიზლისკენ მოუწოდებს. ჩახნაშვილი კოღუაშვილს „წმინდა წყლის აფერისტს" უწოდებს, რომელიც პატარკაციშვილის ფონდის სახელს "მისი ბინძური საქმეებისათვის იყენებდა". მისივე თქმით, ბავშვების საზღვარგარეთ დასვენების თხოვნით ფონდისთვის არავის არასდროს მიუმართავს, მით უმეტეს - კოღუაშვილს.

ჩახნაშვილი კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ სამართალდამცველებმა დროულად აღკვეთეს აფერისტის საქმიანობა, რომლის შედეგად საქართველო, შესაძლოა, საერთაშორისო სკანდალშიც გახვეულიყო. "ფონდის ღირსებაზე საუბარი არ არის, მთავარია, რომ ბავშვები გადაარჩინეს," – განაცხადა ჩახნაშვილმა.

*24 საათი*

# აფხაზმა სეპარატისტებმა ქართული ოჯახების გამოძევების ფაქტი აღიარეს

ჭუბურხინჯის ოთხმხრივი შეხვედრა გუშინ, ტრადიციულად, კვლავ გაიმართა. სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორის მოადგილის, მებრძოლი ჭკადუას ინფორმაციით, მხარეებმა აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში გასული კვირა მშვიდად და სტაბილურად შეაფასეს, თუმცა, საერთოდ გართულებულ კრიმინოგენულ ვითარებაზეც იმსჯელეს.

მხარეებმა განიხილეს რუსეთის სამშვიდობო ძალების 211-ე და 304-ე საკონტროლო გამშვებ პუნქტებზე მომხდარი თავდასხმები. 211-ე საკონტროლო გამშვები პუნქტი - გალის რაიონის სოფელ საბერიოში, ხოლო 307-ე წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავაში მდებარეობს. რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებმა ამ თავდასხმების გამოძიების საკითხი დააყენეს და სპეციალურად ამ თავდასხმების გამოსაძიებლად შექმნილი ოთხმხრივი საგამოძიებო ჯგუფის წევრები შემთხვევის ადგილზე გავიდნენ კიდეც. თავდასხმებთან დაკავშირებით, ქართული მხარე აცხადებს, რომ მომხდარი სპეციალურად დაგეგმილი პროვოკაცია იყო და ქართულ მხარეს მასში არანაირი მონაწილეობა არ მიუღია. მხარეები საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ მომხდარი პროვოკაცია იყო და რომ გამოძიება ამ კუთხით უნდა გაგრძელდეს.

გუშინდელ შეხვედრაზე ქართული მხარის წარმომადგენლებმა გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯიდან ქართული ოჯახების გაძევების ფაქტი გააპროტესტეს და კატეგორიულად მოითხოვეს აფხაზ სეპარატისტთა მილიციის მიერ იძულებით გამოსახლებული 4 ქართული ოჯახის უკან დაბრუნება, რაზეც ქართულმა მხარემ აფხაზური მხარისგან გამოძევებული ოჯახების საკუთარ საცხოვრებელ სახლებში დაბრუნების გარანტიები მიიღო.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ ჭუბურხინჯში მცხოვრები 4 ქართული ოჯახი აფხაზ სეპარატისტთა მილიციელებმა იმის გამო გამოასახლეს, რომ მათი შვილები ქართულ ჯარში მსახურობდნენ. აფხაზური მილიციის წარმომადგენლები ამურ ყოლბაიას, ბესიკ ახალაიას, ზაურ გოგოხიას და ნოდარ აბლოთიას ოჯახებს არ აძლევენ საშუალებას, ჭუბურხინჯის ტერიტორიაზე საკუთარ სახლებში იცხოვრონ.

სხვათა შორის, გუშინდელ შეხვედრაზე აფხაზმა სეპარატისტებმაც დაადასტურეს ინფორმაცია, რომ გამოძევებულ ოჯახებს ადგილობრივი კომისარიატის თანამშრომლები ავიწროებდნენ, რადგან მათი შვილები ქართულ ჯარში მსახურობდნენ.

გალის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვალერი ლომიას მიერ მიცემული პირობით, ჭუბურხინჯში დაბრუნების შემთხვევაში მათ პრობლემები აღარ შეექმნებათ.

გარდა ამისა, ქართულმა მხარემ სოფელ სიდაში აფხაზი პოლიციელების მიერ მოკლული ხურცილავას ცხედრის მშობლებისთვის გადაცემა მოითხოვა. გადაწყდა, რომ ამ საკითხით ტყვეთა გაცვლის კომისია დაინტერესდება.

*24 საათი*

# ელგუჯა ჯამბურიას სამთვიანი პატიმრობა შეუფარდეს

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის ყოფილ უფროსს ელგუჯა ჯამბურიას გენერალურმა პროკურატურამ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდება უკვე წაუყენა და მისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების თაობაზე სასამართლოსაც მიმართა.

ელგუჯა ჯამბურია გენერალურმა პროკურატურამ გუშინწინ დაიბარა, დაკითხა და შემდეგ დააკავა. სამართალდამცველები ტრადიციული მოტივით - გამოძიების ინტერესების მოშველიებით, საქმის დეტალებზე, ჯერჯერობით, კვლავ არ საუბრობენ.

თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, თბილისში ცნობილ პოლიციელს, ორი წლის წინათ ერთ-ერთი საქმის გამოძიებისას პროცესუალური ნორმების დარღვევას ედავებიან. საუბარია, ბულგარელების დაყაჩაღების საქმის „გაფუჭების" მიზნით, მტკიცებულების განადგურებაზე.

ელგუჯა ჯამბურიასთვის წაყენებული ბრალდება – თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტება სამ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ყოფილი პოლიციელისათვის წაყენებული მუხლი მძიმე დანაშაულის კატეგორიას არ განეკუთვნება და ამიტომაც, წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდება აუცილებელ სანქციად არ არის მიჩნეული. აქედან გამომდინარე, სასამართლოს შეეძლო ყოფილი პოლიციელისთვის, სამთვიანი პატიმრობის ნაცვლად, სხვა მსუბუქი სახის სადამსჯელო ღონისძიება შეეფარდებინა, მით უმეტეს, რომ ის გამოძიებას არ დამალვია.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის ყოფილ უფროსს ელგუჯა ჯამბურიას აღმკვეთი ღონისძიება – სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

დაკავებულის ადვოკატის განცხადებით, ჯამბურიას სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას ედავებიან. მისივე თქმით, პროკურატურის ბრალდებით, ჯამბურიამ 2002 წლის 22 ნოემბერს, ფოთში მდებარე, ბულგარეთის საკონსულოს შენობაში ისეთი საგამოძიებო მოქმედებები გაატარა, რომლის განხორციელების უფლება პროკურატურისა და კონსულის ნებართვის გარეშე არ ჰქონდა. როგორც ადვოკატი აცხადებს, აღნიშნული ბრალდება სიცრუეა, რადგან ჯამბურიას საკონსულოში არავითარი საგამოძიებო ქმედება არ ჩაუტარებია და მან საკონსულოს, უბრალოდ, მიაწოდა ინფორმაცია ერთ-ერთი კრიმინალური ფაქტის შესახებ.

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის ყოფილი უფროსი ელგუჯა ჯამბურია წყნეთში მდებარე საცხოვრებელი ბინიდან აიყვანეს, იგი გუშინვე ორთაჭალის საგამოძიებო იზოლატორში გადაიყვანეს.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** შვედეთის სააპელაციო სასამართლომ საგარეო საქმეთა მინისტრის ანა ლინდის მკვლელის მიმართ გამოტანილი განაჩენი გააუქმა. სასამართლომ დაადგინა, რომ მკვლელმა მიხაილო მიხაილოვიჩმა მკურნალობის კურსი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უნდა გაიაროს. 25 წლის დამნაშავისთვის გამოტანილი ვერდიქტის - სამუდამო პატიმრობის გაუქმებას მისი ადვოკატები მოითხოვდნენ. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში მიხაილოვიჩი ფსიქიკურად ავად იყო.

მინისტრზე თავდასხმა შარშან სექტემბერში განხორციელდა. სტოკჰოლმის ერთ-ერთ უნივერმაღში დაცვის გარეშე შესულ ანა ლინდს მიხაილოვიჩმა დანით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ბრალდებას კომენტარი, ჯერჯერობით, არ გაუკეთებია. ახლა მიხაილოვიჩი ფსიქიატრებმა უნდა გამოიკვლიონ, რის შემდეგაც იქნება მიღებული გადაწყვეტილება, თუ სად უნდა გაიაროს მკურნალობის კურსი დამნაშავემ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**მოზდოკი.** ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქ მოზდოკში ავტომანქანის აფეთქების შედეგად დაიღუპა ალტაის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორი წარმომადგენელი, მათ შორის, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგეი ბოგდანეცი. აფეთქება ვაგზლის ქუჩაზე მოხდა. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილესთან ერთად დაიღუპა ალტაის რესპუბლიკის სპეცრაზმის წარმომადგენელი, უფროსი ლეიტენანტი იური მაიდუროვი, რამდენიმე ადამიანმა კი სხეულის დაზიანება მიიღო. **მედია-ნიუსი**

# სპეცოპერაციები კახეთსა და სამეგრელოში

გუშინ ერთდროულად ჩატარდა სპეცოპერაციები საქართველოს ორ რეგიონში - სამეგრელოსა და კახეთში.

სამეგრელოს რეგიონში - სენაკის, წალენჯიხისა და ხობის რაიონებში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულია 22 პირი. სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსის მერაბ ბაღათურიას განცხადებით, დაკავებულთა შორის უმეტესობა კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტია, განსაკუთრებით საშიში დამნაშავე.

სპეცოპერაციისას ჩატარდა დაკავებულთა საცხოვრებელი სახლების ჩხრეკაც, საიდანაც ამოღებულია დიდი რაოდენობით იარაღი და ნარკოტიკული ნივთიერებები.

დაკავებულთა ნაწილი იმ ყაჩაღური ჯგუფის წევრები არიან, რომლებიც თბილისიდან სენაკის, ჩხოროწყუს და წალენჯიხის მიმართულებით მოძრავ ავტობუსებს ძარცვავდა. ამის გამო მოსახლეობა ხშირად გამოთქვამდა უკმაყოფილებას; რამდენჯერმე მათ თბილისი-სენაკის საავტომობილო მაგისტრალიც გადაკეტეს და პოლიციისგან აქტიურ ქმედებებს მოითხოვდნენ.

მერაბ ბაღათურიამ კატეგორიულად უარყო დაკავებულთა ახლობლების მტკიცება იმის შესახებ, რომ პოლიციელებმა დაკავებულებს იარაღი თავად ჩაუდეს და განცხადება, რომ სამეგრელოში მსგავსი სპეცოპერაციები მომავალშიც ჩატარდება.

კახეთის რეგიონში ჩატარებული სპეცოპერაციებისას სამართალდამცველებმა დააკავეს დანაშაულში ეჭვმიტანილი 8 პირი. გურჯაანის სოფელ ველისციხეში მცხოვრები, 29 წლის გელა ბეჟანიშვილი, რომლის ბინიდან ამოიღეს უნომრო ავტომატი „აკმ" მჭიდით და 30 ვაზნით; 20 წლის მიხეილ მირიანაშვილი, რომლის ბინიდან ამოიღეს 10 გრამი მარიხუანა; 34 წლის დავით გაბიტაშვილი, რომლის ბინიდან ამოიღეს „მაკაროვის" სისტემის უნომრო პისტოლეტი 7 ვაზნით; 37 წლის ლევან სოსებაშვილი, რომლის ბინიდან ამოიღეს 15 ცალი მცირეკალიბრიანი შაშხანის ვაზნა; 52 წლის გივი კოჭატაშვილი, რომლის ბინიდან ამოიღეს 25 გრამი მარიხუანა; სოფელ შაშიანში მცხოვრები, 20 წლის ზაქარია პაპუნაშვილი, რომლის ბინიდანაც ამოიღეს ხელყუმბარა „ფ-1" და 11 გრამი მარიხუანა; 54 წლის თემურ მირიანაშვილი, რომლის ბინიდან ამოიღეს „ნაგანის" სისტემის თვითნაკვეთი რევოლვერი 2 ვაზნით; და 46 წლის თემურ ბიწკინაშვილი, რომლის ბინიდან ამოიღეს გადაჭრილი უნომრო მცირეკალიბრიანი შაშხანა და „აკმ"-ის სისტემის ავტომატის 3 ვაზნა.

*24 საათი*

**სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების სწორად და ოპტიმალურად ორგანიზებისა და განხორციელების მიზნით, შპს "საკონსულტაციო ჯგუფი - სელი" გთავაზობთ შემდეგი სამუშაოების განხორციელებას:**

- შესყიდვების წლიური გეგმის შედგენა;
- შესყიდვების წინამოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება;
- შესყიდვების პროცედურების მომზადება და მათი ჩატარების ტექნიკური უზრუნველყოფა;
- პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემების, სატენდერო წინადადებებისა და განზრახვათა ხელშეკრულებების ექსპერტიზა;
- შესყიდვის ხელშეკრულების შედგენა და მისი შესრულების მონიტორინგი;
- წლიური, კვარტალური, სტატისტიკური (ყოველთვიური) და ოპერატიული ანგარიშების მომზადება;
- სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული სხვა სამუშაოების შესრულება.

**თბილისი, სანაპიროს 4 , ტელ: (995 32) 309 372; (995 99) 420 427.**

# რა სოციალური შეღავათებითა და დახმარებებით სარგებლობთ

## მნიშვნელოვანი ინფორმაცია სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის

**ძალიან ხშირად ადამიანებმა არ იციან, მიეკუთვნებიან თუ არა სოციალურად დაუცველ ფენას. ერთი მხრივ, უხერხულია, 18-ლარიანი პენსიის მქონე პენსიონერს სოციალურად დაცული ადამიანი უწოდო, თუმცა, კანონმდებლობა მაინც მკაფიოდ განსაზღვრავს, თუ ვინ მიეკუთვნება სოციალურად დაუცველთა კატეგორიას.**

**თუ თქვენ ხართ მარტოხელა დედა, მარტოხელა პენსიონერი, უდედმამო ბავშვი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანი, დაზარალდით 9 აპრილის ღამეს ან ჩერნობილის ავარიის შემდეგ, ხართ მეორე მსოფლიო ომის ინვალიდი ან იბრძოდით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თუ თქვენი ოჯახის წევრი ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაიღუპა, სახელმწიფო გიდგენთ გარკვეულ შეღავათებსა და დახმარებებს, რომლის გამოყენების უფლებაც თქვენ კანონით შეგიძლიათ.**

**სოციალურ-ეკონომიკური უფლება წარმოადგენს კონტიტუციური უფლებების ერთობლიობას, რომელიც მოქალაქეს შესაძლებლობას აძლევს, სახელმწიფოსგან გარკვეულ პირობებში გარკვეული მატერიალური სიკეთე მიიღოს. მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს განეკუთვნება: შრომის სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, ჯანმრთელობის, სამედიცინო მომსახურებისა და სხვა უფლებები. ამჯერად, თქვენს ყურადღებას მხოლოდ სოციალურ შეღავათებსა და დახმარებებზე შევაჩერებთ.**

**ქვემოთ თქვენ შეიტყობთ, თუ ვის აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეღავათებითა და სოციალური დახმარებით სარგებლობის უფლება და კონკრეტულად ვის რა სახის შეღავათი თუ დახმარება ეკუთვნის.**

## სოციალური დახმარება

"საქართველოს 2004 წლის ბიუჯეტის შესახებ" კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სოციალური დახმარებით სარგებლობის უფლება აქვთ შემდეგი კატეგორიის პირებს:

**მარტოხელა, არამომუშავე პენსიონერთა ერთსულიანი ოჯახებისთვის - 22 ლარით, ხოლო არამომუშავე პენსიონერთა ორ და მეტსულიანი ოჯახებისთვის - 35 ლარით;**

**დედ-მამით ობოლი ბავშვებისათვის, მეურვის შრომისუნარიანობის მიუხედავად, ერთ პირზე - 22 ლარით;**

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, არამომუშავე, პირველი ჯგუფის ინვალიდ უსინათლოთათვის, ერთ პირზე - 22 ლარით;**

**18 წლამდე ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთათვის, ერთ პირზე - 22 ლარით;**

**მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, რომელთაც ჰყავთ 7 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი - 35 ლარით.**

**როგორ მოვიპოვოთ სოციალური დახმარების მიღების უფლება?**

თუ თქვენ მიეკუთვნებით ზემოაღნიშნულ რომელიმე კატეგორიას და გსურთ სოციალური დახმარების დანიშვნა, ამისათვის განცხადებით (ფორმა N1) უნდა მიმართოთ რეგისტრაციის ადგილის მიხედვით სოციალური დახმარების განყოფილებას, ხოლო აფხაზეთიდან დევნილებმა - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური დაცვის სამინისტროს. პრეტენდენტმა, საჭიროების მიხედვით, უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

**პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;**

**დევნილის მოწმობის ასლი;**

**ცნობა რეგისტრაციის შესახებ;**

**დევნილი უმწეო ოჯახების განსახლების პირობების გათვალისწინებით - ცნობა პრეტენდენტის მარტოხელობის შესახებ, დამოწმებული ადგილობრივი მმართველობის ორგანოს მიერ;**

**საპენსიო წიგნაკის ასლი ან ცნობა საპენსიო განყოფილებიდან, საპენსიო საქმის ნომრის მითითებით;**

**მშობლების გარდაცვალების მოწმობის ქსეროასლები;**

**მეურვის (მზრუნველის) დანიშვნის დოკუმენტის ასლი;**

**ცნობა სასამართლოდან და/ან სამხედრო კომისარიატიდან და/ან იძულებითი ხასიათის სამკურნალო დაწესებულებიდან;**

**პირის შეზღუდული შესაძლებლობის მდგომარეობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობის ასლი;**

შესაბამისი დაწესებულებები ვალდებულნი არიან, საჭირო ცნობები გასცენ ნებისმიერი დავალიანების (კომუნალური, მიწის და სხვა გადასახადი) დაფარვის მოთხოვნის გარეშე.

*თქვენ მიერ წარდგენილი განცხადების რეგისტრაციიდან არუგვიანეს ორი კვირის ვადაში, სოციალური მუშაკი ამზადებს დასკვნას (ფორმა N4) პრეტედენტის სოციალური მდგომარეობის შესახებ, რომლის საფუძველზეც განყოფილების გამგე ნიშნავს დახმარებას საჭირო საბუთების სრულად წარდგენის მომდევნო თვიდან.*

## სოციალური დახმარება არ ინიშნება

**თუ პირს, ჰყავს კანონით გათვალისწინებული მარჩენალი, მისი საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად;**

**მარტოხელა არამომუშავე პენსიონერს უსინათლო I ჯგუფის ინვალიდობა და 18 წლის ასაკამდე ბავშვებს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი დაუდგინდებათ 2004 წლის 1 იანვრის შემდეგ;**

**პირს, რომელსაც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პენსია დანიშნული აქვს 35 ან მეტი ლარის ოდენობით.**

სოციალური დახმარების მიმღები ვალდებულია, ოჯახის წევრთა შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ აცნობოს სოციალური დახმარების განყოფილებას.

**სოციალური დახმარება ოჯახს შეუწყდება, თუ:**

**არასრულწლოვანი ბავშვებიდან ერთ-ერთი გახდება 18 წლის;**

**ოჯახის რომელიმე წევრს შეეცვალა სოციალური მდგომარეობა.**

თუ თქვენ, ანუ სოციალური დახმარების მიმღებმა პირმა, შეიცვალეთ რეგისტრაციის ადგილი, ეს არ შეიძლება გახდეს დახმარების გაცემის შეწყვეტის საფუძველი, ამ შემთხვევაში დახმარების გაცემა გრძელდება ახალი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ ახალი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით სოციალური დახმარების განყოფილებას და წარადგინოთ თქვენი პირადი საქმე.

აღსანიშნავია, რომ მარტოხელა პენსიონერის (ერთსულიანი ოჯახი) გარდაცვალების შემთხვევაში, გარდაცვალებამდე მიუღებელი თანხა არ შედის სამკვიდრო მასაში და არ ხდება მისი მიღების უფლების მემკვიდრეობით გადასვლა.

## სოციალური შეღავათები

**თუ თქვენ ხართ:**

**1. მეორე მსოფლიო ომის ინვალიდი, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ინვალიდი, მათთან მცხოვრები ინვალიდი ან ოჯახის სხვა შრომისუუნარო წევრი, მაშინ**

*გაქვთ უფლება, ისარგებლოთ ელექტროენერგიის უფასო მომსახურებით ზამთრის სეზონზე (ნოემბერი-მარტი) 250კვტ.სთ ოდენობით თვეში, ხოლო ზაფხულის სეზონზე (აპრილი-ოქტომბერი) 150 კვტ. სთ ოდენობით;*

**ქ. თბილისში მცხოვრებთათვის, საკრებულოს გადაწყვეტილებით, თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე დაწესებულია შემდეგი კომუნალური შეღავათები:**

*100%-იანი შეღავათი წყლის გადასახადზე;*

*100%-იანი შეღავათი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე;*

*ბუნებრივი აირით უფასო მომსახურება განისაზღვრება 40 კუბ.მეტრის ოდენობით თვეში, ხოლო თუ ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის უფლების მქონე პირია - 60კუბ. მეტრის ოდენობით;*

*მეტროპოლიტენითა და ელექტროტრანსპორტით უფასო სარგებლობის უფლება;*

*50%-იანი შეღავათი ბინის ტელეფონისა და სააბონენტო გადასახადზე;*

*ომის მონაწილეები და მათთან გათანაბრებული პირები სარგებლობენ 100%-იანი შეღავათით მიწის გადასახადზე;*

*შეღავათი საშემოსავლო გადასახადზე, თუ წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი არ აღმატება 3000 ათას ლარს.*

**2. მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისა და მათთან მცხოვრები პენსიონერების, ინვალიდების ან ოჯახის შრომისუუნარო წევრებისათვის:**

*ელექტროენერგიით უფასო მომსახურება განისაზღვრება ზამთრის სეზონზე (ნოემბერი-მარტი) 125კვტ.სთ ოდენობით თვეში, ხოლო ზაფხულის სეზონზე (აპრილი-ოქტომბერი) 175 კვტ.სთ ოდენობით;*

**ქ. თბილისში მცხოვრებთათვის, საკრებულოს გადაწყვეტილებით, თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე დაწესებულია:**

*100%-იანი შეღავათი წყლის გადასახადზე;*

*100%-იანი შეღავათი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე;*

*ბუნებრივი აირით უფასო მომსახურება განისაზღვრება 40 კუბ. მეტრის ოდენობით თვეში, ხოლო თუ ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის უფლების მქონე პირია - 60კუბ. მეტრის ოდენობით;*

*მეტროპოლოტენითა და ელექტროტრანსპორტით უფასო სარგებლობის უფლება;*

*50%-იანი შეღავათი ბინის ტელეფონისა და სააბონენტო გადასახადზე;*

*უშუალოდ ომის მონაწილეები სარგებლობენ შეღავათით საშემოსავლო გადასახადზე, თუ წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი არ აღმატება 3000 ათას ლარს.*

**3. სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების მონაწილეებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების მონაწილეების, მათთან მცხოვრები პენსიონერებისა და ოჯახის სხვა შრომისუუნარო წევრებისთვის**

*ელექტროენერგიით უფასო მომსახურება განისაზღვრება ზამთრის სეზონზე (ნოემბერი-მარტი) 125კვტ.სთ ოდენობით თვეში, ხოლო ზაფხულის სეზონზე (აპრილი-ოქტომბერი) 175 კვტ.სთ ოდენობით;*

**ქ. თბილისში მცხოვრებთათვის, საკრებულოს გადაწყვეტილებით, თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე დაწესებულია:**

*50%-იანი შეღავათი წყლის გადასახადზე;*

*100%-იანი შეღავათი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე;*

*ბუნებრივი აირით უფასო მომსახურება განისაზღვრება 20 კუბ.მეტრის ოდენობით თვეში, ხოლო თუ ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის უფლების მქონე პირია - 30კუბ.მეტრის ოდენობით;*

*მეტროპოლოტენითა და ელექტროტრანსპორტით უფასო სარგებლობის უფლება;*

*50%-იანი შეღავათი ბინის ტელეფონისა და სააბონენტო გადასახადზე;*

*უშუალოდ ომის მონაწილეები სარგებლობენ შეღავათით საშემოსავლო გადასახადზე, თუ წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი არ აღმატება 3000 ათას ლარს.*

**4. მეორე მსოფლიო ომში და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულთა, ომის შემდგომ პერიოდში დაღუპულთა შრომისუუნარო მშობლები, მიუხედავად მათი ასაკისა, მეუღლე, რომელიც მეორედ არ დაქორწინებულა და არასრულწლოვანი შვილები და ოჯახის სხვა შრომისუუნარო წევრები, რომლებიც იმყოფებოდნენ დაღუპული პირის კმაყოფაზე და საქართველოში მოქმედი კანონის შესაბამისად, იღებენ მარჩენალის დაკარგვის პენსიას, სარგებლობენ:**

*ელექტროენერგიის უფასო მომსახურებით ზამთრის სეზონზე (ნოემბერი-მარტი) 125კვტ.სთ ოდენობით თვეში, ხოლო ზაფხულის სეზონზე (აპრილი-ოქტომბერი) - 175 კვტ.სთ ოდენობით;*

**ქ. თბილისში მცხოვრებთათვის, საკრებულოს გადაწყვეტილებით, თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე დაწესებულია:**

*50%-იანი შეღავათი წყლის გადასახადზე;*

*100%-იანი შეღავათი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე;*

*ბუნებრივი აირით უფასო მომსახურება განისაზღვრება 20 კუბ.მეტრის ოდენობით თვეში, ხოლო თუ ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის უფლების მქონე პირია - 30კუბ.მეტრის ოდენობით;*

*მეტროპოლოტენითა და ელექტროტრანსპორტით უფასო სარგებლობის უფლება;*

*50%-იანი შეღავათი ბინის ტელეფონისა და სააბონენტო გადასახადზე;*

**5. სამხედრო ძალების ვეტერანებისა და მათთან მცხოვრები ოჯახის შრომისუუნარო წევრების**

ელექტროენერგიით უფასო მომსახურება განისაზღვრება ზამთრის სეზონზე (ნოემბერი-მარტი) 125კვტ.სთ ოდენობით თვეში, ხოლო ზაფხულის სეზონზე (აპრილი-ოქტომბერი) - 175 კვტ.სთ ოდენობით;

**ქ. თბილისში მცხოვრებთათვის, საკრებულოს გადაწყვეტილებით, თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე დაწესებულია:**

*50%-იანი შეღავათი წყლის გადასახადზე;*

*100%-იანი შეღავათი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე;*

*ბუნებრივი აირით უფასო მომსახურება განისაზღვრება 20 კუბ.მეტრის ოდენობით თვეში, ხოლო თუ ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის უფლების მქონე პირია - 30კუბ.მეტრის ოდენობით;*

*მეტროპოლოტენითა და ელექტროტრანსპორტით უფასო სარგებლობის უფლება;*

*50%-იანი შეღავათი ბინის ტელეფონისა და სააბონენტო გადასახადზე;*

**6. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპული, უგზო-უკვლოდ დაკარგული, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახებისა და მათთან მცხოვრები პენსიონერების, ინვალიდების ან შრომისუუნარო წევრების**

ელექტროენერგიით უფასო მომსახურება განისაზღვრება ზამთრის სეზონზე (ნოემბერი-მარტი) 125კვტ.სთ ოდენობით თვეში, ხოლო ზაფხულის სეზონზე (აპრილი-ოქტომბერი) - 175 კვტ.სთ ოდენობით;

**ქ. თბილისში მცხოვრებისათვის, საკრებულოს გადაწყვეტილებით, თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე დაწესებულია შემდეგი კომუნალური შეღავათები:**

*100%-იანი შეღავათი წყლის გადასახადზე;*

*100%-იანი შეღავათი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე;*

*ბუნებრივი აირით უფასო მომსახურება განისაზღვრება 40 კუბ.მეტრის ოდენობით თვეში, ხოლო თუ ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის უფლების მქონე პირია - 60კუბ.მეტრის ოდენობით;*

*მეტროპოლოტენითა და ელექტროტრანსპორტით უფასო სარგებლობის უფლება;*

*50%-იანი შეღავათი ბინის ტელეფონისა და სააბონენტო გადასახადზე;*

**7. პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირები, შრომისუუნარო ან საპენსიო ასაკს მიღწეული მეუღლე, მშობელი და შვილი (ნაშვილები), სარგებლობს:**

*ელექტროენერგიის უფასო მომსახურებით თვეში 30კვტ.სთ ოდენობით, ხოლო ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის მქონე პირის არსებობისას, 45კვტ. სთ ოდენობით;*

**ქ. თბილისში მცხოვრებთათვის, საკრებულოს გადაწყვეტილებით, თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე დაწესებულია:**

*50%-იანი შეღავათი წყლის გადასახადზე ;*

*100%-იანი შეღავათი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე;*

*ბუნებრივი აირით უფასო მომსახურება განისაზღვრება 20 კუბ.მეტრის ოდენობით თვეში, ხოლო თუ ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის უფლების მქონე პირია - 30კუბ.მეტრის ოდენობით;*

*50%-იანი შეღავათი ბინის ტელეფონისა და სააბონენტო გადასახადზე;*

**8. ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულები: ა)დაღუპულთა ოჯახის წევრები, შრომისუუნარო მშობლები, მეუღლე, რომელიც შემდეგ აღარ დაქორწინებულა, არასრულწლოვანი შვილი ან/და ნაშვილები, ბ) დაინვალიდებული პირები; გ) მიღებული ჭრილობების, კონტუზიის, დასახიჩრების ან/და ქიმიური ნივთიერებით მოწამვლის შედეგად დაზარალებული პირები სარგებლობენ შემდეგი შეღავათებით:**

*აქციის დარბევის შედეგად დაინვალიდებულ და დაღუპულთა ოჯახები მთლიანად თავისუფლდებიან ელექტროენერგიის გადასახადისგან, ხოლო მიღებული ჭრილობების, კონტუზიის, დასახიჩრების ან/და ქიმიური ნივთიერებით მოწამვლის შედეგად დაზარალებული პირები მოხმარებული ელექტროენერგიის 50%-ისაგან;*

**ქ. თბილისში მცხოვრებთათვის, საკრებულოს გადაწყვეტილებით, თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე დაწესებულია:**

*100%-იანი შეღავათი წყლის გადასახადზე;*

*100%-იანი შეღავათი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე;*

*ბუნებრივი აირით უფასო მომსახურება განისაზღვრება 40 კუბ.მეტრის ოდენობით თვეში, ხოლო თუ ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის უფლების მქონე პირია - 60კუბ.მეტრის ოდენობით;*

**9. ჩერნობილში ბირთვულ ობიექტზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეები (დაინვალიდებული) და გარდაცვლილთა შრომისუუნარო წევრები (მშობლები, მეუღლე, არასრულწლოვანი და ინვალიდი შვილები) სარგებლობენ:**

*ელექტროენერგიის უფასო მომსახურებთ თვეში 30კვტ.სთ ოდენობით, ხოლო ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის მქონე პირის არსებობისას, 45კვტ.სთ ოდენობით;*

**ქ. თბილისში მცხოვრებთათვის, საკრებულოს გადაწყვეტილებით, თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე დაწესებულია:**

*100%-იანი შეღავათი წყლის გადასახადზე;*

*100%-იანი შეღავათი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე;*

*ბუნებრივი აირით უფასო მომსახურება განისაზღვრება 40 კუბ.მეტრის ოდენობით თვეში, ხოლო თუ ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის უფლების მქონე პირია - 60კუბ.მეტრის ოდენობით;*

**10. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (ინვალიდები)**

**ა) I ჯგუფის ინვალიდები:**

**ქ. თბილისში მცხოვრებთათვის, საკრებულოს გადაწყვეტილებით, თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე დაწესებულია:**

*100%-იანი შეღავათი წყლის გადასახადზე;*

*100%-იანი შეღავათი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე;*

*I და II ჯგუფის ინვალიდები სარგებლობენ შეღავათით საშემოსავლო გადასახადზე, თუ წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი არ აღმატება 1500 ლარს.*

*50%-იანი შეღავათი ბინის ტელეფონისა და სააბონენტო გადასახადზე;*

**ბ) I ჯგუფის უსინათლო ინვალიდები**

**ქ. თბილისში მცხოვრებთათვის, საკრებულოს გადაწყვეტილებით, თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე დაწესებულია:**

*100%-იანი შეღავათი წყლის გადასახადზე;*

*100%-იანი შეღავათი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე;*

*ბუნებრივი აირით უფასო მომსახურება განისაზღვრება 40 კუბ.მეტრის ოდენობით თვეში, ხოლო თუ ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის უფლების მქონე პირია - 60კუბ.მეტრის ოდენობით;*

*50%-იანი შეღავათი ბინის ტელეფონისა და სააბონენტო გადასახადზე;*

*I და II ჯგუფის უსინათლო ინვალიდები სარგებლობენ შეღავათით საშემოსავლო გადასახადზე, თუ წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი არ აღემატება 3000 ლარს.*

**11. მარტოხელა პენსიონერები**

**მარტოხელა პენსიონერად მიიჩნევა პირი, რომელმაც მიაღწია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ საპენსიო ასაკს და, რომელსაც არა ჰყავს კანონით გათვალისწინებული მარჩენალი.**

## აღნიშნული პირები სარგებლობენ:

*50%-იანი შეღავათი წყლის გადასახადზე;*

*100%-იანი შეღავათი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე;*

*ბუნებრივი აირით უფასო მომსახურება განისაზღვრება 20 კუბ.მეტრის ოდენობით თვეში, ხოლო თუ ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის უფლების მქონე პირია - 30კუბ. მეტრის ოდენობით;*

*100%-იანი შეღავათი ბინის ტელეფონისა და სააბონენტო გადასახადზე;*

**12. მრავალშვილიანი ოჯახები**

**მრავალშვილიან დედად ითვლება საქართველოს მოქალაქე, რომელსაც ჰყავს სამი და მეტი არასრულწლოვანი შვილი.**

**ქ. თბილისში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახებისთვის საკრებულოს გადაწყვეტილებით, თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე დაწესებულია:**

*100%-იანი შეღავათი წყლის გადასახადზე;*

*100%-იანი შეღავათი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე;*

*ბუნებრივი აირით უფასო მომსახურება განისაზღვრება 40 კუბ.მეტრის ოდენობით თვეში, ხოლო თუ ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის უფლების მქონე პირია - 60კუბ.მეტრის ოდენობით;*

*მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები მრავალშვილიანი პირი თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან, თუ მისი წლიური შემოსავალი 3000 ლარზე ნაკლებია.*

*თბილისში დაბადებულ ყოველ მე-4 ბავშვზე ერთჯერადი დახმარება განისაზღვრება 200 ლარის ოდენობით, ხილო მე-5 და მეტ ბავშვზე 500 ლარის ოდენობით.*

**13. მარტოხელა დედები**

**მარტოხელა დედად ითვლება საქართველოს მოქალაქე, რომელიც ზრდის არარეგისტრირებული ქორწინებიდან დაბადებულ ბავშვებს, თუ დაბადების მოწმობაში შეტანილი არ არის ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ და რომელიც იღებს სახელმწიფო დახმარებას ბავშვის მოვლა-პატრონობისა და აღზრდისათვის. შვილად აყვანილი ბავშვის დედა, თუ დედა ბავშვის აყვანის მომენტში არ ყოფილა რეგისტრირებულ ქორწინებაში.**

თბილისში მცხოვრებ მარტოხელა დედებს, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე არასრულწლოვანი ბავშვი, თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურად ეძლევათ 5 ლარიანი დახმარება.

ქ. თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე 100%-ით თვისუფლდებიან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისაგან.

სარგებლობენ შეღავათით საშემოსავლო გადასახადზე, თუ წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი არ აღემატება 3000 ლარს.

**14. დედ-მამით ობოლი ბავშვები**

**ქ. თბილისში მცხოვრები დედ-მამით ობოლი ბავშვებისთვის, საკრებულოს გადაწყვეტილებით, თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე დაწესებულია:**

*100%-იანი შეღავათი წყლის გადასახადზე;*

*100%-იანი შეღავათი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე;*

*ბუნებრივი აირით უფასო მომსახურება განისაზღვრება 40 კუბ.მეტრის ოდენობით თვეში, ხოლო თუ ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის უფლების მქონე პირია - 60კუბ.მეტრის ოდენობით;*

**აღსანიშნავია, რომ რეგიონში მცხოვრებ ყველა ზემოაღნიშნული კატეგორიის მოქალაქეს კომუნალური შეღავათებით სარგებლობის უფლება ექნებათ იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ბიუჯეტებიდან, თბილისიის საკრებულოს მსგავსად, მოხდება შეღავათების დაფინანსების უზრუნველყოფა.**

მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და მერილენდის უნივერსიტეტის IRIS Center-ის ფინანსური მხარდაჭერით

ვერმეერის ტილო აუქციონზე გაიყიდა



მფლობელის ვინაობა უცნობია

B2

მარგინალები კინოში



ადამიანს გმირი სჭირდება ბრჭყალებში და ბრჭყალებს გარეთ

B3

მარია შარაპოვას ოლიმპიადაზე არ უშვებენ



B5

ნომრის სტუმარი

# "მომავალ ომბუდსმენს საზოგადოებრივ აზრთან შეჯახება მოუწევს"

*წლების მანძილზე დავით გარეჯის მონასტრის მედავითნეს არათუ სახალხო დამცველობაზე, ჟურნალისტობაზეც არასოდეს უფიქრია. სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ მიწიერ ცხოვრებაზე უარის თქმასა და ღვთისმსახურებისთვის თავის მიძღვნას აპირებდა. ჟურნალისტიკაში შემთხვევით მოხვდა, მაგრამ საკუთარი ადგილი მალევე დაიმკვიდრა. მოგვიანებით კი მეოთხე ხელისუფლებიდან მესამე სექტორში გადასულმა მამა-პაპათა გვარი დაიბრუნა და სოზარ სუბარის კანდიდატურა უკვე მეორედ განიხილება საქართველოს სახალხო დამცველის პოსტზე.*

სოფიკო ჩხაიძე

**- თქვენი კანდიდატურა ომბუდსმენის პოსტზე რამდენიმე წლის წინათაც დასახელდა. როგორ ფიქრობთ, ყოფილი ხელისუფლების პირობებში უფრო მნიშვნელოვანი ხომ არ იქნებოდა თქვენი ამ თანამდებობაზე ყოფნა, ვიდრე, ვთქვათ, ახლა, როცა ამ პოსტზე თქვენი დამტკიცების შანსი გაცილებით დიდია?**

- შემიძლია ვთქვა, რომ ახლა უფრო შედეგიანი იქნება, თუმცა, ხიბლი ამ თანამდებობაზე მუშაობას მაშინ მეტი ჰქონდა. მაშინ ომბუდსმენობას მე აღვიქვამდი, როგორც პოლიტიკურ თანამდებობას, რადგანაც, ის ადამიანები, ის სისტემა, რომლებიც ხელისუფლებაში იყვნენ, თანდათან გახდნენ აბსოლუტურად მიუღებლები. ცხადი გახდა, რომ ეს იყო მუხრუჭი, რომელიც ქვეყანას დაღუპვისკენ მიაქანებდა. ეს იყო სისტემა, რომელიც ადამიანის უფლებებს არაფრად აგდებდა. მაშინ მე ცალსახად მჯეროდა და მყარად ვიდექი იმ პოზიციაზე, რომ ეს იყო პოლიტიკური თანამდებობა.

ახლა ბევრი რამ შეცვლილია და, მიუხედავად იმისა, რომ, თავისთავად, სახალხო დამცველი, მნიშვნელოვანწილად, ოპოზიციური თანამდებობაა, რადგან იგი იცავს ადამიანის უფლებებს, რომელსაც არღვევს ხელისუფლება, მაინც მგონია, რომ დღეს სახალხო დამცველი აღარ არის პოლიტიკური ოპოზიცია, სახალხო დამცველი იქნება უფრო ხელისუფლებაში მყოფი კონკრეტული ადამიანების ან კონკრეტული გადაწყვეტილებების ოპონენტი, რომლებიც ადამიანის უფლებებს დაარღვევენ. მთლიანობაში კი, ეს არის ხელისუფლება, რომლის მოსვლასაც მხარს ვუჭერდი და რომლის მთლიანი ზოგადი სტრატეგია ჩემთვის მისაღებია.

**- დღევანდელმა ხელისუფლებამ აღმასრულებლებს, განსაკუთრებით ძალოვნებს, ერთგვარად კარტბლანში მისცა. ისინი მიზნის მისაღწევ საშუალებებში, ფაქტობრივად, არ იზღუდებიან. შესაბამისად, დღეს უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ არაერთი მათი ქმედება სამართლიანი იყო, მაგრამ - კანონით გაუთვალისწინებული ან, სულაც, უკანონო.**

- საერთოდ, ხელისუფლებას აქვს მიცემული ძალიან დიდი ნდობის კრედიტი ხალხისგან. გააჩნია ამას რაში გამოიყენებენ. ერთია, რომ ქვეყანაში გასატარებელია რადიკალური ლიბერალური რეფორმები, რასაც ვერაფრით ვერ გააკეთებს არაპოპულარული ხელისუფლება. ამის გაკეთების საშუალება მხოლოდ იმ ხელისუფლებას აქვს, რომელიც ხალხის დიდი მხარდაჭერით სარგებლობს. მეორეა, რომ გადაჭარბებული მხარადჭერა შეიძლება ბოროტადაც იქნას გამოყენებული. აქვე მინდა ისიც ვთქვა, რომ საზოგადოებრივი აზრი ამ ბოლო პერიოდში ნაწილობრივ კი შეიცვალა, მაგრამ სულ ცოტა ხნის წინ ხალხი იმდენად ბრმად უჭერდა მხარს ხელისუფლებას, რომ, როცა მე ჩავატარე ძალიან მწვავე პრესკონფერენცია თერჯოლასა და რუსთავში ხალხის დარბევის შესახებ და გავაკრიტიკე ხელისუფლება, საზოგადოების დამოკიდებულება ჩვენი პოზიციის მიმართ ცალსახად ნეგატიური იყო. ყველაზე სიმპტომატური ერთი ქალბატონის სიტყვები იყო: "თავისუფლების ინსტიტუტო, ძლივს თქვენსკენ გული შემოგვიბრუნდა და ახლა ამ ხელისუფლების კრიტიკასაც იწყებთო"; ანუ ხალხს მოსწყურდა ძლიერი სახელმწიფო, რომელიც დაიცავს კანონის უზენაესობას, ხალხს მოსწყურდა დამნაშავეების დასჯა, მოსწყურდა კრიმინალთან რეალური ბრძოლა. ახლა ლაპარაკია, რომ პოლიცია არღვევს ადამიანის უფლებებს. პოლიცია ადამიანის უფლებებს არღვევდა შევარდნაძის დროსაც, მაგრამ მაშინ ადამიანის უფლებები ირღვეოდა, ოღონდ არ მიმდინარეობდა ბრძოლა კრიმინალთან; ახლა კი ხელისუფლება ნამდვილად ებრძვის კრიმინალს, ებრძვის რადიკალურად, იღებს გადამჭრელ ზომებს, თუმცა ეს არ უნდა მოხდეს ადამიანის უფლებების დარღვევის ხარჯზე. უკვე ანეკდოტად დადის, რომ პოლიცია იმაზეც კი აღარ ზრუნავს, რომ სხვადასხვა იარაღი ჩაუდოს სხვადასხვა კრიმინალს - თელავსა და ქუთაისში ერთსა და იმავე იარაღს უგდებენ და ისე იჭერენო. ასე ხომ, მართლაც სერიოზული კრიმინალი და სერიოზული დამნაშავე, შეიძლება, ხალხის თვალში ჩაგრულ გმირად წარმოადგინონ.

**- თუმცა, არის მეორე მომენტიც, როცა შენ იცავ დამნაშავის, კრიმინალის უფლებებს, საზოგადოების დიდი ნაწილი თვლის, რომ ამით ირღვევა მისი უფლება - იცხოვროს უსაფრთხო გარემოში.**

- ეს ძველი ხელისუფლების დროს ჩამოყალიბებული მიდგომის გადმონაშთია. მაშინ კრიმინალები ფართოდ იყვნენ მოდებულნი ყველას და ყველაფერს. ეს იყო კრიმინალი - გამომძალველი პოლიციელი, კრიმინალი - მექრთამე თანამდებობის პირი, კრიმინალი - კანონიერი ქურდი, რომელიც მართავდა ყველანაირ პროცესს. ეს ყველაფერი ერთიანი კრიმინალური ჯაჭვი იყო, რომელიც ხელისუფლებასა და შავ სამყაროს ერთმანეთთან აკავშირებდა.

ახლა ცალსახაა, რომ ხელისუფლება, არათუ დაკავშირებულია კრიმინალურ სამყაროსთან, არამედ რადიკალური ღონისძიებებით ებრძვის მას. ასეთ შემთხვევაში ხალხის მიდგომაც იცვლება.

ავიღოთ, თუნდაც, გარევაჭრობის აყრა. ერთი მხრივ, საუბრობდნენ გარემოავჭრეებზე და იმაზე, რომ მათი უფლებები დაირღვა. მაგრამ, რატომ არ უნდა დავინახოთ მეორე მხარე, რომ ამ გარევაჭრობის და მისგან გამოწვეული შედეგებით ირღვეოდა სხვა ადამიანების უფლებები. ხომ ცნობილია, რომ, გარემოვაჭრეთა გამო, სასწრაფო დახმარების მანქანამ ვერ მიაღწია დანიშნულების ადგილამდე და ადამიანი, რომელმაც ვერ მიიღო დროული სამედიცინო დახმარება, დაიღუპა. ამიტომ ვამბობ, ხელისუფლების მიერ რადიკალური ზომების გატარებაში დანაშაულებრივი არაფერია. თუმცა, ფორმები აუცილებლად უნდა დაიხვეწოს.

**- ალბათ, იმ სპეცოპერაციებსაც გულისხმობთ, რომლებიც ბოლო ხანებში გახშირდა.**

- რა თქმა უნდა, ზოგჯერ ესეც საჭიროა - მეტიც, ზოგჯერ, შესაძლოა, მეტი საშუალებებიც გამოიყენო; ვერტმფრენები დაგჭირდეს, მაგრამ ახლა სპეცოპერაცია ტარდება იმ შემთხვევებშიც კი, როცა რომელიღაც კრიმინალის დასაკავებლად ორი ადამიანის მისვლაა საკმარისი.

**- ზემოთ თქვით, რომ ახალი ხელისუფლება ზოგჯერ არღვევს ადამიანის უფლებებს, მაგრამ, ყოფილისგან განსხვავებით, კრიმინალს რეალურად ებრძვის. ხომ არ არის ეს ერთგვარად სუბიექტური დამოკიდებულება ხელისუფლების ანუ იმ ადამიანების მიმართ, რომლებთან მეგობრობის და საერთო საქმის კეთების წლები გაკავშირებთ. წლების მანძილზე ისინი თქვენი თანამოაზრეები იყვნენ. ხომ არ გგონიათ, რომ ომბუდსმენად არჩევის შემთხვევაში ეს დამოკიდებულება, პრინციპულ საკითხებში მათ მიმართ არსებული ნდობა ხელს შეგიშლით მუშაობაში?**



*წინა ხელისუფლების დროს ომბუდსმენობას აღვიქვამდი როგორც პოლიტიკურ თანამდებობას, რადგანაც ის სისტემა ადამიანის უფლებებს არაფრად აგდებდა. ახლა ბევრი რამ შეცვლილია და მგონია, რომ სახალხო დამცველი აღარ არის პოლიტიკური ოპოზიცია.*

- ცხადია, ზოგადად, ეს ხელის შემშლელი ფაქტორია, მაგრამ არ არის გადაულახავი დაბრკოლება. შეიძლება საკუთარ თავზე ზედმეტ ლაპარაკად ჩამეთვალოს, მაგრამ მთელი ცხოვრება ისე ვიცხოვრე, რომ მიუხედავად მეგობრული თუ ნათესაური კავშირებისა, ყოველთვის ვამბობდი, რომ ჩემთვის უფრო ადვილია, თვალებში ჩავხედო დამრღვევ ახლობელს და ვუთხრა, რომ ის დამნაშავეა, ვიდრე თვალებში შევხედო სრულიად უცნობ, უფლებებშელახულ ადამიანს, რომელსაც, რაღაცის გამო, არ ვიცავ.

ჩემთვის გაცილებით ახლობლები არიან და გაცილებით მეტად იმსახურებენ ნდობას იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი და გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი, ვიდრე კონტროლის პალატის ყოფილი ხელმძღვანელი სულხან მოლაშვილი. მეტსაც გეტყვით, მის მიმართ არანაირი ნდობა არ მაქვს. მაგრამ, როცა მისი უფლებები ილახება, ვერც ადეიშვილს მოვერიდები და ვერც პაპუაშვილს. მე ახლა არ ვსაუბრობ იმ წამების კვალზე, რომელიც მოლაშვილს სხეულზე აღმოაჩნდა. ამას პასუხი ექსპერტიზამ უნდა გასცეს. მაგრამ ის, რომ მოლაშვილს საკანში არ ჰქონდა ნათურა და არ ედგა სკამი, ეს მისი უფლებების დარღვევაა და უნდა დაისაჯოს ის, ვისი დანაშაულიც გამოიკვეთება, მიუხედავად თანამდებობისა.

**- საზოგადოების დამოკიდებულება, თითქმის, ცალსახაა ყოფილი ხელისუფლების იმ წარმომადგენელთა მიმართ, რომლებსაც სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის გადახდა მოუწიათ. თუმცა, ისიც ცალსახაა, რომ ბრალდებულთაგან სახელმწიფოს სასარგებლოდ ათასებისა და მილიონების გადახდა კანონის ფარგლებში არ ჯდება.**

- გარიგებით სამართალში ცუდი არაფერია - მეტიც, სწორედ ჩვენ ვიყავით ამის შემოღების ინიციატორები. უბრალოდ, ეს პროცესი უნდა იყოს ღია და გამჭვირვალე. ამ ეტაპზე კი ბევრი რამ არ არის გარკვეული. საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი, რა მოხდა, რატომ მოხდა თანხის გადახდა, რა ფორმით. ის, რომ ბრალდებულს აღმოაჩნდა კეთილი ნება რამდენიმე ასეულათასი დოლარის გადახდის, ან ეს თანხა შემოწირულობის ხასიათს ატარებს, მეტად არადამაჯერებელია. თუ სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებაა, მაშინ ბრალდებულის აღიარება მაინც უნდა ახლდეს ამას ან სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი. ასე რომ, გარიგებითი სამართლის ფორმა ამ შემთხვევებში ყოველთვის გასაგები არ არის. თუმცა, მთლიანობაში გარიგებითი მართლმსაჯულების მომხრე ვარ, მაგრამ ცხადია, ყველაფერი უნდა იყოს გამჭვირვალე და კანონის ფარგლებში.

**- როცა დავით სალარიძე ინიშნებოდა ომბუდსმენის პოსტზე, მან პრიორიტეტულად ადამიანის სოციალურ უფლებათა დაცვა მიიჩნია; ნანა დევდარიანი, ძირითადად, რელიგიურ თავისუფლების საკითხებზე მუშაობდა; თქვენ, როგორც ომბუდსმენობის კანდიდატი, დღევანდელ საქართველოში რას მიიჩნევთ, ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით, პრიორიტეტულ სფეროდ?**

- ჩემი აზრით, ყველაფერი პრიორიტეტულია. სოციალურ უფლებებზე აქცენტის გაკეთება, ერთგვარად, პასუხისმგებლობის თავიდან აცილებად მეჩვენება. ვიცით, რომ არ რიგდება ხელფასები და პენსიები, როცა არ სრულდება ბიუჯეტი. რა უნდა ქნას ამ დროს ადამიანის უფლებათა დამცველმა? უნდა გამოვიდეს და კონკრეტული თანამდებობის პირები დაადანაშაულოს და მათი თანამდებობიდან გადადგომა მოითხოვოს. ასეთი განცხადებები სალარიძისგან არ მახსოვს. იგივე ნანა დევდარიანი, რომელიც საუბრობდა რელიგიურ თავისუფლებაზე, ლაპარაკობდა იეღოვას მოწმეების ჩაგვრაზე, ბასილ მკალავიშვილზე, მაგრამ გვერდს უვლიდა სხვა კონფესიების მიმართ არსებულ რელიგიურ ექსტრემიზმსა და თვით მართლმადიდებელი ეკლესიის შიგნით არსებულ უამრავ პრობლემას - როცა ერთი მართლმადიდებელი მეორის უფლებებში იჭრება.

**- ამ შემთხვევაში, როცა ლაპარაკია რელიგიაზე და მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებულ სიტუაციაზე, რა შეუძლია ომბუდსმენს?**

- ავიღოთ ის ცნობილი შემთხვევა, როცა მართლმადიდებელ მღვდელს გიორგი ჩაჩავას დააჯახა მანქანა სხვა მღვდელმა, უპირებდა ცემას. ეს ხომ ჩვეულებრივი კრიმინალია. ელემენტარულია, რომ ხელისუფლებას უნდა მოსთხოვო, დააკავოს ეს კრიმინალი. სხვას უნდა გაუჩნდეს რიდი, რომ მსგავსი საქციელი არ განმეორდეს.

როცა სასულიერო აკადემიის ლექტორებს განსხვავებული აზრის გამო ათავისუფლებენ, არ შეიძლება, სახალხო დამცველმა ხმა არ ამოიღოს. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ეს შრომის კანონმდებლობის დარღვევაა. ეკლესიაც ხომ ჩვეულებრივი სამოქალაქო სამართლის სუბიექტია.

**- პრიორიტეტებს დავუბრუნდეთ.**

- კონკრეტულად, რომელიმე ერთზე ვერ შევჩერდები. ზოგადად, ეს ჩემთვის არის სამოქალაქო პოლიტიკური უფლებები, ეს არის ის ფუნდამენტური უფლებები, რომლებიც, შეიძლება ასეც ითქვას, ადამიანს ადამიანად ხდის. როცა ადამიანს შეზღუდული აქვს სიტყვის თავისუფლება, ის ადამიანი ნახევარი ადამიანია, რადგან სიტყვა და აზრი ერთმანეთისგან განუყოფელია. როცა შეზღუდულია აღმსარებლობის თავისუფლება, ეს ყველაზე ძვირფასისა და ყველაზე შინაგანის წართმევაა ადამიანისთვის; სიცოცხლის უფლება დაკავშირებულია სოციალურ უფლებებთან და, შესაბამისად, სოციალური უფლებებიც პრიორიტეტულია; პოლიციის მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევა, რაც, ჩემთვის მოულოდნელად, ნომერ პირველ ამოცანად დადგა დღეს.

მე არ ვფიქრობ, რომ დღეს სიტყვის თავისუფლებას საფრთხე ემუქრება. თუ არ ჩავთვლით ერთეულ შემთხვევებს, ძირითადად, რეგიონებში, ეს პრობლემა, ფაქტობრივად, არ არსებობს. რაც შეეხება "ომეგას" პრობლემებს, მე ამას სახელმწიფოს მხრიდან სიტყვის თავისუფლების შეზღუდვად ვერ ჩავთვლი. სიტყვის თავისუფლების დაცვის კიდევ უფრო მეტი გარანტიები შექმნა პარლამენტის მიერ ახლახან მიღებულმა კანონმა. ამ კანონით ჩვენ გაცილებით წინ ვდგავართ, ვიდრე ბევრი ჩვენზე განვითარებული ქვეყანა.

ნაკლებად ისმის პრეტენზიები ჯარისკაცთა უფლებების დარღვევებზე და, ობიექტურადაც, ჯარში მდგომარეობა გაუმჯობესდა. თუმცა, იმის თქმა, რომ ერთი ხელის მოსმით გადავარდა "დედოვშჩინა" და ოფიცერი ჯარისკაცს აღარ ჩაგრავს, ნაადრევია...

რაც არ მეგონა, რომ კიდევ აქტუალური იქნებოდა, ეს გახლავთ მიტინგებისა და მანიფესტაციების უფლების შეზღუდვა. მინდა, გითხრათ, რომ მერიასთან ხალხის დარბევის გახმაურებული ინციდენტი - ეს კიდევ არ არის იმის ყველაზე ნათელი მაგალითი, თუ როგორ არ უნდა იქცეოდეს ხელისუფლება. თერჯოლაში იანვარში მომხდარი პრეცედენტი უფრო თვალსაჩინოა. იქ ერთ-ერთი კანონიერი ქურდის მხარდასაჭერად გამოსულმა ხალხმა გადაკეტა გზა. ჩემთვის ორივე არალეგიტიმურია, როგორც კანონიერი ქურდის მხარდაჭერა, ისე გზის გადაკეტვა. მიზანს რაც შეეხება, მათი საქმეა, ვის უჭერენ მხარს; აი, საშუალება კი უკანონო გახლდათ და ხელისუფლება ვალდებული იყო, გზის გახსნა უზრუნველეყო. ის, რაც ამ ხალხს გაუკეთეს, ყველა საზღვარს სცილდება. ქალებს მინდორში მისდევდნენ და ურტყამდნენ, ხალხი დაასისხლიანეს, ურტყეს. მსგავსი რამ არ მომხდარა შევარდნაძის დროსაც.

**- არის კიდევ ერთი პრობლემა: საქართველოს სახალხო დამცველს არ გააჩნია რეალური ძალა, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დაიცვას საქართველოს მოქალაქეთა უფლებები - კონფლიქტის ზონებს ვგულისხმობ.**

- ამის რეალური ბერკეტები, მართლაც, არ არსებობს. თუმცა, რაღაც საშუალებები მაინც არის, იქნება ეს არასამთავრობოების თუ ჟურნალისტების თანამშრომლობა, თუ საერთაშორისო ზეწოლა და საერთაშორისო განგაშის ატეხვა კონფლიქტის ზონებში ადამიანის უფლების დარღვევის თითოეულ ფაქტზე. ეს ნამდვილად მნიშვნელოვანია. იმავე ალექსანდრე კოზაევის დაკავებასთან დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მთელმა მსოფლიომ იცოდეს - ის სინდისის პატიმარია. შესაძლოა, ეს კოკოითის ხელისუფლებისთვის არაფერს ნიშნავს, მაგრამ მთლიანობაში მაინც მნიშვნელოვანია, რადგან მსოფლიოში იქმნება საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ამ რეჟიმების დასასრულს დააჩქარებს. თუმცა, კონკრეტულ გადაწყვეტილებაზეც შეიძლება გავლენის მოხდენა და გავლენის ამ ფორმას ხშირად იყენებენ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიცაა "ჰუმან რაიტ ვოტჩი", ჰელსინკის კავშირი, "ამნესტი ინტერნეიშენალი". რამდენი ჩინელის გათავისუფლების მოთხოვნაზე მაქვს ხელი მოწერილი, ვინ იცის. მათი ისტორია არც კი მცოდნია, უბრალოდ, ამ ორგანიზაციებს ვენდობი.

**- დაბოლოს, იქნებ მთლიანობაში ერთგვარად შეაჯამოთ თქვენი აზრი დღეს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის, გნებავთ, დარღვევის თვალსაზრისით.**

- მიუხედავად იმისა, რომ პოლიციასა და ზოგ სხვა სფეროში ეს ნაკლებად იგრძნობა, მთლიანობაში სიტუაცია, თვალის ერთი შევლებითაც კი, გაუმჯობესებულია.

**- თუმცა, იმ ხელისუფლების პირობებში, რომელიც ხალხის განუსაზღვრელი ნდობით სარგებლობს, პატარა გადაცდომაც კი დიდ ნაკლად შეიძლება იქნას აღქმული.**

- თუმცა, ეს არც ისე უმნიშვნელოა, მაგრამ საქმე ისაა, რომ შევარდნაძე რაიმე დარღვევის გახმაურებისთანავე შექმნიდა საკითხის შემსწავლელ კომისიას, მისცემდა ვადას, რომელშიც ყველაფერი უნდა გამოსწორებულიყო, სინამდვილეში კი არაფერი კეთდებოდა. დღეს კი ქვეყნის პირველი პირის, გნებავთ, უწყებათა პირველი პირების ერთი სიტყვა საკმარისია, რომ ქვემოთ ყველაფერი დაიწმინდოს. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, ადამიანის უფლებები, ზოგადად, ირღვეოდეს, მაგრამ სიტუაცია გამოსწორებადია და ეს განსაკუთრებულ ძალისხმევას არ საჭიროებს.

**- რაღაც ძალიან გაიოლებულა ომბუდსმენობა...**

- რაღაც თვალსაზრისით, ცხადია, გამარტივებულია. მაგალითად, შეუძლებელი იყო შევარდნაძესთან დიალოგი, სააკაშვილი კი ამისთვის მზად არის; სად ადეიშვილთან ლაპარაკი და სად გაბრიჩიძესთან; ირაკლი ოქრუაშვილთან საერთო ენას გამონახავ, კახა თარგამაძესთან კი ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა. მაგრამ, რომ წარმოიდგინოთ, რამდენი ადამიანია სამსახურიდან გათავისუფლებული, ზოგი კანონიერად და ზოგიც - უკანონოდ, მათი უმეტესობა კი აუცილებლად ომბუდსმენთან მივა საჩივრით, მიხვდებით, რომ არც ისე გაადვილებულია. არც ისე ადვილი იქნება სამართალდამცველებთან "ჭიდაობაც", თუნდაც, მხოლოდ იქიდან გამომდინარე, რომ, შევარდნაძის მმართველობისგან განსხვავებით, დღეს ხელისუფლება და მის დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურები საზოგადოების მხრიდან დიდი სიმპათიით სარგებლობენ. ასე რომ, სახალხო დამცველს მოუწევს დინების საწინააღმდეგოდ სვლა, საზოგადოებრივ აზრთან შეჯახება, რაც ნამდვილად არ არის ადვილი. მაგრამ, მაინც ვფიქრობ, რომ საზოგადოებრივ აზრზე მნიშვნელოვანია კონკრეტული ადამიანების უფლებების დაცვა.



## აფიშა

### გამოფენები

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
გიგიშა პაჭკორიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (კერამიკა)

**TMS**
გოგი ჩაგელიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

**"ორიენტი"**
ამერიკელი მხატვრის - ჰენრი უერდემანის ნამუშევართა გამოფენა (ფერწერა)

**"ქარვასლა"**
მამუკა ცეცხლაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**ბავშვთა ნახატების გალერეა**
"ხელოვნება და ბავშვები"
სახვითი ხელოვნების სტუდიის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა

### კინოთეატრები

**გოეთეს ინსტიტუტი**
კინოს მეგობართა კლუბი
ოთარ იოსელიანის ფილმების რეტროსპექტივა
(ფრანგული პერიოდი)
"ყაჩაღები. თავი IV"
დას: 17:00 სთ.

### პრეზენტაციები

**მაღაზია "პარნასი"**
შორენა ლებანიძის წიგნის - "მაესტროს დაბრუნება"
პრეზენტაცია
დას: 17:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# გასეირნება ჟენევასა და თბილისში

## ეძღვნება შალვა რამიშვილსა და ედუარდ კოკოითს

თეონა ჯაფარიძე

დარწმუნებული ვარ 202-ის ტელე-შოუს წამყვანს შალვა რამიშვილს თავისი ცნობილი და ერთადერთი თვისება - ირონიის უნარიც კი წაერთმეოდა გუშინ "ქარვასლაში", გამოფენაზე რომ მოხვედრილიყო და შვეიცარიელი ფოტოხელოვანის კონცეპტუალურ პროექტს გასცნობოდა ან ქართველი მხატვრის ასეთი განცხადება მოესმინა: - "ჩემი ინსტალაცია ეძღვნება 10 მოხალისესა და სამყაროს აღქმის ვიზუალური სურათის მეტამორფოზას გამოქვაბულის კედლის მხატვრობიდან დაწყებული ტელე და კომპიუტერის ეკრანებამდეო." ბატონი ტელეწამყვანი კიდევ უფრო მეტად დაიტანჯებოდა, ვიდრე იმ საღამოს, როცა თავის ტელეეთერში ცდილობდა გაერკვია და საბოლოოდ მაინც ვერ გაარკვია, მოგების გარეშე რატომ მუშაობდა დიზაინერი გუგა კოტეტიშვილი, ან მხატვარი გელა წულაძე რატომ ქმნიდა თავის "სიყვარულის დროშებს" იმ ფასად, რომ შემდეგ ისევ მხოლოდ საღებავი შეეძინა. გელა და გუგა მართალია, ესთეტიკურს, მაგრამ შალვასა და მისნაირებისათვის შედარებით ხელშესახებ ყოფით ნივთებს მაინც ქმნიან, აი "ქარვასლის" კონცეპტუალურ გამოფენას კი შალვასნაირ ადამიანთა კატეგორია ნამდვილად ვერ მოინელებდა.

დღეს, ახალი პოლიტიკური გადანაწილების ხანაში კონცეპტუალური ხელოვნება, თუ მასში მკვეთრადაა ასახული სოციალური, პოლიტიკური თუ გლობალიზაციისათვის დამახასიათებელი პრობლემები, საზოგადოებისათვის ყველაზე მეტად აქტუალური და საჭირო უნდა იყოს. ის დღევანდელ სამყაროში პროგრესის მატარებლად უნდა მოვიაზროთ და არ უნდა წარმოვიდგინოთ საქართველოსათვის "ზედმეტ" ბარგად და ქართული რეალობიდან ამოგლეჯილ კონტექსის ნაწყვეტად იმიტომ, რომ 21-ე საუკუნის პრობლემები მიუხედავად ლოკალური სხვაობისა, ყველგან ერთია.



ჟან-ჟაკ კისლინგი და კოტე ჯინჭარაძე.

ვახო ბესელიას ფოტო

"ქარვასლაში" წარმოდგენილი კოტე ჯინჭარაძის ინსტალაცია სწორედ 21-ე საუკუნის ტოტალურ პრობლემას - ტელეეკრანისა თუ კომპიუტერის მონიტორებიდან გადამუშავებული ინფორმაციის ჩვენს ცნობიერებაში შემოჭრას ეხება. ნამუშევარს ირონიული სახელწოდება - "ეკრანი და ათი მცნება" ჰქვია (ცნობილი ფილმის "ეშმაკის და ათი მცნების" სახელწოდების სიტყვათა თამაშია). "ტელე თუ კომპიუტერის ეკრანი 21-ე საუკუნის რელიგიად იქცა, რომელშიც ადამიანი ნელ-ნელა იძირება და სამყაროს რეალობის აღქმის ტრადიციულ მეთოდს ივიწყებს, რაც შეიძლება კატასტროფით დამთავრდეს." - აი ასეთ პრობლემებზე ფიქრობს მხატვარი.

შვეიცარიელი ფოტოხელოვანი ჟან ჟაკ კისლინგი უფრო მსუბუქი ფორმებით გადმოგვცემს შედარებით მსუბუქ თემებს ეკოლოგიურ თუ სოციალურ პრობლემებზე. მან ასეთი თამაში შემოგვთავაზა: ეს ფოტომარშია, რომელსაც "4,5" ჰქვია და გულისხმობს ოთხნახევარ კილომეტრს, რომელსაც ფოტოხელოვანი სხვადასხვა ქალაქებში სამი ან ოთხი საათის მანძილზე გადის. და თან ამ გასეირნების ამსახველ ფოტომასალას გვთავაზობს. ფოტოებზე ბუნებრივად ფიქსირდება ის სოციალური პრობლემები, რაც კონკრეტულად იმ გარემოსთვისაა დამახასიათებელი. ამ დღეებში ჟან ჟაკი ასეთი ფოტომარშით თბილისში ჭრელი აბანოებიდან გმირთა მოედნამდე გაივლის და რაც გზად შეხვდება და მის ყურადღებას მიიპყრობს, ყველაფერს მისი ფოტოობიექტივი დააფიქსირებს. თბილისური ფოტომარში ალბათ მორიგ ქალაქში გამოიფინება. ჯერჯერობით კი "ქარვასლაში" ჟან ჟაკის მიერ ჟენევაში, პარიზში, ლილში, ციურიხში შექმნილი ფოტოსიუჟეტებიდან მხოლოდ ჟენევური ფოტომარშია წარმოდგენილი. ჟენევის ქუჩებში დაფიქსირებული შიდსის საწინააღმდეგო პრეზერვატივების უზარმაზარი სარეკლამო ფირნიშებითა თუ ლინიონით - ანუ 60-იანი წლების არქიტექტურის ნიმუშის - 1 კმ-იანი სახლის ფოტოების შემდეგ, საინტერესოა რას აღმოაჩენს ჟან ჟაკი თბილისში?

**P.S** გამოფენიდან დაბრუნებული, როგორც ყველა, მეც "ტელეეკრანისა და მასმედიის" ტყვეობაში აღმოვჩნდი: საინფორმაციო საშუალებები კოკოითის განცხადებას გადმოსცემდნენ: "სამხრეთ ოსეთი მზადაა საქართველოს კონტრაგრესიით უპასუხოს. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რუსეთის კანონმდებლობა მოქმედებსო."

**"ოცდამეერთე საუკუნეში ურთიერთობები დაკონსერვებულია. ერთმანეთს ვერ უგებენ ადამიანები, ერთმანეთთან საუბარს ვერ ახერხებს ორი სახელმწიფო"** - ეს კოტე ჯინჭარაძის მიერ ჟენევაში განხორციელებული ერთ-ერთი აქციის განმარტებაა. აქცია ჟენევის ტბაზე განხორციელებულა. მხატვარს თევზებთან პოლიტიკური ტექსტები და მიკროფონი ჩაუშვია, რომ პრობლემებზე ესაუბრა მათთან, იმიტომ რომ ადამიანები და სახელმწიფოები ერთმანეთთან საერთო ენას ვეღარ პოულობენ. ჟენევის მაცხოვრებლები (მათ ქალაქში ხომ გაეროს შტაბ-ბინაა) დაინტერესებულან ქართველი მხატვრის აქციით. ჟენევური ღირსშესანიშნაობებიდან ჟან ჟაკის ფოტოობიექტივს ქართველი მხატვრის ეს აქციაც დაუფიქსირებია.

# "ემის" თბილისური მინისერიები

თამარ სუხიშვილი

ვერ გეტყვით, რატომ არ მიიღო მონაწილეობა არც ერთმა ქართულმა სატელევიზიო პროექტმა "ემის" კონკურსში. მით უმეტეს, როცა წელს ეს კონკურსი პირველად ჩატარდა საქართველოში. მოკლედ, ეს ამბავი ჟურნალისტებისთვისაც გაუგებარი დარჩა და ვერც ჟიურის წევრებმა გაგვცეს პასუხი. ან კი რა უნდა სცოდნოდათ, კონკურსი გამოცხადდა, ნამუშევართა შემოტანის ბოლო ვადაც დაინიშნა; ქართული ნამუშევრები კი არ შემოსულა და მორჩა...

ტელეფესტივალის - EMMY International-ის აზიის ქვეყნების ფინალის მხარდასაჭერად თბილისში ამერიკის სატელევიზიო აკადემია "ემის" პრეზიდენტი ბრიუს პეიზნერი და ტელეაკადემიის აღმასრულებელი დირექტორი ჯორჯ ლეკლერი ჩამოვიდნენ. ამასთან, თბილისს "ემის" ნახევარფინალის ჟიურის წევრებიც ესტუმრნენ - ცნობილი ტელევიზიების წარმომადგენლები: მიჩირო ოჰარა (იაპონიის ტრანსნაციონალური ტელეკომპანია TBS), ტაცუო უედა (იაპონიის ტრანსნაციონალური ტელეკომპანია MBC), ალექსანდრა ლეკლერი (ამერიკის კომუნიკაციების კომპანიის AOM-ის პრეზიდენტი), ლეონარდ იანოვსკი (კომპანია INTRA-ს პრეზიდენტი, ჰოლივუდი), ვალერი რუზინი (ევრო-აზიის ტელეაკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, რუსეთი), რომან პეტრენკო (TNT-ს გენერალური დირექტორი, რუსეთი), მეჰრიბან ალიშანოვა (აზერბაიჯანის ტელევიზიისა და რადიოს ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარე), ბაგრატ სარქისიანი (ტელეკომპანია "არმენიას" პრეზიდენტი). ამ ღონისძიების ორგანიზატორად სტუდია "სანდრო ვახტანგოვ ფროდაქშენი" მოგვევლინა, კინოთეატრ "ამირანის", "ღვინო ძველი თბილისის", "თბილუნივერსალბანკის" და "ისი-პარის" დახმარებით.

საკონკურსო ნამუშევრების დახურული ჩვენება, რომელსაც მხოლოდ ჟიურის წევრები ესწრებოდნენ, უკვე დასრულდა. გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გამართულ პრესკონფერენციაზე ბრიუს პეიზნერმა და ჯორჯ ლეკლერმა ჟიურის მუშაობის შედეგები გაგვაცნეს, ანუ ის კონკურსანტები წარმოგვიდგინეს, რომლებმაც კონკურსის მიმდინარე ეტაპი წარმატებით გადალახეს და მომდევნო ეტაპზე გავიდნენ. თუმცა, აქვე ისიც განგვიმარტეს, რომ ეს მიმდინარე ტურის წინასწარი შედეგებია, რომელიც მოგვიანებით საგანგებო ექსპერტებმა უნდა დაამტკიცონ. კონკურსის საბოლოო შედეგები კი 22-23 ნოემბერს, ნიუ იორკში გახდება ცნობილი.

კონკურსზე ორი კატეგორია იყო წარმოდგენილი: მინისერიები და დოკუმენტური ფილმები. პირველ კატეგორიაში გამარჯვებულად ჩინეთის ერთ-ერთი კომპანიის ნამუშევარი "უკანასკნელი პრინცესა" და ტოკიოს სამაუწყებლო კომპანიის "შაქრის ლერწმის ველები" დაასახელეს; მეორე კატეგორიაში კი იაპონური ტელეკომპანიების ნამუშევრებმა გაიმარჯვეს, სახელწოდებით: "არასწორი განაჩენის მსხვერპლი" და "მენ კუჩი".



"ემი ინტერნეიშენელის" აღმასრულებელი დირექტორი ჯორჯ ლეკლერი და პრეზიდენტი ბრიუს პეისნერი.

ვახო ბესელიას ფოტო

და მაინც, როგორ მოხვდა "ემი" საქართველოში? - "ემის" პრეზიდენტი ასეთნაირად ხუმრობს: "როდესაც პრეზიდენტი გავხდი და ლეკლერს ვკითხე, რა გავაკეთო, რა შეიძლება იყოს ყველაზე მნიშვნელოვანი-მეთქი, მან მიპასუხა: რა და, საქართველოში ჩადი და ეს კონკურსი შეაფასეო..." ჰოდა, ასეც მოხდა. "ემი" საქართველოში ჩამოვიდა. "ემის" მესვეურთათვის საქართველო ძალიან საინტერესო ქვეყანაა დემოკრატიისა და სატელევიზიო ცხოვრების განვითარების თვალსაზრისით. თანაც აქ ბევრი ენთუზიასტი ცხოვრობს.

წლევანდელ კონკურსში 60-მდე ქვეყანა იღებდა მონაწილეობას. მომავალში ალბათ ახალ კატეგორიებს დაამატებენ: "რეალიტი შოუ" და "ინტერაქტიური ტელევიზია". ჩვენთვის სასიხარულოა ის ფაქტი, რომ წელს ჟიურის ქართველი წევრებიც ჰყავდა, ქართული ტელეკომპანიების წარმომადგენლები. თუმცა, კიდევ უფრო გაგვიხარდებოდა, ქართველ ავტორთა ნამუშევრები საკონკურსო ნამუშევრების სიაშიც რომ გვეხილა.

"იმედი გვაქვს, სამომავლოდ კონკურსში ქართული პროდუქციაც მიიღებს მონაწილეობას, - თქვა პრესკონფერენციის დასასრულს ლეკლერმა, - ჯიბიდან თავისი სავიზიტო ბარათების მთელი დასტა ამოიღო და დარბაზს ჩამოურიგა; იმ იმედით, რომ "ემი ინტერნეიშენელის" კონკურსით ჩვენი თანამემამულეები ამის მერე მაინც დაინტერესდებიან; თან ღიმილით ერთგვარი სარეკლამო განცხადებაც გააკეთა: არ ვიცი, იცნობენ თუ არა თქვენს პროგრამებს უცხოეთში, მაგრამ თუ "ემიზე" გაიტანთ, აუცილებლად გაიცნობენო. ტელეაკადემიის აღმასრულებელმა დირექტორმა საკუთარი შთაბეჭდილებებიც გაგვიზიარა: სულ რაღაც ორი დღის ჩამოსული ვარ, მაგრამ რამდენიმე თქვენი ტელეგადაცემის ნახვა უკვე მოვასწარი და მომეწონაო. თუმცა, როცა გადაცემათა დაკონკრეტება სთხოვეს, სიცილ-სიცილით მოხერხებულად აირიდა პასუხი - ენა არ ვიცი და ვერ გეტყვით, იმ გადაცემებს რა ერქვაო. ისე, მეც ვერ გეტყვით, მისტერ ლეკლერის ნათქვამი წახალისებელი კომპლიმენტი იყო თუ ობიექტური შეფასება, მაგრამ ფაქტია, რომ საერთაშორისო ტელეაკადემია ქართული სატელევიზიო სივრცით დაინტერესებულია და ეს ძალიან კარგია.

# ვერმეერის ტილო აუქციონზე გაიყიდა

## მფლობელის ვინაობა უცნობია

ლონდონში, "სოთბის" აუქციონზე, XVII საუკუნის ჰოლანდიელი მხატვრის - იან ვერმეერის ტილო გაიყიდა. ვერმეერის ცნობილ ნახატში მყიდველმა 16,2 მილიონი გირვანქა სტერლინგი (30 მილიონი დოლარი) გადაიხადა.

იან ვერმეერის მხატვრული ტექნიკა იმ დროისთვისაც კი უნიკალური იყო, როცა ჰოლანდიელმა მხატვრებმა ფერწერა უმაღლეს დონეზე აიყვანეს. ვერმეერისეული კომპოზიცია, კოლორიტი, უზუსტესი პორტრეტი და, რაც მთავარია, უწონო ჰაერი მხატვრის ტილოზე, სივრცის მძაფრ განცდას რომ უქმნის მნახველს - აი, ვერმეერის შემოქმედების ის მახასიათებლები, რასაც ანალოგი არ აქვს.

იან ვერმეერს დიდხანს არ უცოცხლია, თანაც გარდაიცვალა თუ არა, მაშინვე დაივიწყეს. ჰოლანდიელი ფერმწერის "დაბრუნება" მხოლოდ დიდი ხნის მერე, XIX საუკუნის ბოლოს მოხერხდა, როცა ერთ მშვენიერ დღეს, როცა ხელოვნებათმცოდნეებმა ვერმეერის კოლექციას - 35 ფერწერულ ტილოს დახედეს და მიხვდნენ, რომ უდიდეს შემოქმედთან ჰქონდათ საქმე. დღესდღეობით ვერმეერი უკვე ისეთი პოპულარული მხატვარია, რომ მისი "ღვინის ჭიქის" ასლს აუცილებლად გადაწყდებით ღვინის მაღაზიებში, "გოგონა მარგალიტის საყურით" კი სხვადასხვა ქვეყნების სხვადასხვა საიუველირო მაღაზიების კედლებს ამშვენებს.

სხვათა შორის, ჰოლანდიელი ფერმწერის შემოქმედების პოპულარიზაციის საქმეში თავისი წვლილი შეიტანა ფილმმა - "გოგონა მარგალიტის საყურით", ფილმმა, რომელიც გვიამბობს, თუ როგორ გავლენას ახდენს ხელოვნებაზე რეალობა. ფაქტობრივად, ფილმის სიუჟეტი თითქმის მთლიანად მისი შემქმნელების ფანტაზიის ნაყოფია, რადგანაც ვერმეერის ნატურის - პატარა, ლამაზი გოგონას შესახებ აბსოლუტურად არაფერია ცნობილი. თუმცა რა გასაკვირია, როცა თვით მხატვრის ცხოვრების შესახებაც ძალიან მწირი ცნობებია შემონახული. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ფილმი გვარიანად გააკრიტიკეს კიდეც. თქვეს, რომ ამ ტიპის კინოსურათები კედელზე დაკიდებულ მემორიალურ დაფას ჰგავს, რომელზეც, მაგალითად, ასეთი წარწერაა: "აქ ეძინა ვერმეერს!" ითქვა ისიც, რომ ფილმის სიუჟეტი ტრივიალურია: მხატვრის მიმზიდველი ბოჰემური ცხოვრება, მისი მუზა - ლამაზი გოგონა და ეჭვიანი, კაპასი ცოლი... მოკლედ, ასეა თუ



კადრი ფილმიდან "გოგონა მარგალიტის საყურით".

ისე, ფილმს თავისი მაყურებელი გამოუჩნდა, ხოლო ვერმეერის ცხოვრებითა და შემოქმედებით კიდევ უფრო მეტი ადამიანი დაინტერესდა. ვერმეერის უცნობმა თაყვანისმცემელმა კი სულ ახლახანს ჰოლანდიელი ფერმწერის ტილო "ვირჯინელთან მჯდომი ახალგაზრდა ქალი" 16,2 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეიძინა. საწყისი ფასი 3 მილიონი გირვანქა იყო. მყიდველი, რომელსაც საკუთარი ვინაობა არ გაუმხელია, აუქციონში ტელეფონით მონაწილეობდა და პუბლიკის წინაშე არც კი გამოჩენილა.

ვერმეერის ამ უნიკალურ ნამუშევარზე მდიდარმა კოლექციონერებმა ნადირობა პირველად 1921 წელს დაიწყეს. გასულ საუკუნეში ხელოვნებათმცოდნეები დიდხანს დაობდნენ იმის თაობაზე, თუ ვის ფუნჯს ეკუთვნოდა ზემოხსენებული ნახატი. ბოლოს და ბოლოს ათწლიანი კვლევის, ქიმიური ანალიზისა და რენტგენული შემოწმების საფუძველზე სკეპტიკოსები დარწმუნდნენ, რომ ეს ტილო ვერმეერის ორიგინალური ნამუშევარია. მეცნიერულმა ანალიზმა დაადასტურა, რომ "ვირჯინელთან მჯდომი ახალგაზრდა ქალი" ზუსტად იმავე საღებავებით და იმავე ტილოზეა შესრულებული, როგორც ლუვრში დაცული "მემაქმანე ქალი", რომლის ავტორის ვინაობაშიც ეჭვი არავის ეპარება.

თუმცა ამ ნახატისადმი დიდი ინტერესი მარტო მისი მხატვრული ღირებულებით კი არა, იმითიც იყო განპირობებული, რომ "ვირჯინელთან მჯდომი ახალგაზრდა ქალის" ისტორია საიდუმლოებითაა მოცული, თითქმის ისეთივე საიდუმლოებით, როგორც მისი ავტორის ბედი. თავიდან ეს არცთუ დიდი ზომის (25x20 სმ.) ტილო ეკუთვნოდა ვერმეერის მფარველს - პიტერ ვაინ რიუივენს. მერე ის კოლექციონერიდან კოლექციონერის ხელში გადადიოდა... ხოლო XX საუკუნის შუა ხანებში "ვირჯინელთან მჯდომი ახალგაზრდა ქალიც" გაერია იმ სკანდალში, რომელიც გამყალბებელის - ვან მეეგერენის სახელთან იყო დაკავშირებული. ეს უკანასკნელი ვერმეერის ასლების დამზადების გამო წარდგა სასამართლოს წინაშე. 1960 წელს ტილო ხელში ჩაუვარდა ბელგიელ ბარონს - ფრედერიკ როლენს, რომელიც 33 წლის განმავლობაში გადიოდა კონსულტაციებს ცნობილ სპეციალისტებთან, ვერმეერის ნახატის ნამდვილობა რომ დაემტკიცებინა. დღეს ვერმეერის ტილო უკვე ინკოგნიტო თაყვანისმცემლის კოლექციას ამშვენებს.

# მარგინალები კინოში

ადამიანს გმირი სჭირდება ბრჭყალებში და ბრჭყალებს გარეთ

მაკა კუკულავა

ცოტა რამ პოსტმოდერნისტულ გმირებზე საერთოდ, და ასევე ცოტა რამ პოსტმოდერნისტულ გმირებზე კინოში. პოსტმოდერნისტული გმირის განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან განუსაზღვრელი ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა, ის, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, უბრალოდ მცდელობაა, პოსტმოდერნისტულ ლანდშაფტებზე გმირის რამდენიმე ვარიანტის დანახვისა.

კინო და საერთოდ ხელოვნება, ცდუნებაა და თანაც ძალზედ დიდი. ხელოვნებას ქმნიან ადამიანები, რომლებსაც იმისთვის, რომ შექმნან, სწორედ ცდუნება ამოძრავებთ (ცდუნება ხელოვნებისადმი). ეს კი სხვა ადამიანებზე დაკვირვების საფუძველზე ხდება. ადამიანებზე დაკვირვება, თვალთვალი, პლასტიკურ ხელოვნებათაგან ყველაზე უფრო კინოს ცდუნებაა. ეს ცდუნება ბადებს სურვილს, რის გამოც კამერა ხდება შუამავალი კინემატოგრაფისტსა და ცდუნების ობიექტს შორის.

კინოს ადამიანის გარდა სხვა მთავარი გმირი-ხატიც ჰყავდა. ეს იყო გზა. კინოს ვნება გზის მიმართ მისი დასაწყისიდანვე იღებს სათავეს - მატარებელი გზაზე, და შემდეგ ადამიანი-გმირი, რომელიც ამ გზაზე მოდიოდა. მაშ ასე, კინოს პირველი გმირი, გზაზე მიმავალი მოხეტიალე - მაწანწალა იყო და ეს კინოს უსაყვარლესი თემა და სახე გახდება, ისევე როგორც ზღვასთან მისული ადამიანები, რომლებიც ზღვასთან მისვლის მერე, მეამბოხეები გახდებიან. ეკრანი, რომელიც თავის თავში პროტესტს ატარებს, ამბოხს და ძალადობასაც მოიცავს, "უმიზეზო მეამბოხეთა" მოედანი გახდება, რომელზედაც ისინი გამოვლენ და იყვირებენ ისე, რომ კინო რელობას შეერწყმება და რევოლუციად გარდაიქმნება. მაგრამ მერე დადგება პოსტმოდერნიზმის ეპოქა, რომელშიც მეამბოხეთა ადგილი აღარ დარჩება და ისინი კვლავ მოგზაურებად გადაიქცევიან. ანუ პოსტმოდერნისტულ ციტატად, რომელსაც კინოს საწყისთან მივყავართ.

თუ პოსტმოდერნიზმის და მისი გმირების ზოგად ნიშნებზე ვისაუბრებთ, გამოვა, რომ სხვადასხვა რეჟისორი ამ ტერმინის ქვეშ სხვადასხვა და შეიძლება ერთამენთისგან განსხვავებული ნიშნებით გაერთიანდეს.

პოსტმოდერნისტებს დააინტერესებთ დღევანდელობა, რეალური,



ჯიმ ჯარმუში თავის ქალაქს "მარგინალი ემიგრანტების" თვალებით უყურებს

ახლა არსებული გმირები, ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებსაც ადამიანურ სახეს დაუბრუნებენ და იტყვიან, რომ მათ სიყვარული სჭირდებათ. თუკი ვლაპარაკობთ მარგინალურ თემაზე პოსტმოდერნისტულ კინოში, პირველ რიგში აკი კაურისმიაკი უნდა ვახსენოთ, რომლის კინემატოგრაფსაც "მსოფლიო მარგინალთა ჰიმნს" უწოდებენ. მისი ფილმების უცვლელი თემა არის მარგინალები მარგინალურ ქვეყანაში: "კაურისმიაკმა მისცა მაგალითი მცირე ქვეყნების პერიფერიულ კულტურებს იმის შესახებ, რომ ჩვენ ყველანი ერთი დიდი სოფლიდან ვართ".

ასევე ამერიკული დამოუკიდებელი კინოს ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ჯიმ ჯარმუში თავის ქალაქს "მარგინალი ემიგრანტების" თვალებით უყურებს, "ჯარმუშის პლანეტა" - ქვემო ისტ-საიდიც მთლიანად უმცირესობებზეა კონცენტრირებული და ჯარმუშის ინტერესის ძირითადი ობიექტია. ჯარმუში ხშირად იმეორებს, რომ იგი არ იღებს კინოს, ის უბრალოდ გადის ქუჩაში და აკვირდება ცხოვრებას.

ჯარმუშის ფილმში "ყავა და სიგარეტი" სწორედ ეს ორი უკანასკნელი ექცევა ცენტრში, ხოლო მრავალრიცხოვანი პერსონაჟები ქაოტურად ტრიალებენ მათ გარშემო. შავ-თეთრი თერთმეტი ნოველა მაყურებელს თავისი მაგიურობით ითრევს და რაღაც "ბისერით თამაშის" მაგვარი გამოდის. ჯარმუშის საყვარელი ნიუ იორკი და ნიუ იორკელები კვლავ კადრში ჩანან; ისინი გაუთავებლად სვამენ ყავას, გაუთავებლად ეწევიან სიგარეტს და გაუთავებლად ლაპარაკობენ ათასგვარ სისულელეზე.

საერთოდ ჯარმუში ხშირად მიმართავს ხოლმე, როგორც ნოველურ თხრობას, (მაგ., "მისტიური მატარებელი"), ასევე მსახიობი-ფეტიშების თავმოყრას (მაგ., "ღამე მიწაზე"). "ყავა და სიგარეტშიც" ნოველებად დაყოფილი თითოეული ეპიზოდი, ამ თუ იმ მსახიობის მიერ შექმნილი განსაკუთრებული ეტიუდია. "ყავა და სიგარეტი" კი ორივე რეალობის - კინოსა და ცხოვრების მატერიალური გამოხატულების და დაფიქსირების როლს ასრულებს, რომლის საშუალებითაც ადამიანები ერთმანეთთან უფრო ადვილად ამყარებენ კონტაქტს, ახლოვდებიან და ისევ შორდებიან. ეს ყველაფერი კი მათი ყოველდღიური ცხოვრებაა. ყავისა და სიგარეტის ფონზე გათამაშებულ ამ კამერულ ნოველებში ჯარმუში პოსტმოდერნისტული ღიმილით აკვირდება თავის პერსონაჟებს, შლის ზღვარს მათ რეალურ და კინემატოგრაფიულ როლებს შორის. მისი ირონია, რითაც მთელი ფილმია გაჟღენთილი, თითოეული მათგანის მიმართ სიყვარულის დამტკიცებაა და იმ ყოველდღიური ცხოვრების და დეტალების დაფიქსირებაც, რაც არის კიდევაც ნამდვილი ცხოვრება, რომელსაც კინოსგან ვეღარ არჩევ.



MTV-ს და "პეპსის" თაობა აიძულა ბეზ ლურმანმა, რომ მოესმინა შექსპირის კლასიკური ენისათვის

პოსტმოდერნიზმი ჰოლივუდურ კინოშიც შეიჭრება და შეეცდება შექმნას ზემოხსენებული ბაროკალური კარნავალი დიდ ეკრანზე, შთამბეჭდავი ეფექტებითა და კინოს კულტურული მარაგის გამოყენებით.

რომეო და ჯულიეტა ბეზ ლურმანის ფილმში "რომეო + ჯულიეტა", MTV-ის თაობის გმირები არიან (საერთოდ MTV შეიძლება პოსტმოდერნისტული მსოფმხედველობის და ესთეტიკის საუკეთესო გამოხატულებად აღვიქვათ). სწორედ MTV-ს და "პეპსის" თაობა აიძულა ბეზ ლურმანმა, რომ მოესმინა შექსპირის კლასიკური ენისათვის, თანაც MTV-ის კლიპებისათვის დამახასიათებელი წყობის, კლიპური მონტაჟის, MTV-ის სტილის ეფექტებისა და პოპ-მუსიკის ჰიტების ფონზე განვითარებით. რაც მთავარია, მან შემოგვთავაზა შექსპირის გმირების სრულიად მოულოდნელი ონტერპრეტაცია, რის შედეგადაც ისინი ნამდვილ პოსტმოდერნისტულ პერსონაჟებად აქცია: "ტურფა ვერონა" ლათინოამერიკელებით დასახლებულ "ვერონა-ბიჩად" იქცა, მერკუციო - შავკანიან ტრანვესისტად, რომლის დამოკიდებულება რომეოს მიმართ მეგობრულ ურთიერთობას სცილდება, ისევე როგორც ლათინო ამერიკელი მაჩო-ტიბალტის ნათესაური გრძნობები ჯულიეტასადმი. თვითონ რომეო და ჯულიეტა 90-იანი წლებისათვის დამახასიათებელ უნისექს-წყვილად წარმოგვიდგება, რომელთა სიყვარული "ექსტაზის" ზემოქმედების ქვეშ იბადება, ხოლო ბერი ლორენცოს რწმენა ტატუირებული ჯვრით გამოიხატება.

დაბოლოს, მარგინალ გმირებთან ერთად, რომლებიც საბოლოოდ აქტიური გმირებიც კი ხდებიან, პოსტმოდერნიზმმა "ტაბუირებული" თემებიც ინტენსიურად აჩვენა ეკრანზე და რაც მთავარია, გენდერული როლების გადათამაშება მოახდინა. აქ პირველ რიგში რასაკვირველია, ალმოდოვარი გვახსენდება, რომელთანაც გენდერული ზღვრების მოშლა და ამის საფუძველზე ჰარმონიის ძიება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა. სწორედ პედრო ალმოდოვარის და მისი ფილმების შესახებ იქნება მომავალ პარასკევს ჩვენი სტატია.

ნინია კაკაბაძის სვეტი

## შევარდნაძის ფავორიტები შევარდნაძის გარეშე



ამ უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში ერთი ფრაზა ტელევიზიით მოვისმინე და ერთ ფრაზას საგაზეთო პუბლიკაციაში გავეცანი. ეს ფრაზები ორ სხვადასხვა ხელოვანს ეკუთვნის თუ ეძღვნება. ორივე მათგანი შემოქმედია და ორივე მათგანი საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწეობს. ერთი მუსიკოსია, მეორე კი კინორეჟისორი. თითქოს ამ პატარა წინადადებებს არავითარი კავშირი ერთმანეთთან არა აქვს, მაგრამ ვეცდები, ისინი ოდნავ გავაანალიზო და ერთმანეთს დავუკავშირო. პირველი - სკანდალად თუ ფესტივალად ცნობილი "ხელოვნების ზეიმი", რომლის ორგანიზატორი და ფუძემდებელი ქართველი მუსიკოსი ლიანა ისაკაძეა. და მეორე - წელს ქართველ კინორეჟისორ ოთარ იოსელიანს, თებერვალში 70 წელი შეუსრულდა. საქართველოს გარდა მისი იუბილე ძალიან ბევრ ქვეყანაში აღნიშნეს. აი, ეს ორი მოვლენა გახლავთ ჩემი ინტერესის საგანი.

ისე მოხდა, რომ ინფორმაცია "ხელოვნების ზეიმის" ირგვლივ ამტყდარი სკანდალის შესახებ (რაც ფინანსების დეფიციტს გულისხმობდა), თავიდან ვერ მივიღე. პირველი, საიდანაც ამ ამბის გაცნობიერება დავიწყე, იყო ქალბატონი ლიანას პრესკონფერენციის კადრები, სადაც ის გაბრაზებული გამომეტყველებით, ალბათ, კონკრეტულად იმ მომენტში, საქართველოს კულტურის მინისტრს, მაგრამ ზოგადად მთელ ქართულ საზოგადოებას ემუქრებოდა, რომ არასოდეს ჩამოდგამდა ფეხს საქართველოში. მართალი გითხრათ, გამიკვირდა მისი ამგვარი ტონი. და რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს, მისი ტონიდან და ამ წინადადების შინაარსიდან გამომდინარე, არა მისი, ანუ ხელოვანის მხარე დავიჭირე, არამედ მისი მოწინააღმდეგის, რომლის ვინაობაც იმ ეტაპზე ჩემთვის უცნობი იყო. რატომ გვემუქრება ლიანა ისაკაძე და რა არის ამ მუქარის მიზეზი? ამ შემთხვევაში მე არა კონკრეტულ მიზეზზე ვსაუბრობ, რომელიც ფესტივალის ბიუჯეტს ეხება, არამედ მის დამოკიდებულებაზე. რატომ ფიქრობს ისაკაძე, რომ შეიძლება ასე დაემუქროს საზოგადოებას, მის მსმენელს თუ, უბრალოდ, ადამიანს? დარწმუნებული ვარ, რამდენად დიდი საბაბიც არ უნდა ყოფილიყო, თუკი მსგავს და კიდევ უფრო "შეურაცხმყოფელ" სიტუაციას წააწყდებოდა ის ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, ასეთი მუქარის ტექსტით ვერ გამოვიდოდა. რატომ გამოდის აქ? იმიტომ რომ, საკუთარ ქვეყანაშია, როგორც საკუთარ სახლში (თუმცა საქართველო მისთვის უკვე დიდი ხანია, სახლი აღარ არის) და იცის, რომ მისნაირი გადახვეწილი და ნიჭიერი ადამიანები ჩვენ ცოტა გვყავს და ვინც გვყავს, მათ უნდა გავუფრთხილდეთ. მისი გამოსვლით (რომელიც მას ცოტა ხანში დაავიწყდა, როგორც თავად აღნიშნა ერთ-ერთ შემდეგ ტელეგამოსვლაში), საკუთარი პერსონაც შეგვახსენა და, ასე ვთქვათ, ჭკუაც გვასწავლა, თუ შეგვაშინა. და რაში გვჭირდებოდა ჩვენ მისი პიროვნების შეხსენება? მუსიკოსი, რომელიც 80-იან წლებში საზღვარგარეთ გადაიხვეწა, არავის დაავიწყდებოდა, დრო არც ისე დიდია გასული. მაგრამ ე.წ. ახალ საქართველოში ის მისთვის ნაჩვევ დამოკიდებულებას ვერ წააწყდა და ეს ფიცხი გამოსვლაც, სწორედ ამის შედეგი იყო. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიერ განებივრებულ ხელოვანებს, ოდნავ სხვაგვარ პირობებში უწევთ "ქართული მოღვაწეობა". შევარდნაძის რჩეულები, დღეს რიგით, ნიჭიერ და საპატიო შემოქმედებად იქცნენ. ამას კი შეჩვევა უნდა. მე აქვე მინდა მოგახსენოთ, რომ გურამ პეტრიაშვილის მსგავსად, მე არც იმაზე მაქვს პრეტენზია, რომ ისაკაძე საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწეობს და არც არაფერს ვუწუნებ მას. მხოლოდ ერთია, დროა, როგორმე შევიგნოთ, რომ პრივილეგირებულნი არა მხოლოდ ერთეულები არიან, და არა მხოლოდ ისინი იმსახურებენ პატივისცემას. დაბრკოლებების თუ პრობლემების გადალახვა მათაც უნდა შეძლონ უმტკინვეულოდ, ამგვარი მუქარების გარეშე, ვინაიდან ქალბატონი ლიანას გარეშე საქართველოს ბევრი უცხოვრია და მგონი, მომავალშიც შეძლებს არსებობას. შევარდნაძის ფავორიტების ეს ტონი, მგონი, დროა, რომ შეიცვალოს. საქართველოში არა მხოლოდ პრეზიდენტი თუ მთავრობა შეიცვალა (ისიც ნაწილობრივ). ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც საქართველოში შეიცვალა, ეს საზოგადოებრივი ცნობიერებაა და ასევე იმის დაჯერება, რომ ჩვენს ქვეყანას 30 წლიანი მმართველობის ბოლოს, როგორც იქნა "ფავორიტების" პატრონი აღარ მართავს. ამიტომ, თუკი ასეთი გამოსვლები ყოფილ ავტორიტეტთა ფობიით დაავადებულ პრეზიდენტს აშინებდა, მგონი, ჩვენდა საბედნიეროდ, დღეს აღარავის აშინებს. ამიტომაც, როგორც დიდ სამყაროში ითვლებიან ქართველი ხელოვანები რიგითი მოღვაწეებად, ასევე უნდა იყოს საქართველოშიც. დროა, ეს უპირატესობის შეგრძნება და აქედან გამომდინარე ქედმაღლური ტონი, თუკი ამის საბაბი ექნებათ, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოიყენონ და საკუთარი ჩამოსვლა-ჩამოუსვლელობით ნურავის დააშინებენ.

აი, როგორც მაგალითად, ამას აკეთებს ქართველი კინორეჟისორი ოთარ იოსელიანი. რომელიც ისე ჩუმად და თავმდაბლად ჩამოდის და მიდის საქართველოდან, რომ ამის შესახებ მხოლოდ მისი მეგობრები თუ ოჯახის წევრები იგებენ. თუმცა, ამის მიზეზი მოსაძებნია. რატომ ხდება ისე, რომ საქართველოში იუბილე-მანიით შეპყრობილი ქართველები, ქართველი კინოხელოვანის 70 წლის თარიღს აქ არ აღნიშნავენ. ის რომ, სამწუხაროდ, იოსელიანის სახელი შევარდნაძესთან ასოცირდება, განსაკუთრებით საქართველოში, ფაქტია, მაგრამ რატომ ამგვარი იგნორირება? შესაძლებელია იმიტომ, რომ მისი გვიანდელი ფილმები (რომელიც მან საფრანგეთში ყოფნისას გადაიღო) არაქართული მოვლენაა. ის პრობლემები, საკითხები თუ თემები, რომელსაც ქართველი კინორეჟისორი გვთავაზობს, არა ორგანულია ქართველი მასობრივი მაყურებლისათვის. და ამიტომ ქართველ მაყურებელს უჭირს, მიუხედავად მისი წარმომავლობისა, იოსელიანის იდენტიფიცირება საქართველოსთან. მაგრამ ეს ვრცელი თემაა, და აღარ დავიწყებთ მის განხილვას. ეს - როგორც ერთი სავარაუდო პასუხი. სხვა რისთვის შეიძლება უყვარდეს და ახსოვდეს საქართველოს იოსელიანი? ფილმები, რომელსაც ის უკანასკნელი წლებია იღებს, ისე ხდება, რომ რატომღაც არ არის ხელმისაწვდომი მასობრივი მაყურებლისათვის. პრემიერები გასულ წლებში ან კანცელარიის შენობაში ეწყობოდა იმჟამინდელი მთავრობისა თუ რეჟისორის ახლობლებისათვის, ან კი რომელიმე კინოთეატრში ისევ ვიწრო აუდიტორიისათვის. ამიტომ, ქართველ მაყურებელს ისღა რჩება, რომ მხოლოდ პრესაში გამოქვეყნებული სიახლისათვის შეიყვაროს იგი. პრიზი ამა და ამ კინოფესტივალზე, მისი რეტროსპექტივა ამა და ამ ქვეყანაში და ა.შ. რა შეიძლება გააკეთოს კინორეჟისორმა საკუთარ ქვეყანაში, რომელშიც ფილმებს სრულიად გასაგები მიზეზების გამო ვერ იღებს. რატომ არ გაუჩნდება სურვილი, მაგალითად, მომავალ რეჟისორებს წაუკითხოს ლექციები, ჩაატაროს თუნდაც ფასიანი "ვორკშოპები" ან რამე, ნებისმიერი, სხვა სასიკეთო საქმე, მისთვის და მისი ქვეყნის მომავალი თაობისათვის. რა უშლის ამაში ხელს. ამიტომ, იოსელიანი არა მხოლოდ თავისი შემოქმედებით არის "კოსმოპოლიტი," არამედ საკუთარი არსებობითაც და აქედან გამომდინარე, დრო გადის ისე, რომ არც მისი მრგვალი თარიღი ახსოვთ...

# ზევით, პარიზისკენ მიმართული მზერა

ძველი და ახალი

*Haute couture - ფრგ. მაღალი მოდა, მაღალი კლასის ტანსაცმლის მოდელირება და კერვა (განმარტება ლექსიკონიდან).*

ეს ორი ფრანგული სიტყვა, სხვადასხვა ენაზე სხვადასხვაგვარი აქცენტითა და სხვადასხვაგვარი ხარისხის მანერულობით წარმოთქმული ორი სიტყვა, ერთი სამყაროს შესასვლელში, ტრაფარეტზე წერია. ამ ზღურბლის მიღმა ყველაფერი და ყველა ბრჭყვიალებს. სულიერი არსებები სრულყოფილი გარეგნობით გამოირჩევიან, გრაციოზული მოძრაობები აქვთ, ლამაზი და ნაზი ღიმილი. ამ გარეგნულ კაშკაშს კიდევ უფრო მეტ მომხიბვლელობას ჰმატებს მათი უსულო დამატება - სამოსი, იშვიათი ქსოვილებისგან შეკერილი, ორიგინალური მოდელირებითა და ძვირფასი ქვებით.

სწორედ ამ სამყაროს განსაზღვრავს და ხსნის ზემოთ ნახსენები ორი ფრანგული სიტყვა *Haute couture;* სამყაროს, რომელიც, საოცარი დახვეწილობის მიუხედავად, მაინც უსულოდ გამოიყურება - იქაური ძვირფასი სამშვენისები რეალურ ცხოვრებას ვერასდროს ეთავსება; იქაურობის ბინადარი სუპერმოდელებიც კი უსიცოცხლოდ და უტოპიურად დაბორიალობენ პოდიუმზე და შოუს დასრულების შემდეგ პუბლიკას თავიდანვე გაჩენილ ეჭვს უმყარებენ - *Haute couture* ვიზუალურად მშვენიერი ამაოების ბაზარია; *Haute couture* ნიშნავს ფასეულობებს, რომლებიც სრულყოფილი სახით მხოლოდ მანეკენების ხისგან გამოჩორკნილ ანდა პლასტიკატისგან დამზადებულ სხეულებზე შემორჩება და მერე იმტვერება კიდეც. ასეა ყოველ მორიგ შოუმდე.

*Haute couture*-ს ახლა სწორედ ეს პერიოდი - შოუს პერიოდი უდგას. პარიზში მაღალი მოდის კვირეული მიმდინარეობს და კიდევ ერთხელ აქტუალური ხდება ამ ორი ფრანგული სიტყვის სხვადასხვა ენასა და აქცენტზე, სხვადასხვაგვარი მანერულობით წარმოთქმა.

დიორის, შანელის, ივ სენ ლორანის, ჰერმესის, პოლ სმიტის, ვალენტინოს და სხვათა ახალი და "მაღალი" კოლექციები მანერულობისა და სნობობის მიზეზს კიდევ უფრო ზრდის. მოდის სამყაროს წარმომადგენლები ამ ჩვენებებზე დაყრდნობით ამტკიცებენ, რომ *Haute couture*-მ სახე იცვალა, მაგრამ ჩვეულებრივი მოკვდავები კვლავაც ვერ ხვდებიან, ზუსტად რას ნიშნავს მთელი ეს ორომტრიალი და მაღალ მოდას უბრალოდ ფუფუნებას უწოდებენ.

ერთი სიტყვით, პარიზი ახლა ფუფუნების ზეიმს მასპინძლობს. მართალია, ამ ზეიმს გამოეთიშა ემანუელ უნგარო, დონატელა ვერსაჩე და რამდენიმე სხვა დიდი სახელი, მაგრამ ვარსკვლავურ კაშკაშს პარიზში დიორი, შანელი და ჟან პოლ გოტიე უზრუნველყოფენ. გოტიეს მოდის სახლის 35 პროცენტს ჰერმესი ფლობს, ასე რომ, კვირეულზე ჰერმესიც მაქსიმალურადაა წარმოდგენილი. აქვეა ვალენტინოც, რომლის შესახებაც პარტნიორი ჯანკარლო ჯამეტი ამბობს: "სანამ ვალენტინოს ხელში ფანქრის დაჭერა შეუძლია, *couture* არ მოკვდება".



პარიზში მაღალი მოდის კვირეული მიმდინარეობს და კიდევ ერთხელ აქტუალური ხდება ამ ორი ფრანგული სიტყვის სხვადასხვა ენასა და აქცენტზე, სხვადასხვაგვარი მანერულობით წარმოთქმა. კრისტიან დიორის მოდელი

მოკლედ, მაღალი მოდა არ კვდება, პირიქით, სახეს იცვლის და ორგანიზმში ახალ სისხლს უშვებს. ეს მრავალფეროვნებაა: ორიოდე დღის წინ მაღალი მოდის კვირეულის ფარგლებში ლუი ვიტონმა ძვირფასი სამკაულის ხაზის პრეზენტაცია გამართა. რამდენიმე კვირის წინ კი *Haute couture*-ს გამრავალფეროვნებაზე გოტიემ და "როლექსმა" იზრუნეს. პირველმა ფრანგული პურისგან შეკერილი კაბები წარმოადგინა კარტიეს თანამედროვე ხელოვნების ცენტრში, მეორემ კი დეკორატიული ხელოვნების მუზეუმში ძვირფას სამკაულებზე გათვლილი გალერეების ხელახლა გახსნა დაასპონსორა.

ასე რომ, საფრანგეთს სულაც არ ეთაკილება მაღალი მოდის სახით ამაოების მშვენიერ ბაზარს რომ ქმნის. პირიქით, *Haute couture,* ლიტერატურასა და კინოსთან ერთად, ფრანგული კულტურული ჰეგემონიის იდეის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი კომპონენტია. და ამ იდეის განვითარებას ემსახურება მაღალი მოდის კვირეულიც. თითოეული მონაწილე დიზაინერი თავისებურად: შანელი და კარლ ლაგერფელდი - ტვიდისა და სატინის ქსოვილებით გადმოცემული ტრადიციული კლასიკით. დიორი და ჯონ გალიანო - ტრადიციული ექსცენტრიულობითა და ფერებისა ზეიმით. ივ სენ ლორანი - ჯერაც ტომ ფორდის გაკვალულ გზაზე მოსიარულე სტეფანო პილატის შემოქმედებით. ვალენტინო - ზამთრის ფერებით, მწვანით, ოქროსფერითა და წითლით.

პარიზის მოდის კვირეულს არ აკლია არც ვარსკვლავები. ლუი ვიტონის სამკაულების პრეზენტაციაზე კეტრინ დენევი ბრწყინავს, ვალენტინოს კაბებს ოფრა უინფრი ათვალიერებს, ლიზ ჰარლიც იქვე ტრიალებს შვილთან ერთად.

მაღალი მოდის სამყარო რამდენიმე თვის წინ გარდაცვლილ ფოტოს დიდოსტატს, ჰელმუტ ნიუტონსაც იხსენებს: ამ საღამოს, ცხადია, ყველა ნიუტონზე საუბრობდა. ხელოვნებათმცოდნე სიმონ დე პიური Simon de Pury მას ენდი უორჰოლს ადარებდა და ამბობდა, რომ ორივემ თავის ეპოქაზე შეუდარებელი გავლენა მოახდინა; კარლ ლაგერფელდი ნიუტონის ბერლინურ იუმორს იხსენებდა; ტომ ფორდი კი ნიუტონის მემუარიდან კითხულობდა ნაწყვეტს და თან დასძენდა: "ჩემთვის სამოთხის იდეა ჰელმუტის სამყაროს ჰგავს".

დაბოლოს, მაღალი მოდის კვირეულზე საუბარი დიზაინერ ოსკარ დე ლა რენტას ციტატით შეგვიძლია, დავასრულოთ: "ჩემი აზრით, ერთადერთი ვინც ჭეშმარიტად ლამაზ ტანსაცმელს ქმნის, კარლ ლაგერფელდია. *Couture*-ს სწორედ ეს აცოცხლებს". ასე რომ, შანელის დრო არასდროს გადის. წელსაც ის მოდის - ამაოების მშვენიერი სამყაროს დედოფალია.

ფეხბურთი

# პრეზიდენტი ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ





პერესმა და სანსმა დებატები გამართეს.

მადრიდის "რეალში" დიდი ამბებია. სულ მალე სამეფო კლუბში პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდება. "რეალის" ახლანდელი პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი ამ პოსტზე კვლავ იყრის კენჭს, ხოლო მისი კონკურენტი კლუბის ყოფილი პრეზიდენტი ლორენსო სანსი გახლავთ. სწორედ ის სანსი, რომელიც პრეზიდენტის პოსტზე პერესმა შეცვალა ოთხი წლის წინ.

ამ ოთხი წლის განმავლობაში სანსი ჩრდილში იდგა და საჯარო გამოსვლებისგან თავს იკავებდა. თითქოს მომავალ არჩევნებში პერესის გამარჯვებაც უკვე გადაწყვეტილი საქმე იყო. მაგრამ სანსი თანდათანობით გააქტიურდა და პერესისთვის ანგარიშგასაწევ კონკურენტად იქცა. ყოფილი პრეზიდენტი აცხადებს, რომ კლუბის სათავეში ხელმეორედ მოსვლის შემთხვევაში "რეალში" პორტუგალიელ მანიშეს, ჩეხეთის ნაკრების ფეხბურთელებს ბაროშს და როსიცკის მოიყვანს. სანსი ასევე ამბობს, რომ გუნდში დააბრუნებს განათხოვრებულ სამუელ ეტო`ოს, რომელიც "პერესის მმართველობის შემთხვევაში ვერასოდეს დაბრუნდება "რეალში". ასეა თუ ისე, არჩევნების შედეგებს კვირას შევიტყობთ. მანამდე კი დაძაბული წინასაარჩევნო კამპანიაა გაჩაღებული.

გუშინწინ პერესი და სანსი რადიოსადგურ "Cadena SER"-ს სტუმრობდნენ, სადაც პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის პირველი წინასაარჩევნო დებატები გაიმართა. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ, როდესაც პრეზიდენტი სანსი იყო, ხოლო პერესი - პრეზიდენტობის კანდიდატი, ასეთი დებატები არ შემდგარა. კანდიდატი პერესი სანსს დებატებზე ეპატიჟებოდა, ამ უკანასკნელმა კი მასთან შეხვედრა არ ისურვა. ახლა როლები შეიცვალა, პერესი პრეზიდენტია, სანსი - კანდიდატი და ახლა სწორედ სანსმა გამოიწვია პერესი დებატებში. განსხვავება ის არის, რომ პერესმა უყოყმანოდ მიიღო გამოწვევა.

დებატები ესპანეთის დროით შუაღამისას, ზუსტად 12 საათზე დაიწყო და რამდენიმე საათს გასტანა. შეხვედრის მთავარი არბიტრის როლს კი ჟურნალისტი ხოსე რამონ დე ლა მორენა ასრულებდა. გთავაზობთ ამ დებატების განსაკუთრებით საინტერესო ფრაგმენტებს.

*- უკვე ოთხი წელია, ერთმანეთი არ გინახავთ.*

***ლორენსო სანსი:*** "ფლორენტინო მეპატიჟებოდა "ბერნაბეუს" ლოჟაში. მან კარგად იცის, რომ მე ყოველთვის მეუღლესთან ერთად დავდივარ. ეს კი არავის გაუთვალისწინებია. კლუბის ასი წლისთავისადმი მიძღვნილ წიგნში მე გამიზნულად გამიკეთეს იგნორირება. იქ ჩემი ერთადერთი ფოტოსურათია, ისიც მაშინ არის გადაღებული, როდესაც ფლორენტინოს პერესს ვართმევ ხელს".

***ფლორენტინო პერესი:*** "დიახ, დიდი დრო გავიდა. სანსმა კარგად იცის, რომ მას ყოველთვის ვეპატიჟებოდით სტადიონის ლოჟაში. მაგრამ მან არც ერთხელ არ ისურვა მოსვლა. ოთხი წელი დიდი დროა, თუმცა, არც ისე დიდი, რომ ლორენსო დამვიწყებოდა".

*- რითი განსხვავდება თქვენი პროექტები?*

***ლორენსო სანსი:*** "ფლორენტინოს პროგრამა მარკეტინგს და "გალაქტიკას" ეყრდნობა. ჩემი პროგრამა კი წმინდა სპორტულია".

***ფლორენტინო პერესი:*** "სანსს დიდ პატივს ვცემ, რადგან მე კლუბს ვცემ პატივს. მაგრამ უნდა ვთქვა, რომ კლუბის მმართველობის ორი განსხვავებული ფორმა არსებობს. ერთი არის კუსტარული და ბნელი, მეორე კი - თანამედროვე, პროფესიონალური და გამჭვირვალე. მე სწორედ ამ მეორე ფორმას ვამჯობინებ.

*- არჩევნებზე ხმის მიცემის საკითხმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. პერესს მიაჩნია, რომ ამომრჩევლებს ფოსტითაც უნდა მიეცეთ ხმის მიცემის საშუალება, სანსი კი ამ პროცედურის გაუქმებას მოითხოვს.*

***ლორენსო სანსი:*** "მსგავსი რამ ადრე არასოდეს მომხდარა. დაუშვებელია, რომ მადრიდის "რეალის" პრეზიდენტის ასარჩევად ხალხმა წერილები გზავნოს. ხმის მიცემის პროცედურა ადრე კლუბის ოფისში მიმდინარეობდა, ახლა კი, ალბათ, მაღაზიებსა და სხვადასხვა ფირმების ოფისებში მისცემენ ხმას".

***ფლორენტინო პერესი:*** "სენიორ სანს, ნუ გეშინიათ არჩევნების. თითოეული ხმა ამომრჩევლის, კლუბის წევრის ნებას გამოხატავს. "რეალი" სწორედ თავისი წევრების გამო არის დიადი კლუბი. სენიორ სანსს ეშინია, რადგან ის ერთადერთი პრეზიდენტი იყო, რომელიც საკუთარმა გულშემატკივრებმა არ აირჩიეს. სწორედ თქვენ იყავით ის ადამიანი, რომელიც კლუბის წევრების ხელმოწერებს აყალბებდა. თქვენს დროს არჩევნებში მიცვალებულებიც კი იღებდნენ მონაწილეობას. ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში "რეალში" არ ყოფილა არც ერთი ადამიანი, რომელსაც რაიმე უკანონოს ჩადენის სურვილი ჰქონოდა. მეტიც, სწორედ თქვენ მიმართეთ წერილობით კლუბის წევრებს ნებადართულზე 20 დღით ადრე, თან კარგად იცოდით, რომ ეს უკანონოა. შემდეგ კი გაეცანით მონაცემთა ბაზას, რაც დანაშაულია. არსებობს კანონი, რომელიც მონაცემთა ბაზის ნახვას კრძალავს. არ მესმის, როგორ შეიძლება, ყველგან და ყოველთვის კანონს არღვევდე და, ამავდროულად, ფიქრობდე, რომ სხვებიც ასე იქცევიან. ვფიქრობ, თქვენ გეშინიათ ასეთი არჩევნების. თუ კლუბის წევრები ხმას მისცემენ, თქვენი საქმე არც ისე კარგად იქნება. თითოეულ ჩვენს წევრს მოვუწოდებ, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში და ხმა მისცეს ისეთი ფორმატით, როგორიც მოესურვება. თქვენ გინდათ, ეს თავიდან აიცილოთ, მაგრამ ეს დაუშვებელია".

*ამის შემდეგ სანსი ძალიან ანერვიულდა და შეტევაზე გადავიდა.*

***ლორენსო სანსი:*** "არავითარი მონაცემთა ბაზა არ მინახავს. მონაცემთა ბაზის შედგენა თვითონ დავიწყე რვა წლის წინათ. თითოეულ გულშემატკივარს, რომელსაც ხმის მიცემა სურს, შეუძლია მოვიდეს და მისცეს ხმა. ეს რაღაც ცირკს ჰგავს. არსებობს მაღაზიები, რომლებიც მობილური ტელეფონებით ვაჭრობენ. აი, იქ შეიძლება ხმის მიცემა. მე მოვითხოვ, რომ ფოსტით ხმის მიცემა გაუქმდეს. მე მაქვს მაღაზიების სია, რომლებშიც ხმის მიცემა იქნება შესაძლებელი. თქვენი კანონებით კი არავის ექნება თავისუფლად ხმის მიცემის საშუალება".

*საუბარი ფინანსურ საკითხებსაც შეეხო და მეტად დაძაბული კამათი ატყდა.*

***ლორენსო სანსი:*** "მახსოვს, რომ 2000 წლის 30 ივნისისთვის ჩვენი ვალები 41,6 მილიონ პესეტას შეადგენდა, ხოლო 2003 წლის 30 ივნისისთვის კლუბის დავალიანება 383 მილიონ ევრომდე, ანუ 63,868 მილიონ პესეტამდე გაიზარდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პერესის მმართველობის პერიოდში ვალები 22 მილიონით გაიზარდა. მე არ მჯერა ფლორენტინოს გამოთვლების. არც არავის სჯერა. საბოლოოდ კლუბი იძულებული გახდა, საწვრთნელი ბაზა "სუედად დეპორტივა" გაეყიდა. სამი წლის განმავლობაში კლუბმა 87 მილიონი დაკარგა, ხოლო "სიმენსთან" დადებული კონტრაქტიდან გუნდს მილიონ პესეტაზე მეტი შემოსავალი არა აქვს. ტყუილის თქმა ადვილია. ფლორენტინოს აზიის ტურნეს შესახებ ვკითხე, რადგან მან ადრე განაცხადა, რომ ამ ტურნეს შედეგად კლუბმა ოთხი მილიონის ოდენობის შემოსავალი ნახა. სინამდვილეში შემოსავალი შვიდი მილიონი ევრო იყო.

***ფლორენტინო პერესი:*** "ვფიქრობ, ლორენსო საერთოდ ვერ ერკვევა ციფრებში. ეს თქვენ არ გესმით, სენიორ სანს! ის კლუბის წევრებისა და გულშემატკივრების დარწმუნებას ცდილობს იმაში, რომ ჩვენს მიერ დასახელებული ციფრები სინამდვილეს არ შეესაბამება. 2000 წლისთვის კლუბის ბალანსი 20 მილიონი შემოსავალი და 30 მილიონი გასავალი იყო. კლუბი კრიზისულ მდგომარეობაში იყო. მე დავფარე ეს დავალანებები ფეხბურთელების გაყიდვით (ზეედორფი - 3,6 მილიონი), გავახანგრძლივე კონტრაქტი ტელევიზიებთან (5,8 მილიონი). დავალიანება ადრე 41 მილიონ პესეტას შეადგენდა, ახლა კი მხოლოდ 6,4 მილიონია. ახლა ჩვენს ბიუჯეტში 28,5 მილიონი პესეტაა, იმდენი, რამდენიც არც ერთ სხვა კლუბში. მეტიც, ჩვენი ეკონომიკა სამაგალითოა სხვებისთვის, იმდენად სამაგალითო, რომ ჰარვარდის უნივერსიტეტში მადრიდის "რეალს" ეკონომიკური მოდელის მაგალითად განიხილავენ.

*ლორენსო სანსი "სუედად დეპორტივას" თემას შეეხო.*

***ფლორენტინო პერესი:*** "სუედად დეპორტივას" გაყიდვამ ვალების გასტუმრების საშუალება მოგვცა. დიდი წარმატება იყო ის, რომ საწვრთნელი ბაზა ჩვენ 20 მილიონ პესეტად კი არა, 50 მილიონად გავყიდეთ. თქვენ ფიქრობთ, რომ იმ კლუბის შემოსავალი, რომელიც იაპონიაში ჩატარებული ორი მატჩის სანაცვლოდ 2,4 მილიონ პესეტას იღებს, ადრინდელზე მეტი არ არის? მაგალითად მოვიყვანოთ "ადიდასი", რომელიც ადრე 1,8 მილიონს გვიხდიდა. ეს კომპანია ახლა 6-7 მილიონს გვიხდის. გულშემატკივრებს თქვენ ატყუებთ და არა მე.

***ლორენსო სანსი:*** "სამაგიეროდ, ჩემი მართველობის პერიოდში დიდი წარმატებები ჰქონდა ჩვენს საკალათბურთო გუნდს. ჩვენ ორი ტიტული მოვიპოვეთ, მაშინ როდესაც თქვენს დროს მათ ვერაფერი მოიგეს. კლუბის საკალათბურთო გუნდი ძალიან ცუდად ფინანსდება და ამაზე არავინ საუბრობს. თქვენ ისიც კი არ იცით, თუ ვინ არის კამბალა... ამ საკითხში თქვენ აბსოლუტური მარცხი იწვნიეთ - ვერ მოიგეთ ვერც ერთი ტიტული. ჩემი მმართველობის დროს კი გუნდმა 12 მნიშვნელოვანი ტიტული მოიგო. არადა, იმ რეფორმების შემდეგ, რომლებიც ჩვენ გავატარეთ, ამ გუნდს ყველაფერი უნდა მოეგო. მსგავსი პრობლემაა საფეხბურთო კლუბშიც. თქვენ გააკეთეთ გუნდი, რომელშიც მარკეტინგის ნებისმიერი დეტალი არის გათვალისწინებული, მაგრამ უკანასკნელ სეზონში ვერაფერი მოიგეთ. აცხადებთ, რომ "ზიდანებისა და პავონების" პოლიტიკას ახორციელებთ. ეს, უბრალოდ, სასაცილოა. ვარსკვლავებთან ერთად გუნდში ჯარისკაცებიც უნდა იყვნენ. სიტყვა "გალაქტიკოსმა" ცუდი სამსახური გაუწია გუნდს. ამის გამო "რეალი" ანტიპათიას იწვევს მთელ ესპანეთში. ხშირად მაკრიტიკებენ იმისთვის, რომ ვიყიდე კონგო, ოგნიენოვიჩი... მაგრამ ყველას ავიწყდება, რომ მე რობერტო კარლოსი, პანუჩი და ზეედორფიც ვიყიდე...

მადრიდის "რეალი" ყოველთვის იყო იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა მოექცე კლუბის მთავარ პირებს. თქვენ კი ძალიან ცუდად მოექეცით დელ ბოსკეს. ფეხბურთზე არავითარი წარმოდგენა არა გაქვთ. ბურთი რომ მრგვალია, მხოლოდ იქიდან იცით, რომ სტადიონზე გაქვთ ნანახი. კლუბის წევრი 1980 წელს გავხდი, დირექტორთა საბჭოში 1985 წელს შევედი. ფეხბურთში დაბადებიდან ვარ.

***ფლორენტინო პერესი:*** "ვისენტე ყველას უყვარს ჩვენ კლუბში. ის მეც ძალიან მიყვარს. თქვენ კი მხოლოდ მას შემდეგ დანიშნეთ მწვრთნელად, რაც უარი მიიღეთ ლიპისგან, ვალდანოსგან და კამაჩოსგან. მხოლოდ იმიტომ დათანხმდით დელ ბოსკეს დანიშვნაზე, რომ ყველა დანარჩენმა მწვრთნელმა უარი განაცხადა თქვენთან მუშაობაზე.

# აბრამოვიჩმა, მორიენტესიც მინდაო...

რომან აბრამოვიჩი თავისი გუნდის შეტევითი პოტენციალის გაძლიერებას აპირებს. "ჩელსის" სურს, ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ბომბარდირი შეიძინოს. ჩუკოტკის გუბერნატორის სიაში ერთ-ერთი პირველი ადგილი მადრიდის "რეალის" ფორვარდს ფერნანდო მორიენტესს უჭირავს.

რომან აბრამოვიჩი ფიქრობს, რომ თუ მორიენტესს ხელში ჩაიგდებს, ის, ბოლოს და ბოლოს, დაასრულებს გუნდის შეტევის დაკომპლექტებას, რომელმაც, დიდი კაპიტალდაბანდების მიუხედავად, წლევანდელ სეზონში მინიმალური შედეგი აჩვენა. სწორედ შეტევის გასაძლიერებლად გაფორმდა "ჩელსის" ბოლო რამდენიმე კონტრაქტი. შეგახსენებთ, რომ "არისტოკრატების" შემადგენლობაში გადავიდნენ ჰოლანდიელი არიენ რობენი, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე გამოიჩინა თავი და "პსვ ეინდჰოვენის" სერბი ფორვარდი მატეა კეჟმანი. ამ ფეხბურთელებმა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი და ერნან კრესპო უნდა შეცვალონ. ორივე ფორვარდმა გასული სეზონი იმაზე უარესად ჩაატარა, ვიდრე მოელოდნენ. განსაკუთრებით ეს არგენტინელ ფორვარდზე ითქმის.

ამჟამად აბრამოვიჩს სურს, კიდევ ერთი ფორვარდი შეიძინოს. ჯერჯერობით კეჟმანის საკითხი ჰაერშია გამოკიდებული. სერბმა ფეხბურთელმა ინგლისის შრომის სამინისტროსგან ქვეყანაში მუშაობის ნებართვა უნდა მიიღოს. იმისთვის, რომ გუნდი ამაზე არ იყოს დამოკიდებული, საჭიროა ევროკავშირში შემავალი ქვეყნის ფეხბურთელის შეძენა. მორიენტესი კი ამ მხრივაც იდეალური კანდიდატურაა. მორიენტესი "ჩელსისთვის" საკმაოდ კარგი შენაძენი იქნება.

"არისტოკრატთა" ახალმა მწვრთნელმა, პორტუგალიელმა ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ გუნდს სჭირდება ფორვარდი, რომელიც უშუალოდ საჯარიმო მოედანზე თამაშობს. ამ განსაზღვრების მიხედვით მორიენტესი იდეალური ფეხბურთელია. მით უფრო, რომ მოურინიომ ის ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში, საქმეში ნახა. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ამ შეხვედრაში მორიენტესმა ვერ აჩვენა საუკეთესო ფეხბურთი, ისევე როგორც მთელმა "მონაკომ". აი, აბრამოვიჩმა კი მორიენტესი მთელი თავისი მშვენებით იხილა. კენჭისყრის მიხედვით ისე მოხდა, რომ "ჩელსი" და "მონაკო" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გადაეყარნენ ერთმანეთს. ფინალში საფრანგეთის წარმომადგენლები გავიდნენ და მორიენტესმა ამ საქმეში ლომის წილი დაიდო. მან ორი გოლი გაიტანა იმ ხუთიდან, რომელიც ორრაუნდიან ბრძოლაში ინგლისელთა კარში გავიდა.

ამას გარდა, "რეალში" მორიენტესის ბედი ერთობ გაურკვეველია. გუნდის ახალმა მწვრთნელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ ფეხბურთელს აუხსნა, რომ ახალ სეზონში მისი იმედი აქვს. თუმცა, "სამეფო კლუბში" შეტევის ხაზში უაღრესად დიდი კონკურენციაა. კლუბში ხელშეუხებელი ფეხბურთელების (რაული, რონალდო) არსებობამ მადრიდელები აიძულა, მორიენტესი იჯარის წესით "მონაკოში" გაენათხოვრებინათ. ახლა მორიენტესი "რეალში" კი ითამაშებს, მაგრამ კამაჩოს არ შეუძლია, მას ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაუბევოს.

ამასთან, მორიენტესმა რამდენიმე წლის წინათ უაღრესად მტკივნეულად განიცადა ის, რომ ვისენტე დელ ბოსკე მას მინდორზე პირველივე წუთებიდან არ უშვებდა, იმ შემთხვევებშიც კი, როცა აშკარად ჩანდა, რომ



"ჩელსის" მორიენტესის გადაბირება სურს.

ბრაზილიელი რონალდო საუკეთესო ფორმაში არ იყო. ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთი მატჩის დროს დორტმუნდის "ბორუსიას" წინააღმდეგ, როცა მორიენტესმა მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე მინდორზე გასვლაზეც უარი განაცხადა, ფეხბურთელსა და დელ ბოსკეს შორის კამათი მოხდა.

ამჟამად მორიენტესი კონტრაქტის გაგრძელებას მოითხოვს. "რეალთან" მოქმედი კონტრაქტის ვადა მხოლოდ ორი წლის შემდეგ იწურება, მაგრამ ფეხბურთელს სურს, უკვე ახლა კიდევ ორი სეზონით გააგრძელოს კონტრაქტი. "სამეფო კლუბში" კვირას პრეზიდენტის არჩევნების დღეა და ფლორენტინო პერესს არ სურს, განახორციელოს რაიმე სახის ტრანსფერი მანამ, სანამ კლუბის ახალი პრეზიდენტის ვინაობა არ გაირკვევა. თუმცა, ამას წინათ ესპანურ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ბომბარდირის სანაცვლოდ "რეალი" 20 მილიონ ევროს ითხოვს.

თუ რომან აბრამოვიჩი მორიენტესის შეძენას მტკიცედ გადაწყვეტს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ 20 მილიონი ევრო მისთვის დაბრკოლებად იქცეს. ჩუკოტკის გუბერნატორს "პორტუს" მცველი პაულუ ფერეირაც 20 მილიონი დაუჯდა. არადა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ თანაბარი კლასის შემთხვევაში ფორვარდი უფრო ძვირი ღირს, ვიდრე მცველი. აბრამოვიჩს არც ფეხბურთელის ხელფასი შეაძრწუნებს. "რეალში" მორიენტესი 2,5 მილიონ ევროს გამოიმუშავებს წელიწადში, მაშინ როცა მატეა კეჟმანი "ჩელსიში" 4,8 მილიონ ევროს მიიღებს.

მორიენტესის შეძენა მით უფრო არ იქნება პრობლემა, რომ ჰასელბაინკისა და კრესპოს ტრანსფერის შემდეგ კლუბს დამატებითი თანხა გამოუთავისუფლდება. კრესპოსა და ჰასელბაინკის გაყიდვა კი, როგორც ჩანს, დროის საკითხია. გუშინ ცნობილი გახდა, რომ ფეხბურთელთა შეძენით იტალიის "მილანი" არის დაინტერესებული. ამასთან, ცნობილია, რომ ჰასელბაინკის სანაცვლოდ "ჩელსი" ფულს ვერ მიიღებს. ჰოლანდიელმა თავისუფალი აგენტის სტატუსი მიიღო.

ინფორმაცია გაჩნდა სამუელ ეტო`ოს მადრიდის "ატლეტიკოში" გადასვლასთან დაკავშირებით. შეგახსენებთ, რომ კამერუნელი, რომელიც შარშანდელ სეზონში იჯარის წესით "მალიორკაში" თამაშობდა, აბრამოვიჩის სიაში ფიგურირებდა. თუმცა, ჯერჯერობით "ჩელსიში" თამაშს ის ვერ მოახერხებს. ბუნებრივია, "ატლეტიკო" ლონდონელებზე მეტ ფულს ფეხბურთელში ვერ გადაიხდიდა. აქ საქმე ის არის, რომ "რეალს" არ სურს, კიდევ ერთი ფორვარდი დაუთმოს ლონდონის "ჩელსის". "სამეფო კლუბი" ჯერ კიდევ შარშანდელ სეზონში გამოთქვამდა შეშფოთებას აბრამოვიჩის სატრანსფერო პოლიტიკის გამო და ამასთან დაკავშირებით "მანჩესტერ იუნაიტედთან" მოლაპარაკებასაც აწარმოებდა, თუ როგორ შეეჩერებინათ "წითელი რომა", რომელიც რაულის, ფიგუს, რონალდოსა და რობერტო კარლოსის შეძენაზე იყო ორიენტირებული.

მაშინ "რეალში" აცხადებდნენ, რომ მთელი ევროპული ფეხბურთი საფრთხის წინაშეა, რადგან "ჩელსის", მისი ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, პრაქტიკულად ნებისმიერი ფეხბურთელის გადაბირება შეუძლია.

ადვილი შესაძლებელია, "ატლეტიკოში" ეტო`ოს გადასვლა იმასთან იყოს დაკავშირებული, რომ "რეალს" არ სურს, ჩემპიონთა ლიგაში თავისი კონკურენტი გააძლიეროს. თუმცა, შარშანდელ სეზონში ამას "სამეფო კლუბისთვის" ხელი არ შეუშლია, ფრანგი კლოდ მაკელელე "ჩელსისთვის" დაეთმო.

ჩოგბურთი

# მარია შარაპოვას ოლიმპიადაზე არ უშვებენ

*პარადოქსია, მაგრამ უიმბლდონის ჩემპიონი მარია შარაპოვა ვერ ითამაშებს ათენის 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებზე. ახალგაზრდა ჩოგბურთელი რეიტინგის მიხედვით რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში ვერ ხვდება, ხოლო ათენის ოლიმპიადის ორგანიზატორები მისი გულისთვის რეგლამენტის შეცვლას არ აპირებენ. ჰოდა, დარჩა უიმბლდონის ჩემპიონი ოლიმპიადის მიღმა.*



*შარაპოვა ოლიმპიადის მიღმა რჩება.*

გასულ უქმეებზე ახალგაზრდა მარია შარაპოვამ სენსაცია მოახდინა და 17 წლის ასაკში უიმბლდონის ტურნირი მოიგო. ამით მან გააღვივა ინტერესი ქალთა ჩოგბურთის მიმართ, რომელიც ბოლო დროს ერთობ მისუსტებული იყო, რაკი თითქმის არავითარი სენსაცია არ ხდებოდა. წელიწადნახევრის წინათ პრაქტიკულად ყველა ტურნირს დები უილიამსები იგებდნენ, ხოლო მას შემდეგ, რაც დებმა ტრავმა მიიღეს და ჩოგბურთს თითქმის ექვსი თვით ჩამოშორდნენ, ესტაფეტა მყისვე აიტაცეს ბელგიელებმა - ჟიუსტინ ენინ-არდენმა და კიმ კლიისტერსმა. ამ ფონზე არც ანასტასია მისკინას გამოჩენა ქცეულა სენსაციად (მან საფრანგეთის ღია პირველობა მოიგო). რუსული ჩოგბურთის პირველი ჩოგანი ამ გამარჯვებისკენ დიდხანს და დაჟინებით მიდიოდა და გამოცდილებასა და ოსტატობას იძენდა.

უიმბლდონის ტურნირის შემდეგ პირველი დიდი ტურნირი, რომელშიც შარაპოვას წარმატების იმედი უნდა ჰქონოდა, სწორედ ათენის ოლიმპიური თამაშები იყო, მაგრამ, როგორც ვთქვით, რუსი ჩოგბურთელი ამ ტურნირზე ვერ ითამაშებს.

საქმე ის არის, რომ ყოველ ქვეყანას შეუძლია, რეიტინგის მიხედვით ოთხი საუკეთესო ჩოგბურთელი წარადგინოს ოლიმპიადაზე. შერჩევა ახლა რომ მომხდარიყო, შარაპოვა გუნდის შემადგენლობაში მოხვდებოდა (უიმბლდონის ტურნირის შემდეგ ის მერვე ადგილზეა და ახლა რუსეთის ნომერ მესამე ჩოგნად მიიჩნევა), მაგრამ განაცხადების მიღების ვადა 14 ივნისს ამოიწურა, როცა შარაპოვა რეიტინგის მიხედვით არც ისე მაღალ ადგილზე იყო. ამრიგად, რუსეთის ნაკრებს ოლიმპიურ თამაშებზე ანასტასია მისკინა, ელენა დემენტიევა, ნადეჟდა პეტროვა და სვეტლანა კუზნეცოვა წარმოადგენენ. შარაპოვა ოლიმპიურ თამაშებზე ერთ-ერთი მათგანის ტრავმის შემთხვევაშიც კი ვერ მოხვდება, რადგან სათადარიგო ჩოგბურთელად ვერა ზვონარევა არის დასახელებული.

თუმცა, შარაპოვას ამ შემთხვევაშიც კი შანსი ჰქონდა. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 17 წლის ჩოგბურთელს შეეძლო, ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი ვარსკვლავი გამხდარიყო, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ITF), რომლის ეგიდითაც ტარდება ოლიმპიური საჩოგბურთო ტურნირი, შეიძლება კომპრომისზე წასულიყო.

თუმცა, ITF-მა უარი განაცხადა რეგლამენტის შეცვლაზე და ამიტომ შარაპოვას მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე მოცდა მოუწევს.

"ძალიან სამწუხაროა, რომ შარაპოვა ოლიმპიადაზე ვერ გაემგზავრება, მაგრამ ყველა ადგილი უკვე განაწილებულია - განაცხადა ITF-ის გენერალურმა მდივანმა დები იევანსმა, - პრობლემა მხოლოდ ის არის, რომ რუსეთის ნაკრები ძალიან ძლიერია. ჩოგბურთელებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ირჩევს. ჩვენ კი მხოლოდ განაცხადების შემოტანის ვადებს ვადგენთ. რაკი ჩოგბურთში რეიტინგი არსებობს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ამ რეიტინგით სარგებლობს. რაც შეეხება ვადებს, 14 ივნისი მაქსიმალურად ოპტიმალური ვადაა".

თუმცა, ჩოგბურთში არსებობს ცნება "ველური ბარათი" - თავისუფალი დაშვება ტურნირებზე იმ ჩოგბურთელთათვის, რომლებმაც სხვებთან ჭიდილში ვერ მოახერხეს იქ მოხვედრა, რეიტინგში დაბალ საფეხურზე არიან ან ამ ტურნირამდე, უბრალოდ, პროფესიულ კორტზე არ გამოსულან.

"ოლიმპიადაზე "ველური ბარათი" არ მოქმედებს, - განაცხადა იევანსმა, - როგორ უნდა ემოქმედა ბარათს, როცა თითოეულ ნაკრებს მხოლოდ ოთხი ჩოგბურთელის წარდგენა შეუძლია".

მიუხედავად იმისა, რომ შარაპოვა 7 წლის ასაკიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს და ფლორიდაში, ნიკ ბოლეტიერის ჩოგბურთის აკადემიაში ვარჯიშობს, მას სურს, რუსეთის ნაკრებში მოსინჯოს ძალები და ამ შანსს ელოდება. შარაპოვას დებიუტი შეიძლებოდა მომავალ უქმეებზე შემდგარიყო, როცა ფედერაციის თასის გათამაშებაში რუსეთის ქალთა ნაკრები არგენტინას ხვდება, მაგრამ რუსეთის ჩოგბურთის ფედერაციის შეფმა შამილ ტარპიშჩევმა ის ნაკრებში იმ მიზეზით არ ჩართო, რომ ბალახის კორტიდან გრუნტზე გადართვა გაუჭირდებაო.

### პროფესიონალ ჩოგბურთელ ქალთა ახალი რეიტინგი

| | |
|---|---|
| ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია) | 5307 |
| კიმ კლიისტერსი (ბელგია) | 4421 |
| ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 4031 |
| ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 3720 |
| ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 3297 |
| ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2884 |
| ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 2758 |
| მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2386 |
| სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2113 |
| აი სუგიამა (იაპონია) | 1925 |
| პაოლა სუარესი (არგენტინა) | 1913 |
| ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) | 1857 |
| ვერა ზვონარევა (რუსეთი) | 1748 |
| სერენა უილიამსი (აშშ) | 1649 |
| ვინუს უილიამსი (აშშ) | 1640 |
| პეტი შნაიდერი (შვეიცარია) | 1620 |
| ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) | 1471 |
| ანა პისტოლეზი (ისრაელი) | 1468 |
| სილვია ფარინა-ელია (იტალია) | 1233 |
| კაროლინა სპრემი (ხორვატია) | 1233 |

რაგბი

# პატარა დიდი რაგბი თბილისში

ჭაბუკ მორაგბეებს გუშინ ნამდვილი ზეიმი ჰქონდათ. ახალგაზრდა მორაგბეებს შორის თბილისში ერთბაშად ორი ფინალი გაიმართა და ორივე საქართველოს თასის ფინალი იყო. პირველ მატჩში საქართველოს თასი 1987-1988 წლებში დაბადებულმა მორაგბეებმა გაითამაშეს. ერთმანეთს შეხვდნენ "დეგა" და "ხულიგანა". მატჩი იმდენად დაძაბული აღმოჩნდა, რომ გამარჯვებულის ვინაობა ერთადერთმა ქულამ გადაწყვიტა - 23:22 "დეგამ" გაიმარჯვა. მეორე ფინალი კი 1989-1990 წლებში დაბადებულმა ჭაბუკებმა გამართეს. "არმაზმა" 36:5 სძლია ქუთაისის "აიას" და თავის ასაკობრივ ჯგუფში საქართველოს თასს დაეუფლა.

ცურვა

# ლონგ ბიჩზე წყალი სარეკორდოდ ადუღდა

*იშვიათად, რომ კარს მომდგარი ოლიმპიური თამაშების წინ რომელიმე სპორტსმენმა მსოფლიო რეკორდით გამოიჩინოს თავი. ყველა თავს ზოგავს უმთავრესი ასპარეზობებისთვის ან შესაბამის კონდიციამდე მისვლას ოლიმპიურ არენაზე ელის. ერთი ასეთი გამონაკლისი აღმოჩნდა მაიკლ ფელპსი, ამერიკელი მოცურავე, რომელმაც ლონგ ბიჩზე, საოლიმპიადო ნაკრებში მოსახვედრ თუ შესარჩევ ასპარეზობაზე ყველაზე სწრაფად გაცურა.*

ბიბა ბურასაშვილი

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ამერიკელთა ერთ-ერთი მთავარი იმედი ოლიმპიურ წყალში, შესაძლოა, სწორედ ფელპსი იყოს. მათ, ვისაც ცისფერი ბილიკები იზიდავს, გავანდობ: ათენის ოლიმპიური თამაშები ერთგვარი დუელი იქნება ამერიკელი ფელპსისა და ავსტრალიელი იან ტორპის მონაწილეობით. ორივეს მიზანი ლეგენდარული ამერიკელი მოცურავის მარკ სპიცის მიღწევის, დამხობა თუ არა, გამეორება იქნება. ერთი სიტყვით, ფელპსი და ტორპი ყველაფერს იღონებენ იმისთვის, რომ ერთ ოლიმპიურ თამაშებზე ოლიმპიური წყლიდან ერთბაშად შვიდი ოქროს მედლით ამოვიდნენ. ასეთი რამ კი დღემდე მხოლოდ მარკ სპიცმა შეძლო: მიუნხენის ოლიმპიური თამაშები შვიდგზის ოლიმპიური ჩემპიონის რანგში დატოვა. აქვე გეტყვით, რომ ოლიმპიური თამაშების ისტორიაში სულ ოთხი სპორტსმენია, რომლებმაც საკუთარი სახელი ცხრაგზის ჩემპიონებად უკვდავყვეს. ერთ-ერთი მათგანი სწორედ მარკ სპიცია. ამგვარ შედეგთან ყველაზე ახლოსაა იან ტორპი - მას სიდნეის ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონობა უმაგრებს ზურგს.

და მაინც, რა ხდება ლონგ ბიჩზე? ორი დღის წინათ ამერიკის დასავლეთ სანაპიროზე სტარტი აიღო ასპარეზობამ, რომელიც საოლიმპიადო ნაკრების ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად. შესარჩევი თუ საკვალიფიკაციო გაცურვები რვა დღეს გასტანს. შეჯიბრებამ იმით მიიქცია ყურადღება, რომ პირველივე დღეს მსოფლიო რეკორდი დამყარდა. 19 წლის ფელპსმა 400 მეტრზე კომპლექსურში შარშან ბარსელონის მსოფლიო ჩემპიონატზე დამყარებული მსოფლიო რეკორდი (4.09.09) გააუმჯობესა - 4.8.41. სხვათა შორის, ბარსელონაში ფელპსმა ხუთი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ფელპსი ოთხივე დისციპლინის (ბატერფლაი, გულაღმა, ბრასი და კროლი) ჯამში მსოფლიო რეკორდის შესაბამის დროში მიცურავდა.

"შესარჩევები, ალბათ, უფრო დაძაბულია, ვიდრე თავად ოლიმპიური თამაშები", - ამბობს ფელპსი და იქვე ამატებს, რომ ოლიმპიური თამაშებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯით კმაყოფილია.

ამერიკელთა იმედი ათენში, სავარაუდოდ, ექვს ინდივიდუალურ დისციპლინაში (100 და 200 მეტრზე ბატერფლაი, 200 მეტრი თავისუფალსა და გულაღმაში და 200 და 400 მეტრზე კომპლექსურებში) და, ალბათ, ორ ან სამ ესტაფეტაშიც გამოვა.

200 და 400 მეტრზე კომპლექსურები, რომელიც ამერიკელისთვის საფირმო დისციპლინებად ქცეულა, ის გამონაკლისებია, რომელშიც ფელპსს, ალბათ, ვერავინ შეეცილება. მას 200 მეტრზეც ეკუთვნის მსოფლიოს საუკეთესო შედეგი. ამ დისციპლინაში ხუთჯერ აქვს გაუმჯობესებული მსოფლიო რეკორდი. რაც შეეხება 400 მეტრს, აქ ოთხჯერ დაუფლებია მსოფლიოს უსწრაფესი მოცურავის სახელს (მეოთხედ - ორი დღის წინათ).

ავსტრალიელი ტორპის საფირმო დისციპლინები თავისუფალი სტილით ცურვაა. ასე რომ, ფელპსისა და ტორპის გზები ესტაფეტაში გადაიკვეთება. თუმცა, შესაძლებელია, მათი დაპირისპირება მაინც ვიხილოთ - 200 მეტრზე თავისუფალში. ეს ის დისციპლინაა, რომელშიც ავსტრალიელი არაერთ მსოფლიო რეკორდსა და სიდნეის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალს ფლობს. დუელში კი უფრო მედლების რაოდენობას ვგულისხმობდით.

მოკლედ

# "ტოიოტა" - რალფის გიჟური გამოწვევა

*გუშინდელ ნომერში რალფ შუმახერის - "BMW-უილიამსის" გერმანელი პილოტის "ტოიოტასთან" საქმის დაჭერის შესახებ ვიუწყებოდით. ვიუწყებოდით მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონის უმცროსი ძმის მიერ იაპონელებთან გაფორმებულ სამწლიან ხელშეკრულებაზე. ახლა, ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი დღის თავზე, რალფ შუმახერი იმედოვნებს, რომ ეს ნაბიჯი მას დროთა განმავლობაში წარმატებას მოუტანს. შესაძლოა, ჩემპიონის ტიტულსაც კი. გთავაზობთ გერმანელი მრბოლის ინტერვიუს, რომელშიც "უილიამსის" შესახებაც შეიტყობთ და იმის თაობაზეც, თუ როგორ გრძნობს თავს პილოტი "აშშ-ის დიდ პრიზზე" ავარიის შედეგად მიღებული ტრავმების შემდეგ.*



*რალფ შუმახერი ალბათ აღარასოდეს ჩაჯდება "უილიამსში".*

**- უკვე ოფიციალურადაა დადასტურებული, რომ მომავალი სეზონიდან "ტოიოტაში" იქნები. ხომ არ შეგიძლია, უფრო დაწვრილებით გვითხრა ამის შესახებ?**

- ამის ახსნა ძალზე მარტივია. დარწმუნებული ვარ, BMW-ში ბრწყინვალედ გავატარე დრო და ბევრად ვარ ვალში ფრენკ უილიამსთან და BMW-სთან. ექვსწლიანი თანამშრომლობის შემდეგ ვტოვებ გუნდს. სამწუხაროდ, იმ შედეგების გარეშე, რომლის მიღწევაც მსურდა. უნდა ვაღიარო, პერსპექტივაში საკუთარ თავს სხვა გუნდის შემადგენლობაში ვხედავდი. ამიტომაც გადავწყვიტე "ტოიოტაში" გადასვლა.

**- მიგაჩნია თუ არა, რომ უახლოეს წლებში ამ გუნდს რეალურად შეუძლია, გახდეს ძლიერი? ბევრი ფიქრობს, რომ გადასვლა უკან გადადგმული ნაბიჯია.**

- უბრალოდ, თვალი უნდა გაახილოთ და დაინახოთ, თუ რა ხდება დღეს. თუ გასულ შაბათ-კვირას ადევნებდით თვალყურს (საუბარია საფრანგეთის დიდ პრიზზე.-რედ.), მიხვდებოდით, თუ ვინაა დღეს პირველი ნომერი. ახლა არ არსებობს არც ერთი გუნდი, რომელიც "ფერარის" დამარცხებას შეძლებდა. არ არსებობს არც ერთი გუნდი, "ფერარის" გარდა, რომელთანაც მომავალ სეზონში ტიტულისთვის ბრძოლას შევძლებდი. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, "ტოიოტა" ძალზე ძლიერი გუნდია. მას ბრწყინვალე შესაძლებლობები აქვს და ბრწყინვალე თანამშრომლები ჰყავს. ეს ახალგაზრდული გუნდია, ამიტომაც "ტოიოტა" გიჟური გამოწვევაა. ის გამოცდილება, რომელიც მე მაქვს, საშუალებას მომცემს, გუნდს შევაშველო და მასთან ერთად წარმატებას მივაღწიო. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ამას შევძლებთ.

**- წლეულსვე გნახავთ "ტოიოტაში"?**

- არა. ალბათ, უფრო წლის ბოლოს, ტესტებზე, ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ. ახლა ჩემი უმთავრესი საზრუნავია, რაც შეიძლება სწრაფად დავუბრუნდე ბოლიდის საჭეს და წლეულსვე ვაჩვენო კარგი შედეგები.

**- საქმეები როგორ მიდის?**

- ყველაფერი რიგზეა. მხოლოდ ცოტათი მტკივა ზურგი. რაღაც მოძრაობები ტკივილს მაყენებს. მაგალითად, ძალიან მიჭირს თასმების შეკვრა. მაგრამ არც ისე ცუდადაა საქმე. მალე ფორმაში ვიქნები.

**- სახლში გადაადგილება თუ გიჭირს, სპორტს თუ მისდევ?**

- ახლა ფიზიოთერაპიის კურსს გავდივარ. სირბილი ჯერ არ შემიძლია. ჯერჯერობით მხოლოდ ველოსიპედის სატერფულების ტრიალს ვახერხებ, ოღონდ გაჭიმული უნდა ვიჯდე. გადაადგილება ჯერ კიდევ მიჭირს.

**- ტრასაზე როდის გიხილავთ?**

- ჩემი ნება რომ იყოს, სილვერსტოუნზეც (ბრიტანეთის გრან-პრი, 11 ივლისი.-რედ.) სიამოვნებით მივუჯდებოდი საჭეს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს შეუძლებელია. სრულ გამოჯანმრთელებამდე უნდა მოვიცადო. ახლა ტრასაზე დაბრუნებაზე ვოცნებობ.

**- რეალურად როდის გგონია, რომ დაბრუნდები?**

- ყველა ექიმი (ოთხ ექიმთან გავიარე კონსულტაცია) ერთხმად ამბობს, რომ აღდგენითი პროცესი რვიდან თორმეტ კვირამდე გასტანს. რამდენიმე კვირაში გამოჩნდება, თუ რამდენად შეხორცდა ძვლები.

**- ძმა თუ გიდგას გვერდში, რომელსაც აქვს ავარიისა და ტრავმის გამოცდილება?**

- ჩემთვის ახლა უმთავრესია საკუთარი ოჯახი და ჩემი ცოლი, რომელიც დღედაღამ ჩემზე ზრუნავს. მისთვის ძალზე მძიმე იყო შორიდან ჩემი ავარიის ხილვა (რალფის მეუღლე "აშშ-ის დიდ პრიზს" შინიდან, ავსტრიიდან ადევნებდა თვალყურს.-რედ). ამის გამო ზოგიერთებმა გააკრიტიკეს კიდეც, ავარიის შემდეგ შენ გვერდით რატომ არ იყოო. მაგრამ რა ექნა, ის ხომ ძალიან შორს იყო და ბევრი მძიმე წუთიც გადაიტანა.

TV-სპორტი

### პარასკევი. 9 ივლისი

**НТВ+ФУТБОЛ**

06:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: შაკილ ო`ნილი. მეორე ნაწილი
06:30 NBA TV. სეზონი 2003-2004. "PORTLAND TRAIL BLAZERS" - "LOS ANGELES LAKERS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ამერიკის თასი. კოსტა-რიკა - პარაგვაი
14:00 ამერიკის თასი. ბრაზილია - ჩილე
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
16:30 "FUTBOL MUNDIAL"
17:00 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "ლაციო" - "რომა"
18:45 "დარტყმა გოლისთვის"
19:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 ამერიკის თასი. კოსტა-რიკა - პარაგვაი
21:35 ამერიკის თასი. ბრაზილია - ჩილე
23:20 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "საუთჰემპტონი"
01:05 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:35 01:35-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ლარი ბერდი
03:30 NBA TV - დღიური
04:00 NBA TV. WNBA ჩემპიონატი. "MINNESOTA LYNX" - "PHOENIX MERCURY".

**НТВ+СПОРТ**

10:00, 16:00, 19:15, 21:00 პრესცენტრი
10:15, 21:15 "ოლიმპის შვილები"
10:20, 14:45 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 მძლეოსნობა. "ძმები ზნამენსკების მემორიალი". შესვენებისას (13:00) - პრესცენტრი
15:05 ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი ლიბიაში
15:35 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
16:15 "სპორტის აკვატორია"
16:45 კანადის თასი 1976: "კანადის თასიდან მსოფლიო თასამდე"
17:15 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
17:45 ტაილანდური კრივი
18:45 "ნადირობის სეზონი"
19:30 ფრენბურთი. მსოფლიო სერია გრან-პრი იაპონიაში. ქალები. პოლონეთი - რუსეთი
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
22:00 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
22:30 საცხენოსნო შოუ პარიზის სპორტის სასახლე "ბერსიში"
00:00 ახალი ამბები
00:15 "ნადირობის სეზონი"
00:45 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
01:15 01:15-დან 02:25-მდე შესვენება
02:25 ფეხბურთი. ამერიკის თასი. კოლუმბია - ბოლივია. პირდაპირი ტრანსლაცია
04:40 ფეხბურთი. ამერიკის თასი. პერუ - ვენესუელა. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

10:30 მულტისპორტი
11:00 სპიდვეი. დანიის გრან-პრი
12:00 ფეხბურთი. ალპური თასი ავსტრიაში
12:30 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
14:00 ფეხბურთი. ალპური თასი ავსტრიაში
14:45 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა
15:00 კრივი
16:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
20:00 ფეხბურთი. ალპური თასი ავსტრიაში
22:00 ფეხბურთი. ალპური თასი ავსტრიაში
00:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
01:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
01:30 ევროსპორტის სიახლენი
01:45 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო)
02:45 ტხეკვანდო. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი აზერბაიჯანში
03:15 ევროსპორტის სიახლენი

# ფერეიდნელ ქართველებთან კულტურული ურთიერთობების გაშლა-გაღრმავების აქტუალური საკითხები

ჯემშიდ გიუნაშვილი

*პროფესორი ჯემშიდ გიუნაშვილი 1994 წლის ოქტომბრიდან 2004 წლის 28 აპრილამდე ასრულებდა ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობას.*
*იგი დაიბადა 1931 წელს თეირანში (ირანი) ინჟინერ შალვა გიუნაშვილის ოჯახში, 1947 წელს რეპატრიაციით ჩამოვიდნენ საქართველოში, ხოლო 1951 წელს გადასახლებული იქნენ სამხრეთ ყაზახეთში.*
*ელჩის თანამდებობაზე დანიშვნამდე გიუნაშვილი წლების მანძილზე ბრძანდებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე და ინდურ-ირანული ენების განყოფილების ხელმძღვანელი. იგი გახლდათ თსუ ირანული ფილოლოგიის კათედრის და თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის პროფესორი. არის ევროპელ ირანისტთა საზოგადოების წევრი.*
*ბატონი ჯემშიდი ბავშვობიდანვე ეზიარა ფერეიდნელ ქართველთა თემას.*

ირანი (1935 წლამდე სპარსეთი) წინა აზიის უძველესი სახელმწიფოა. იგი ჩვენი ქვეყნის იმ მეზობელ პოლიტიკურ-კულტურულ წარმონაქმნთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებთან ურთიერთქმედების ფონზეც ვითარდებოდა საქართველოს სახელმწიფო. აქემენიანთა ბატონობის ხანიდან (VI-V სს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) XIX საუკუნემდე, თითქმის უწყვეტად, ირანი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სამხრეთ კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს ირგვლივ გეოპოლიტიკურ ძალთა განაწილებაში.

საქართველო, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი რგოლი, ექცეოდა ხოლმე ირანის იმპერიის გეოპოლიტიკური ინტერესების ეპიცენტრში, რასაც ხშირად მოჰყვებოდა სისხლისმღვრელი ომები, საქართველოს მოსახლეობის დარბევა და გადასახლება.

ჩვენს დროში ირანმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა სცნო ახალი საქართველო. ირანი მტკიცედ იცავს საქართველოს საზღვრების ხელშეუხებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს, მხარს უჭერს "მშვიდობიანი კავკასიის" ინიციატივას.

საუკუნეების მანძილზე სამსახურში აყვანილი თუ ტყვედ წაყვანილი ქართველების არსებობა ირანში მრავალი ისტორიული წყაროს მიხედვით დასტურდება, მაგრამ სეფიანთა პერიოდის მმართველთა, განსაკუთრებით კი შაჰ-აბას პირველის (1587-1629) "ძალისხმევა" მასშტაბურობითა და ქართველი ხალხისათვის უმძიმესი შედეგებით გამოირჩეოდა.

შაჰ-აბასის მიერ ქართლ-კახეთის მრავალგზის დარბევის შემდეგ ათობით ათასი ქართველის აყრა-გადასახლების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა ქართველთა კოლონიების ცოცხალ "ფარად" გამოყენება და დასახლება სტრატეგიულად მნიშვნელოვან რაიონებში, სადაც მოსალოდნელი იყო ურჩი ტომების თავდასხმები, ან მიზანშეწონილად ითვლებოდა ინტენსიური მეურნეობის დანერგვით ამა თუ იმ მხარის კეთილმოწყობა და ეკონომიკური დონის ამაღლება.

სეფიანთა მმართველობის დროს ქართული დასახლებები ძირითადად დაარსდა ირანის კასპიის ზღვის სანაპირო ზოლში, ხორასანში, ირანის ცენტრალურსა და დასავლურ რაიონებში. XVII საუკუნის ბოლოსათვის უკლებლივ ყველა ქართველი გაამაჰმადიანეს, ხოლო XVII-XIX საუკუნეების განმავლობაში, ფერეიდნელების გარდა, ყველა გადასახლებულმა ქართველმა დაკარგა მშობლიური ენა.

ფერეიდანი, რომელიც ამჟამად შეიცავს ორ რაიონს, ფერეიდუნშაჰრსა (ზემო მარტყოფი) და ფერეიდანს (დარან-მიანდაშთ), მდებარეობს ირანის ცენტრალურ მთიანეთში ისპაჰანის დასავლეთით და სამანქანო გზის გაყვანამდე ძნელად მისადგომი ადგილი იყო. ისტორიული ფერეიდანის 12 სოფელში, ქართველების გარდა, სხვადასხვა პროპორციით ბინადრობენ სპარსელები, სომხები, ირანული მოდგმის ტომები (ბახთიარები, ლორები და ქურთები), აგრეთვე თურქულენოვანნი.

XVIII საუკუნის ბოლოს საქართველოში უკვე იცოდნენ, რომ ქართველთა დიდი კოლონია არსებობს ფერეიდანში. 1871 წელს პირველი ფერეიდნელი იოთამა ონიკაშვილი ბაქოდან ჩავიდა თბილისში. იგი ერთი ინგლისელი ინჟინრის მსახური იყო, რომელმაც სამშობლოში დაბრუნებისას ბაქომდე თან გაიყოლია იოთამა. ფერეიდნელის ჩასვლას ფართოდ გამოეხმაურა ქართული საზოგადოებრიობა. იოთამამ კარგად შეისწავლა ქართული ენა, დაეწაფა ქართულ ლიტერატურას, ქართველი ქალიც შეირთო, მაგრამ, სამწუხაროდ, 80-იან წლებში ტრაგიკულად დაიღუპა.

ქართული ენის პირველი მასწავლებელი სათავადაზნაურო სასწავლებელში, ქართველ მომღერალთა პირველი გუნდის დამაარსებელი ლადო აღნიაშვილი იყო პირველი ქართველი, რომელიც 1894 წელს საკუთარი ინიციატივითა და სახსრებით გაემგზავრა ფერეიდანში. ამ მოგზაურობის შედეგი აისახა 1896 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში "სპარსეთი და იქაური ქართველები".

1916 წელს ქართული ესკადრონის მეთაური შტაბს-კაპიტანი პავლე ლორთქიფანიძე ჩავიდა ფერეიდანში და ერთხანს ფერეიდნელი სეიფოლა ხან იოსელიანის სტუმარი იყო. ბ-ნმა პავლემ თავისი შთაბეჭდილებები იმავე წელს გამოაქვეყნა გაზეთ "სახალხო ფურცლის" 601-ე ნომერში. თავის მხრივ, ლორთქიფანიძემ თითქმის ორი თვის განმავლობაში უმასპინძლა სეიფოლა ხან იოსელიანს, რომელიც 1922 წელს ჩავიდა საქართველოში. ფერეიდნელთა თავკაცი იმ დროისათვის ფრიად განათლებული და თანამოძმეთა ყოფაცხოვრების საუკეთესო მცოდნე იყო. მისი მონათხრობი საფუძვლად დაედო ფერეიდნელთა მეტყველების ნიმუშების პირველ მეცნიერულ პუბლიკაციებსა და ფერეიდნული კილოს ლინგვისტურ ანალიზს.




*ირანის ისლამური რესპუბლიკის პრესა საქართველოს შესახებ.*

დიდი ამაგი დასდო ფერეიდნელთა შესახებ ცოდნის გაშლა-გაღრმავების საქმეს ირანში საბჭოთა ბანკის თანამშრომელმა ამბაკო ჭელიძემ, რომლის ძვირფასი ცნობები გამოქვეყნდა ცალკე წიგნად "ფერეიდნელი ქართველები" (1951) და წერილში "ფერეიდანში" (ჟურ. "ცისკარი", 1958, №1). 1929 წელს ირანიდან დაბრუნებისას ჭელიძეებმა თან წამოიყვანეს 6-7 წლის ფერეიდნელი ბიჭუნა ამირხანი (ამირან) პაპიაშვილი. უკვე მეექვსეკლასელი ამირხანი ჭელიძეებმა უკან დააბრუნეს ფერეიდანში.

ზუსტი სტატისტიკური ცნობები ირანში ქართველთა რიცხვის შესახებ არ არსებობდა და არც ამჟამად არსებობს. ყველაზე სანდო მონაცემებს გვთავაზობს ფერეიდუშაჰრის მკვიდრი, ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალისტი მოჰამად სეფიანი. მან ჩაატარა მასშტაბური საველე მუშაობა და ზედმიწევნით შეისწავლა 1956 წლის აღწერასთან დაკავშირებული მასალები. მისი მონაცემებით, ირანში საყოველთაო აღწერის წელს ფერეიდანში მცხოვრებ ქართველთა რიცხვი უდრიდა 17 665 კაცს. სეფიანის ცნობით, იმ დროს ქართველთა 99 პროცენტი მისდევდა სოფლის მეურნეობასა და მეცხოველეობას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მაშინ (მოჰამადრეზა ფეჰლევის მიერ ჩატარებულ აგრარულ რეფორმამდე) ფაქტობრივად ყველა ქართველი ბატონყმურ დამოკიდებულებაში იყო.

1956 წელს ირანის მოსახლეობა შეადგენდა 18 954 000 სულს. ამჟამად მოსახლეთა რიცხვი უდრის 66 მილიონს. ამრიგად, ირანის მოსახლეობა 1956-2003 წლების მანძილზე თითქმის 3,4-ჯერ გაიზარდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართველების რიცხვმაც ამავე პროპორციით იმატა. ამრიგად, შეიძლება დავუშვათ, რომ ფერეიდნელთა რიცხვი თანამედროვე ირანში უდრის 58-60 ათას სულს.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ უკანასკნელი 25-30 წლის მანძილზე ირანში, კერძოდ კი ქვეყნის სოფლებში, ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან სოციალურ ძვრებს და ინტენსიურ მიგრაციულ პროცესებს, რის შედეგადაც ფერეიდნელთა თითქმის ნახევარი გადასახლდა ისპაჰანში, თეირანში და ირანის სხვა ქალაქებში.

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ფუნქციონირების დაწყებიდანვე (1994 წ. 31 ოქტომბერი) ფერეიდნელ ქართველებთან მუშაობა მიჩნეული იყო მოღვაწეობის მნიშვნელოვან სფეროდ.

სამუშაო პროგრამების შემუშავებისას, საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის დარგში ჩვენი მოღვაწეების გამოცდილებას გარდა, აგრეთვე გასათვალისწინებელია შემდეგი არსებითი მომენტები:

- ირანელის ცხოვრების ყველა სფერო რეგლამენტირებულია ისლამური ადათ-წესებით. სამოცდაექვსმილიონიან მრავალეროვან რესპუბლიკაში, სადაც სპარსელები უმცირესობაში არიან, ეროვნული უმცირესობები დე იურე არ არსებობენ, აქ ცნობენ რელიგიურ უმცირესობებს (ცეცხლთაყვანისმცემლებს, იუდეველებსა და ქრისტიანებს), რომლებიც სრული მოცულობით სარგებლობენ კულტურული ავტონომიით (საბავშვო ბაღი, სკოლა, ეკლესია, კლუბები, ჟურნალ-გაზეთები, კვოტები პარლამენტში). არსებული კანონების რეალიზაციის შედეგი გახლავთ ის, რომ, მაგალითად, თითქმის 20 მილიონიან მაჰმადიან შიიტ აზერბაიჯანულ თემს არ აქვს ეროვნული სკოლები, თეატრები და ა.შ., მაშინ როცა 50-80-ათასიან რომელიმე რელიგიურ უმცირესობას გააჩნია კულტურული ავტონომიის ყველა ატრიბუტი. ეს არ გახლავთ დისკრიმინაცია, ეს არის კონსტიტუციით გათვალისწინებული წესის ცალსახა დაცვა.

- ფერეიდნელი ქართველები სრულუფლებიანი წევრები არიან ირანის მუსლიმური თემისა და მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მათგანი გამოხატავს პროქართულ გრძნობებს, მასაში ისინი მორწმუნე მუსლიმები არიან და, არცთუ ისე იშვიათად, ფანატიკურად განწყობილნიც.

- ირანის ოფიციალური ინსტანციები მწვავედ რეაგირებენ ეროვნული ხასიათის ინიციატივებსა და წამოწყებებზე. ამ ასპექტით მეტად აქტიურ ფერეიდნელებს ისინი ზოგჯერ "ალმზრდელობითი" ხასიათის ღონისძიებებს უტარებენ. ირანის სპეცსამსახურები სრულად ფლობენ ინფორმაციას საქართველოს მოქალაქეების ყოველგვარი კონტაქტების შესახებ ფერეიდნელ ქართველებთან.

- საშუალო სკოლის პროგრამები და სახელმძღვანელოები ძირითადად პასუხობენ საერთაშორისო პრაქტიკაში არსებულ სტანდარტებსა და ნორმებს. ფერეიდუნშაჰრისა და ფერეიდანის რაიონების სკოლებში ფუნქციონირებს კარგად აღჭურვილი ლაბორატორიები და კომპიუტერული კაბინეტები. ირანელი მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ რეგიონულ და საერთაშორისო ოლიმპიადებში, მაგრამ სკოლა გარკვეული მნიშვნელობით წარმოადგენს ჩაკეტილ სისტემას, ე.ი. ბავშვის ფორმირება და ჩამოყალიბება ხდება მხოლოდ მკაცრად დადგენილი საწყისებისა და წინამძღვრების საფუძველზე. ამიტომ საშუალო სკოლის მოსწავლეების გაცვლას, ერთობლივი საზაფხულო ბანაკების მოწყობას და ა.შ., პრაქტიკულად არ აქვს ადგილი ირანში.

- უმაღლეს სასწავლებლებში 1 600 000 სტუდენტი სწავლობს, მათ შორის ნახევარზე მეტს ქალიშვილები შეადგენენ. როგორც ფერეიდუშაჰრში, ისე დარანში (ფერეიდანის რაიცენტრი) დაარსებულია უმაღლესი სასწავლებელი. თითოეულში სწავლობს ათასამდე სტუდენტი. ირანის უმაღლესი განათლება ღია სისტემაა. ადგილი აქვს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლას. ყოველწლიურად, გარდა კერძო ინიციატივებისა, რამდენიმე ათასი სტუდენტი და ასპირანტი სახელმწიფო სტიპენდიებით განაგრძობს სწავლას ევროპისა და ამერიკის ცენტრებში. მაგრამ ირანელი ახალგაზრდები (მათ შორის ფერეიდნელებიც) არსებითად არ იჩენენ დიდ ინტერესს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მიმართ იმიტომ, რომ ირანში არ ცნობენ საქართველოში გაცემულ სასწავლო დოკუმენტებს. ამჟამად მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი ფერეიდნელი ენთუზიასტი სწავლობს საქართველოში.

- ირანის საზოგადოებაში (განსაკუთრებით სოფლად) მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნების შედეგად გაძლიერდა მიგრაციული პროცესები. ამჟამად ქართულად მოუბარ ფერეიდნელთა თითქმის ნახევარი (25-30 ათასი) სოფლად აღარ ცხოვრობს. ყველა ახალგაზრდა და საშუალო ასაკის ფერეიდნელმა იცის სპარსული წერა-კითხვა. ფერეიდნელთა შორის გაჩნდა ინტელიგენციის შედარებით მრავალრიცხოვანი შრე (ოფიცრები, პროფესორ-მასწავლებლები, თეოლოგები, ინჟინრები, ექიმები). მაღალ დონეზე აღჭურვილ ფერეიდუნშაჰრის საავადმყოფოში 25 ექიმიდან 18 ქართულად მოუბარია. თუ 50-100 წლის წინ ფერეიდნელი ქართველისათვის ქართული და სპარსული ენები ერთნაირი სოციალური ღირებულებისა იყო, ხოლო ზოგჯერ (განსაკუთრებით მანდილოსნებთან) ქართულს უფრო დიდი დატვირთვა ჰქონდა, ამჟამად ქართული ენის სოციალური ღირებულება ძალზე დაქვეითებულია. გარდა ამისა, რეალურია საშიშროება შერეული ქორწინებების მოძალებისა.



*იოსებ იმედაშვილი, ქ-ნი სარა და ბ-ნი ამბაკო ჭელიძეები და ფერეიდნიდან ჩამოყვანილი ამირანი.*

საელჩო აგრეთვე ითვალისწინებდა, რომ ამ მიმართულებით მოღვაწეობის ყველა ასპექტი უნდა შეეფარდებოდეს სოციალურ-პოლიტიკურ კოორდინატთა იმ სისტემას, რომელიც დღეს რეალურად არსებობს ირანის ისლამურ რესპუბლიკაში: ქვეყანაში არსებული ნორმებისა და წესების დაცვით, ურთიერთპატივისცემისა და ნდობის ფაქტორის გათვალისწინებით, ირანის ოფიციალური სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად საზოგადოების ფართო წრეებში საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურისა და მეცნიერების მონაპოვართა პროპაგანდისა და ქართულისა და ქართველის პრესტიჟის ამაღლების ღონისძიებებში თანამემამულეთა ჩართვა, ფერეიდნელების მისამართებზე საქართველოსა და მისი კულტურის შესახებ ირანის პრესაში გამოქვეყნებული მასალების გაგზავნა, სპეციალურად თანამემამულეებისთვის გამიზნული სპარსულ და სპარსულ-ქართულ გამოცემათა სერიის წიგნების მიწოდება და, სადაც ამის პირობები არსებობს, ქართული წერა-კითხვის საზაფხულო კლასების დაარსება და მათთვის ქმედითი დახმარების გაწევა.

საელჩოს ინიციატივით 1995 წლის ბოლოს ჩამოყალიბდა ირან-საქართველოს მეგობრობის საზოგადოება, რომლის თავმჯდომარე გახლავთ ირანის ისლამური რესპუბლიკის ფუძემდებლის აიათოლა ხომეინის სიძე, პროფ. მ. ბორუჯერდი (ამჟამად აგრეთვე ცივილიზაციათა დიალოგის ეროვნული ცენტრის თავმჯდომარე), ხოლო მდივანი - ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალისტი, ცნობილი კავკასიოლოგი პროფ. ბაჰრამ ამირაჰმადიანი.

საზოგადოების გამგეობაში შეყვანილია ფერეიდუნშაჰრის გამგებელი (ქართველი), ფერეიდანის გამგებელი, მათი მოადგილეები და რამდენიმე ფერეიდნელი. საელჩო ამ არხსაც ეფექტურად იყენებდა ფერეიდნელებთან მუშაობისას.

გარკვეული მუშაობა ტარდება ფერეიდნელ წვრილ და საშუალო ვაჭარ-ხელოსნებთან, მათი კავშირების გაშლა-გაღრმავებისათვის ქართველ პარტნიორებთან.

რაც შეეხება ქართული ენის სწავლებას, ირანში არსებული რეალიების გათვალისწინებით ფერეიდნელთათვის ოპტიმალურ ვარიანტს წარმოადგენს ყოველი ოჯახისათვის შესაფერისი "მინიბიბლიოთეკის" შექმნა, მოკლევადიანი "საზაფხულო კლასების" ქსელის გაფართოება და სასწავლო პროცესის სრულყოფისა და სასწავლო წიგნებით და მართლწერის რვეულებით მომარაგების საქმის გაუმჯობესება. ამჟამად ზაფხულობით რამდენიმე ქალაქში მუშაობს "საზაფხულო კლასები", სადაც სხვა დისციპლინებთან ერთად, ისწავლება ქართული ენა. ქართული ენის ფართო პოპულარიზაციას რეალურად წაადგება ფერეიდუნშაჰრის ახალგაზრდების მიერ დამზადებული ორი კომპაქტ-დისკი "შევისწავლოთ ქართული ენა".

ქართული ენის შედარებით ფართოდ გავრცელების საქმეს ირანში აბრკოლებს სპარსულენოვანი მომხმარებლისათვის შედგენილი სასაუბროსა და თარგმნითი ლექსიკონების უქონლობა. ქართული ენის სოციალური ღირებულების გაზრდისა და მისი სტატუსის განმტკიცების ეფექტური ბერკეტი შეიძლება აღმოჩნდეს გიორგი ლობჟანიძის მიერ ყურანის ქართულად თარგმნილი ტექსტის მაღალი ტირაჟით გამოცემა და უფასოდ მიწოდება ყველა ფერეიდნელი ოჯახისთვის.

წარმატებად უნდა ჩაითვალოს "ვეფხისტყაოსნის" სრული ტექსტის სპარსული პროზაული თარგმანის გამოცემა. "ესე ამბავი სპარსული" ბოლო დრომდე არ იყო ცნობილი ირანში. ამ საუკუნის ოცდაათიანი წლების დასაწყისში ირანის პერიოდიკაში პროფ. იური მარის, პროფ. ვლ. ფუთურიძისა და პროფ. საიდ ნაფისის ინიციატივით გამოქვეყნდა ინფორმაცია "ვეფხისტყაოსნის" შესახებ და პოემის მოკლე შინაარსი. 1966 წელს პოემისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებათა ფარგლებში თეირანში, ჟურნალ "ფაიამე ნოვინში" გამოქვეყნდა ალექსანდრე ბარამიძის წერილი "შოთა რუსთაველი" და პროფ. დავით კობიძის სტატია "რუსთაველი და სპარსული ლიტერატურა", ხოლო თბილისში დაისტამბა პოემის ფრაგმენტების მორთეზა ფათემისეული სპარსული პოეტური თარგმანი. სპარსულ ენაზე გამოქვეყნებული "ვეფხისტყაოსნის" შესახებ პირველი, შედარებით ვრცელი, გამოკვლევა ეკუთვნის მეშჰედის უნივერსიტეტის პროფესორს ჰამიდ ზარინქუბს, რომლის ნაშრომი დაისტამბა მეშჰედის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის შრომებში 1970 წელს.

1998 წლის 20 ივლისს თეირანის ალამე თაბათაბაის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მაგისტრანტმა ფარშიდ დელშადმა წარმატებით დაიცვა დისერტაცია - "ვეფხისტყაოსანი" - შოთა რუსთაველის შედევრი". ამ ნაშრომმა გამოხმაურება ჰპოვა ირანში, საქართველოსა და სხვა ქვეყნებში.

გილანის უნივერსიტეტის პროფესორმა მოჰამად ქაზემ იუსეფფურმა გაბმული სპარსული ლიტერატურული პროზით თარგმნა "ვეფხისტყაოსანი", რომელიც გილანის უნივერსიტეტმა გამოსცა 2000 წელს. ამ თარგმანმა დაიმსახურა რუსთაველის სახელობის პრემია.

1997 წლის 3 დეკემბერს ირან-საქართველოს მეგობრობის საზოგადოებამ და საქართველო-ირანის სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობისა და თანამშრომლობის საზოგადოებამ საქართველოს საელჩოს დარბაზში ჩაატარეს ერთობლივი სხდომა, მიძღვნილი ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 160 წლისთავისადმი.

გილანის უნივერსიტეტის უფროსმა სპეციალისტმა ფარდინ ქომაიმ და დოცენტმა ნომადი ბართაიამ თარგმნეს ილია ჭავჭავაძის "ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი" (ქართულ-სპარსული ტექსტი). ასევე სპარსულ-ქართული ტექსტები გამოქვეყნდა: "ომარ ხაიამი, რობაიები" (მთარგმნელი ნომადი ბართაია, 2003), "საადი შირაზელი, გოლესთანიდან" (მთარგმნელი ნომადი ბართაია, 2003 წელი).

საელჩოს მიერ მეცნიერებისა და კულტურის საკითხებისადმი მიძღვნილ ყველა ღონისძიებაში და გამოქვეყნებულ მასალაში ამა თუ იმ სახით ყოველთვის იყო წარმოდგენილი საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის პრობლემატიკა. მაგრამ საელჩოს ზოგი ინიციატივა ცალსახად ემსახურებოდა საქართველოს ისტორიის, საქართველო-ირანის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის და გეოგრაფიის პოპულარიზაციის საქმეს. მაგალითად, მნიშვნელოვანი გახლდათ ის ფაქტი, რომ 1995 წლის გაზ. "აბრარის" რვა ნომერში გამოქვეყნდა პროფ. ნოდარ ლომოურის ნაშრომის "საქართველო" სპარსული თარგმანი.

1996 წლის 2 ოქტომბერს საელჩოს დარბაზში ჩატარდა ირან-საქართველოს მეგობრობის საზოგადოებისა და საქართველო-ირანის სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობისა და თანამშრომლობის საზოგადოების ერთობლივი სესია, მიძღვნილი ივანე ჯავახიშვილის დაბადების 120 წლისთავისა და საქართველოს აკადემიის დაარსების 50 წლისთავისადმი.

საელჩოს დახმარებით ირანელმა მეცნიერმა ბაჰრამ ამირაჰმადიანმა დაამყარა მჭიდრო კავშირი თბილისის უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების (გეოგრაფიის, ისტორიის, აღმოსავლეთმცოდნეობის) სპეციალისტებთან. ამ კონტაქტებისა და თანამშრომლობის შედეგად მომზადდა და 1997 წელს გამოიცა წიგნი "კავკასიის გეოგრაფია" და 1997 წელსვე მაღალ მეცნიერულ დონეზე დაწერილი "საქართველოს გეოგრაფია", რომელიც ავტორმა მიუძღვნა ვახუშტი ბაგრატიონს. მეცნიერის კვლევის შედეგები შეჯამებულია ირანის თავდაცვის სამინისტროს გეოგრაფიის დეპარტამენტის მიერ 2002 წელს გამოცემულ სქელტანიან (514 გვ.) მონოგრაფიაში "კავკასიის სრული გეოგრაფია".

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში სახალხო და უმაღლესი განათლების თვალსაჩინო წარმატებებმა, ირანსა და საქართველოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებამ, ორი ქვეყნის მოსახლეობისათვის კავშირების დამყარების გაადვილებამ, თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის თვითშემოქმედებითი დასებისა და პროფესიონალ ხელოვანთა მიერ ირანში წარმატებული კონცერტების გამართვამ, ქართველ სპორტსმენთა ხშირმა მონაწილეობამ ირანში გამართულ სპორტის სხვადასხვა სახეობის შეჯიბრებებში და ირანში საქართველოს საელჩოს მიერ განხორციელებულმა მიზანმიმართულმა ძალისხმევამ ქართული ენის, ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის პროპაგანდის მიზნით შექმნა პირობები, ერთი მხრივ, ფერეიდნელთა შორის ქართულად წერა-კითხვის ფართოდ გავრცელებისათვის, წერითი კულტურის საგრძნობლად ამაღლებისათვის, მეორე მხრივ კი კავკასიური და ქართული თემატიკის გაჩენისათვის ირანის უმაღლეს სასწავლებლებში. მეტად მნიშვნელოვანი გახლავთ ის, რომ ჩვენ დღეს უკვე გვყავს ფერეიდნელ ავტორთა ჯგუფი.

თავისუფალი უნივერსიტეტის ქ. არაქის ფილიალის კურსდამთავრებულმა, ქ-ნმა ბაჰარე შაჰსავანდიმ 1999 წელს დაიცვა სადიპლომო ნაშრომი თემაზე "რუსთაველის სახელობის თეატრი", 1999 წელს ფერეიდანის უნივერსიტეტის მაგისტრანტმა ჰედაიათ ფარაჰბახშმა დაიცვა დისერტაცია თემაზე "ქართველების როლი სეფიანთა სახელმწიფოში", თეირანის უნივერსიტეტის მაგისტრანტი, ბ-ნი გუდარზ რაშთიანი 2002 წლის შემოდგომიდან თბილისის უნივერსიტეტში მუშაობს თემაზე "საქართველო სეფიანთა დაცემიდან გულისტანის ზავამდე", მალექ მოჰამად რაჰიმიმ 2000 წელს გამოაქვეყნა წიგნი "ირანის ქართველები", საიდ მულიანიმ 2000 წელს გამოაქვეყნა წიგნი "ქართველების ადგილი ირანის ისტორიაში, კულტურასა და ცივილიზაციაში", თეოლოგმა მოჰსენ ხუციანმა 2001 წელს გამოსცა "ქომეილის ლოცვები" (არაბული, სპარსული ტექსტები და მის მიერ შესრულებული ქართული თარგმანი), იმამყული ბათოვანიმ 2002 წელს დაწყებითი სკოლის მოსწავლეთათვის საკითხავი წიგნის სახით გამოსცა "საქართველოს გეოგრაფია". ამ რიგის გამოცემებს შეიძლება მივაკუთვნოთ 1997 წ. თეირანში გამოცემული ჯ. გიუნაშვილის "ქართულ-ირანული შტუდიები" და ირანის ისლამური რესპუბლიკის კულტურისა და ისლამური დამოძღვრის სამინისტროს მიერ 2003 წელს გამოცემული "სპარსული ლიტერატურის ენციკლოპედიის" მე-5 ტომი. ამ სქელტანიანი ტომის ერთი მესამედი ეძღვნება საქართველოს ირანისტებსა და შუა საუკუნეებში ირანში მცხოვრებ ქართველ მოღვაწეებს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ფერეიდნელ პოეტთა კრებული "ფერეიდნელის ოროველა" (მასალა შეკრიბა ჯემშიდ გიუნაშვილმა, გამოსაცემად მოამზადა ვახუშტი კოტეტიშვილმა).

აღნიშნულის გათვალისწინებით, თანდათან იქმნება წინაპირობა გილანის უნივერსიტეტში ქართველოლოგიური ცენტრის დაფუძნებისათვის. ეს ამოცანა გადაწყვეტილი იქნება გილანისა და ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტების ერთობლივი ძალისხმევით.

ფერეიდნელ ქართველებთან მუშაობას და ქართული წერა-კითხვის აღორძინება-განვითარებას ახლავს ზოგი კონცეპტუალური პრობლემა. აქ ჩვენ საქმე გვაქვს დედაენის დიდ ემოციურ ღირებულებასთან, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ირანის სინამდვილეში იგი განსხვავებულია ირგვლივ არსებული ენებისაგან. წიგნიერი ფერეიდნელი ახალგაზრდობის მხრიდან ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის მიმართ ზოგჯერ შეინიშნება მცდელობა მძაფრი ემოციების გამოხატვისა. ჩვენ, ალბათ, ამ შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ მოსაზრებით, რომ ენის ფუნქციაა ამა თუ იმ ჯგუფის გაერთიანება და სხვებისაგან გამიჯვნა, მაგრამ ეს უკანასკნელი სულაც არ უნდა იყოს უსათუოდ მტრული.

უკვე დროა, ჩვენ ცალსახად მეცნიერულად და კომპლექსურად განვიხილოთ ჩვენ წინ მდგარი ამოცანები: რა მიზანს ისახავს ჩვენი მუშაობა ფერეიდნელებთან?

ამ საკითხზე პასუხი უნდა გასცეს სახელმწიფო პროგრამამ.

## ორშაბათი 12.07

**რუსთავი - 2**

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელეღიპუცები" 09.40 სერიალი "შურისძიება" 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.50 კურიერი 12.20 უიმბლდონის ყოველდღიური მიმოხილვა 13.20 მხ. ფილმი "მახე მშობლებისთვის" (გ) 15.25 სერიალი "სასწრაფო" 16.30 სერიალი "მაშველები" 17.25 პერეკროსტოკი 18.20 "ტელეღიპუცები" 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი "შურისძიება" 22.00 სერიალი "უკვდავი" 23.00 სერიალი "სოპრანოს კლანი". 00.00 მხ. ფილმი "პიანისტი". მთ. რ-ში: ედრიან ბროუდი, ტომას კრეტჩმანი (18)..

**ИСТ**

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 პროფათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 "ბრავო" "ვირტუალური გოგონა". მთ. რ-ში: ჩარლი კერტისი. 03.00 პაუზის გარეშე

**პირველი არხი**

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" 10.10 სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" 15.20 სერიალი "რვაფეხა" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალის გაგრძელება 17.05 მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" 17.30 მუს. არჩევნები 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" 18.45 დოკ. ფილმი "ყველანი ორბიტაზე" 19.00 "იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი "სოლედადი" 22.00 ღამის მატარებელი 00.00 ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 მხ. ფილმი "იასამნისფერი ტაქსი" (15)

**202**

10.00 მულტფილმი 12.00 20 სთ-იანი ფილმის გამეორება 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი "აგენტი ჯონი ინგლიში" (რ. ატკინსონი) (გ) 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი "მუსკულები" (გან.) 20.00 მხ. ფილმი "ევოლუცია" (დ. დუხოვნი) (12) 22.00 სერიალი "მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. საღინაძის "კენო" 23.00 დებატები 00.00 მხ. ფილმი "რეკრუტი" (ალ პაჩინო) (15)

**მზე**

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი "ველური მთვარე" 11.10, 20.50 მინისერიალი "მისტერ მკვლელობა" 12.00, 15.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 12.10, 21.45 დეტ. სერიალი "კოდი კოპერნიკი" 13.10 მხ. ფილმი "ბრწყინვალე" (გ) (მერაია კერი) 15.10 სერიალი "მარია ემილია" 16.10 სერიალი "დინოტოპია" 17.10 მულტსერიალი "რედვოლი" 17.35 მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" 18.10 მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" 18.35 დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" 19.00 სერიალი "ველური მთვარე" 20.50 მინისერიალი "სამყაროს შექმნა" 22.45 "მზერა დღის ბოლოს" 00.00 მხ. ფილმი "თანამგზავრი 2" (18) (ტომას ჰაუერი)

**მეორე არხი**

19.00 მულტფილმი "ბელფეგორი" 19.30 სერიალი "ეშმაკუნა" (გ) 21.00 დოკ. სერიალი "წყვილები და დუეტები" 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.00 მხ. ფილმი "სტიქსი " (15)

**კავკასია**

12.00 ინდ. მხ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მუსიკა 18.00 სერიალი "მილედი" 10-11 ს. 19.20, 21.00 სპექტრი 22.30 "საქმე და ეკონომიკა"

**იმედი**

07.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 07.15, 11.20, 16.40, 17.20, 02.00 იმედის მელოდიები 08.00 "იმედის" დილა 10.00 დროება 11.25, 01.30 ტვ-მარკეტი 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 12.10 სერიალი "კლონი" 13.15 სერიალი "შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" 15.15 ქალთა ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.10 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი "შავი მეკობრე" მე-9 ს. 18.05 სერიალი "ტყუპები" 19.35 სერიალი "კლონი" 20.30 სერიალი "შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" 21.30 "ვაკაჭი-ნიუსი" 23.00 სპ. პროგრამა "გოლი" 23.30 მხ. ფილმი "მშვიდობისმყოფელი" (დ. ლუნდგრენი) (გ)

**იბერია**

18.00 მინისერიალი "ხაბაზები" 1-ლი ს. 18.55 დოკ. ფილმი 19.50 კონცერტი 21.50 დოკ. ფილმი 22.30 მხ. ფილმი "ხაფანგი" (18)

**აჭარის ტელევიზია**

